

ՃՐԱՎԵՐ

თ ვ ი უ მ ი ა ქ უ ნ ა ვ ი ა

ଶ୍ରୀଲିପିବନ୍ଦିର ମେଳାତ୍ୟ

No V

August 6, 1903



పునాసులు

58.

I.—పునాసు ప్రాచీన పుస్తకాలయిల్లిస్.—థింటెర్ రంబా గ్యారిసిం, తాగమా- ని ఎస్. గెడెక్సిషన్సిల్సా	1
II.—బుణ్ణిలు ప్రాచీన వ్యాపార ప్రాచీన పుస్తకాలయిల్లిస్.—క్రైస్తవ ప్రాజెక్ట్- డ్యూటీల్స్ లిమిటెడ్ కోర్పులు, తార్కమాని ఎఫ్. కెల- ల్యుమార్కెడ్సిల్సిల్సా	35
III.—బుణ్ణిలు.—ఎ. గెర్మానిస్, తార్కమాని ఎ. కెలల్యుమార్కెడ్సిల్- సా. (గాగ్రమ్యేల్స్)	63
IV.—ప్రాచీన ల్యాపొ (డాసాసుర్కుల్లి).	1
V.—పునాసు ప్రాచీన పుస్తకాలయిల్లిస్.—మాస్. ఫాన్సిషన్సిల్సా	19



ଶରୀରକାନ୍ତରିକ
ପାତାରେ

ତଥିରୁଗାନ୍ତରିକ
ପାତାରେ

ପ୍ରକଳ୍ପିତ
ମେଲାର୍

N. V.

୧୯୦୩

୧୮୬

ପ୍ରକଳ୍ପିତ

ବିଦ୍ୟାଲୟ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ

୧୯୦୩

Дозволено цензурою Тифлисъ 28 мая 1903 г.



ପ୍ରକାଶକ ସଂଗଠନ

38

- | | | |
|------|---|----|
| I— | ერთი მჩაბალთათვის.—მოთხრობა გერასი, თაგმანი ეპ. გაბაშვილისა | 1 |
| II— | ხალხის გორენი აცე მიგინ ზორებანი.—ხუთ მოქმედებიანი დრამა ჭიენრის იბსენისა, თარგმანი ეპ. ბოლუმორდგინფევისა | 35 |
| III— | სამი.—მ. გრინგისა, თარგმანი ი. ბოლუმორდგინფევისა. (გაგრძელება) | 63 |
| IV— | მიუ ლირი (დასასრული) | 1 |
| V— | ჩართველთა გატიანი.—მოსე ჯანაშვილისა | 19 |

ერთი მრავალთათვის*)

(ყმაწვილი ქალის დღიურიდან)

შთახსრობა ვერასი.

(თარგმანი)

„გიორგი!

მე არ შემიძლიან გავხდე შენი სიცოცხლის თანამეზავრად! ვცდილობდი მეპოვა შემაერთებელი ხიდი იმ უფსკრულზედ, რომელიც ჩვენ შეა სდევს. ვერ მოვახერხე. ჩემი ყოველგვარი წადილი რომ გასამართლებელი საბუთი აღმომეჩინა, უღონო აღმოჩინდა. ჩემი სიცოცხლე შენ გვერდით დამყაყებელი სიც-რუის ჭობი იქნებოდა.... ამისათვის გადავწევიტე გამოგემ-შვიდობო—გამოგეთხოვო საუკუნოთ. ჩემი სიყვარული შენდამი ბევრათ მაღლა სდგას სიცოცხლის სურვილზე. მე არ შემიძ-ლიან უყურო შენ ტანჯვას—შენგნით დაუმსახურებელ ტანჯ-ვას. მე კი ღონე არა მაქეს ვზიდო ეს ტანჯვა, სუსტი ვარ და

*) როგორც ჰერიკის გერმანელ კრიტიკი, ვერა უნდა იყვეს ერთ-ერთი გამოჩენილი გერმანელი მწერალი. ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახ-დინა გერმანელ მკითხველებზედ და ერთი წლის განმავლობაში ზედი-ზედ ითხ გამოცემად გამოვიდა. მოთხოვთა, როგორც გარეგანის სილამაზით, ისე უფრო ტენდეციით იზიდავს საყოველთაო ყურადღებას. გერმანიაში ამ მოთხოვთის დედა აზრის გამო შეიქმნა მთელი ლიტერატურა, მწერ-ლები კაცები, თუ ქალები ერთ გვარის ყურადღებით ეპურობინ ვერასგნით გამხილებულ ვაჟა-ცთა დანაშაულოას, თუმცა ზოგი მომბრეობს და ზოგი წინააღმდეგია. აზრი უურნალის „живописное обозрение“ სა, საიდანაც მე ვთარგმნე.

მასთან განმარტოვებული.—გიორგი, აასრულე ჩემი უკანასკნელი თხოვნა... იბრძოლე იმ აზრისათვის, დაეხმარე იმ აზრის განხორციელებას, რომელმაც მე გამტეხა, იმ ბრძოლით განანათლე ჩემი ხსოვნა!

გიგზავნი უკანასკნელ ფურცლებს ჩემი დღიურისას. აქ ყოველი სიტყვა წამოძახილია ჩემის სულის სიღრმიდან. გამოაქვეყნე, მხოლოდ შესცვალე ჩემი სახელი.

მე სრულიად კმაყოფილი ვიქნები, თუ ერთი ცნობის მოყვარე გონება მაინც ჩემი ცხოვრების ფურცლების წაკითხვის დროს შეურაცხმყოფელის ღიმილით არ გადაისცრის წიგნს.

იყავ ბედნიერი, გიორგი!

ანუგაშე ჩემი მშობლები!

გიგზავნი უკანასკნელ კოცნას, შექედილს ჩემის ტანჯვით და სიყვარულით.

„შენი ერთგული ვერა.“

18 სექტემბერი.

შუალამე იყო რო გამომეღვიძა. რამდენიმე ღამეა ალარ მძინავს მოსვენებით, სხვა და სხვა ღელვები და გამოურკვეველი ზმანებანი არ მასვენებენ.

საშინელი ქარიშხალი, სხვილი წვიმა, საზარლად არყევს ჩემ ფანჯრის შუშებს... განუწყვეტელი შხრიალი ისმის ნიაღვრისა. გამოურკვეველი სიბნელე გულს მიწყლავს, მიღონებს. ჩემის აზრით, ღიდი ბედნიერი უნდა იყვეს აღამიანი, რომ სიბნელე უკვარდეს, ან ღიდი უბედური. მე წამოვხტი ლოგინიდან და ლამპა ავანთე. რა რიგ მესიმოვნა ლამპის სხივების დანახვა, ვუყურებ, ვაკვირდები რა რიგ უვლიან გულში სიბნელეს, როგორ ებრძეიან იმას და ამარცხებენ.

და, აი, ასე მარტოდ-მარტო ჩემის ფიქრებით ჩემ საწერ სტოლთან ვეგებები განთიადს... მე მინდა პატიოსანი ვიყვე... სამართლიანი, უსამზღვრო სამართლიანი ჩემი თავის შესახებ. რა საჭიროა მთლიად ეს რაღაც კეთილ-შობილური სიცრუტ, კეთილ-შობილური პირფერობა სულის შემხუთავ ჩვეულებათა

სიცრუეის შეა? განა ეს სისტემატიური, ნაძალადევი მოტკუჭე
ება ერთის იოტით მიახლოვებს კაცს ბედნიერებასთან? სიმარ-
თლე თან-და-თან იჩრდილება შეუწყვეტელის სიცრუეის მოწ-
ყალებით...

მე ყოველთვის ვიტანჯებოდი ჭაობებსა და ჯურლმლებთ
შორის. მე მსურს ვისუნთქო მხოლოდ მიღლობთა სუფთა
ჰაერით.—მე მინდა ჩემი იზრი გამოვთქვა სიტყვებით. ამასთან
მინდა უკუვაგდო მანტია ფარისევლობისა, რომელიც ხელს
უშლის გულის სიწრფელეს... მე მინდა ის ვიყვე, რაც ვარ,
მინდა გავარკვიო ის, რაც მიმალულია ჩემ არსებაში. განა მე
უკეთესი ვიქნები, რომ დავმარო, ნიღბი ჩამოვათარო ჩემ
ნაკლებულებათ, ან გავამართლო ისინი რაიმე გასამართლებელ
საბუთებით? ან უარესად ხომ არ გადვიქცევი მაშინ, თუ შე-
ვისწავლი ჩემ კეთილ მხარეთ და დავაფასებ გათ სამართლია-
ნად.

ნუ თუ არ შეიძლება შენი სულის წმიდათა-წმიდის გან-
ხილება გათ შეუბლალავათ...

მე ფანჯარასთან ვიდექ და ვცდილობდი განშევრიტა
ლამის უტყვი და შავი წყვდიადი. მთრთოლვალე ფიქრები
უფრო და უფრო ხშირდებოდნენ და ერთ მძლავრ გრეხილად
ჯგუფდებოდნენ ჩემს თავში.... თითქმის ვგრძნობდი იმათ იქ
ყოფნას... არა ღირს კაცმა მნიშვნელობა მისცეს ცხოვრების
წვრილმანებას. ცხოვრებაში ყოველთვის იპოვნი გასამართლე-
ბელს გარემოებას შენის ეჭვებისას. სხვა რომ არა იყენეს-რა,
თუ შეუდექ გამოკვლევას ყოველი პატია გარემოებისას, თვით
ცხოვრება დაპარგავს თავის მნიშვნელობას.

საშინელი ხასიათისა ვარ. ამის მიზეზი იყო დაუდევარი
და ფუფუნებაში გატარებული სიცოცხლე, არ ქონა სიხარულისა
და სურვილებისა. ფუფუნებაში გატარებული სიცოცხლე ღუ-
პავს ადამიანის სულიერს მოძრაობას. ღონე უმოძრაოდ კვდე-
ბა. ამ უმოძრაობაში დარჩენილი ღონე მიაგავს ამ სახნისს,
რომელიც უხმარებლად მიუგდიათ ნოტიო სარდაფში. მე ხში-
რად ვფიქრობ: —მე რომ იძულებული ვყოფილიყავ მემუშენა,

ჩემთვის რომ სიღარიბეს ძალა დაეტანებია შრომისა და ხელობრივი დღისთვის ზრუნვისთვის, მაშინ იქნება უფრო ღონისებულიყავ და განვახლებულიყავ და არ ჩავარდნილიყავ ამ სასოწარკვეთილ ფიქრთა ღელვაში. შრომის მოწყალებით არის ხალხში დარჩენილი ძალ-ღონე, სიცოცხლის სიყვარული და ისე ცოტა ძარღვებ მოშლილობა, სისუსტე. იმათ არ სკალიანთ თავის სულიერ არსებაში ხელების პოტინისთვის. მხოლოდ ჩვენ სულით გლოხაკ საზოგადოებაში აქვს ბინა ნევრასტენიას. ზოგიერთებმა გადაწყვეტით დაასკვნეს ამ ავადმყოფობის მიზეზებად ჩვეულებათა გაფაქიზება. მრავალნი ამაყობენ კიდევ ნევრასტიით, რადგან ლიტერატურამ და ხელოვნებამ ამ გვარი ავადმყოფნი გმირებად აღიარა. მთელი ჩვენი ამ დროის ცხოვრება ნამდვილი გზაა ძარღვების მოშლისა, სისუსტისა. ჩვენ საუკუნეში ვიღა შეხვდება აღფთოვანებულით? არავინ, ამიტომ რომ აღფრთვებანება სულის სიძლიერეა.

მე კი მსურს ამ ჩვეულებრივ ცხოვრებას ავცდე და დაუახლოვდე საღს და ბუნებრივ სიცოცხლეს.

20 სექტემბერი.

ხშირად ვგრძნობ ჩემ საშინელ სიმარტოვეს. ეს სულის კვეთება ისე საგრძნობელი არ არის მაშინ, როდესაც მარტოკა ვარ, ეს სენი უკიდურესობამდე მტანჯავს მაშინ, როდესაც გარს მახვევია აუარებელი ხალხი, შეუგნებელი და ჩემთვის უცხო თავის შეუგნებლობით. ეს გრძნობა სატანჯელია, ამ შემთხვევაში შენი თავი მიგაჩნია რაღაც უმნიშვნელო ატომათ, რომელიც განშორებია თავის ნიადაგს და დაპოვარფარებს ცის სამყაროში.... ჰერძნობ შენს უღონობას და უმნიშვნელობას.

ჩემი ძვირფასი მშობლები ვერ მიქარვებენ ამ სატანჯელს, თუმცა იმათი სიყვარული ჩემდამი უსამზღვროა. გიორგიც კი, მხოლოდ ხანდახან შესძლებს ხოლმე მომანიჭოს სულის ერთობა. იმის გრძნობა ძლიერი და ლრმაა, მაგრამ არა ხანგრძლივი. თავის მხურვალე გატაცებით იმას უნდა გაადნოს ჩემი

თვით არსება და თავის ხელ-სახვევად გამიხადოს. ეს თვისება სიყვარულისა, რომ ორი ერთ სულ და ხორც ჰქმნას, ეჭვს ჰბალებს ჩემში მის ძლიერების შესახებ. თუ ორი პირი ამ გრძნობის წყალობით ვერ შეირჩენენ თავის პიროვნებას, თავის-უფლებას და არ არიან ერთგვარის ღირსებით შემკულნი, მაშინ შეერთება ამ ორთა არ შეიძლება იყოს მძლავრი და შეურ-ცეველი.

ის, რაც ადვილად ეძლევა წვრილშან არსებათ, შეუძლე-ბელია ბევრჯელ სრულიად რჩეულთა და ღონიერთათვის. ორი მძლავრი პიროვნება ძნელად მოთავსდება ერთად. ისინი ავიწროებენ ერთმანეთს, უკარგავენ პიროვნებას, უკლავენ ხალისს თვით გაუმჯობესობისას. ამ შემთხვევაში თვითვეული იმათვანი შთაინთქება მეორეში.

გიორგი უთუოდ გადაჰყულაპავდა ჩემ პიროვნებას, გამხ-დიდა უსულო საგნად, საგნად თავის სურვილების დასაკმა-ყოფილებლად, ვეჯათ თავის სადგურის გასამშვენიერებლად.

21 სექტემბერი.

გიორგი მასხარად იგდებს ჩემ აზრებს, მასხარად იგდებს ჩვეულებრივის მამაკაცურის ტიპიურის სიცილით. ის ხშირად ისე მექცევა, როგორც ბალლს, სათამაშოს. ის მიაღერსებს, ხელს მისვამს თავზედ, ყურს მიწევს, მიკოცნის თვალებს, ამა-სხარავებს ჩემ აზრებს. ის არც კი ამჩნევს იმ შხამს, რომლი-თაც მე ვაზავებ ჩემ სიტყვებს. ის თითქო უზრუნველ ყოფი-ლია ყოველის ეჭვიანობისაგან. ეს მე საშინლად მაღონებს. გუშინ მე და ის დავსეირნობდით ქალაქს გარედ.

— მე არ მინდა მყავდეს ფილოსოფოსი ცოლად — სთქვა გიორგიმ — ჩემის აზრით, სრულიად საკმაოა იმას შეეძლოს მოთხოვნების წერა და ჰქონდეს ცოტა რამ თავმოყვარეობა.

— მაშ შენ გსურს, რომ მე გადავეჩიო აზროვნობას? ეს არის შენი აზრი? ჩავაცივდი მე.

— რასაკვირველია, ჩემთ საყვარელო!

იმისმა შეურყეველმა სიმშვიდემ საშინლად გამაანჩხლა.

— შენ შეგიძლიან უკან წილო შენი სიტყვა. ჩვენი ნიშნობა ჯერ ხომ გამომუღავნებული არ არის, გაცხარებით ვუთხირ მე.

— რას ამბობ, ჩემო მზეთ უნახავო! მიპასუხა იმან.—გამომ- უღავნება აქ რა შეუაშია!

მე ჩუმათ ვიყავ, სირცხვილი ვიგრძენ, თვალები ცრემ- ლებით ამევსო, მაგრამ თავი შევიმაგრე.

24 სემინარი.

მე დამ-დამობით მიყვარს წერა, მიყვარს, როცა ჩემ გარ- შემო სრული სიჩუმეა. მაშინ მე გამარტოკავებულათ არ მიმა- ჩნია თავი, მე მაშინ ვიმყოფები ჩემ ფიქრთა შორის და ბევრით უკეთ ვგრძნობ ჩემ თავს, მანამ საზოგადოებაში. ხალხში მე ყოველ- თვის ვიკარები, უგრძნობელ და გაშეშებულ მანეკენს ვგევარ, და ვიტანჯები ჩვეულებრივ, ვიწრო ბურუუაზულ მოთხოვნი- ლებათა აღსრულებით... აქ კი მე ჩემთანა ვარ, ესუნთქავ თავი- სუფლად, ვცხოვრობ ისე, როგორც მინდა, მესმის ყოველი სულთქმა ჩემის არსებისა, რომელიც ხალხში ყოველთვის შეუ- ნიშნავად იკარება. რა სასიამოვნოა ეს განთავისუფლება ცხოვ- რების ვნებათა ლელვისაგან, რა სანატრელია, როდესაც შე- გიძლიან გულ-ახდით, წრფელად აღიარო, სთქვა ყოველივე შენი გულის პასუხი და არ იყვე შებოჭვილი სხვათა აზრთა და რწმენათა გავლენის ქვეშ.

რამდენი თვითშემეცნებაა და რამდენი თვით პატივის- ცემაა ამ სულის სიღრმეში ჩახდების დროს.

შესანიშნავია, რომ სხვა კაცის სიბილწე და უადამიანობა შენს სიკეთეს ნათლად ჰყოფს შენსავე თვალში. თითქო სხვი- სის ჭუჭყით შენ უმწიკვლელი ხდები. ფრანგული ანდაზა ამობს: il faut toujours un plus petit que soi! ასე მომიხდა მე დღეს სწორედ.

სეირნობის დროს, მე შევხვდი კლარა ფრიდრიხს. აგერ ექვსი თვეა, რაც ის გათხოვილია. ყურებში ბრილიანტები უბრჭყვიალებდა, იმის ლოყებს და თმებს წითელი ფერი ედო.

სახე უღიმოდა. ის მეგობრულიდ გადამეცეია და თამამად, მოუ-
რიდებლად მომიყეა თავის ქრმიანობის თავსგადასავალს; ის მიმ-
ბობდა იმისთანა რაღაც საჩოთიროებს, რომ მე თავ-შეუმაგრებ-
ლად ზიზღით ვუპასუხე.

— მე ვეწიე ჩემს სურვილს! — სთქვა იმან, სხვათა შორის,
— მე მდიდარი ვარ, მე მაქვს მშვენიერი ბუღუარი. ჩემი ქმარი
ორმოც წელზედ ბევრად მეტისაა, ის როდესაც შესანიშნავი
დონ-ეუანი იყო! შვილები არ მოგვეცემა! ახ, რა ბედნიერი
ვარ, რა უსამშლვრო ბედნიერი!

საშინელმა სიბრაზემ მომიცვა. მზათ ვიყავ პირში შემა-
მეკრა, გაელანძლა უშვერის სიტყვებით. მე ის მეჩვენა საზი-
ზლარ დიაცად.

მაგრამ ზიღლობამ იმის ნება არ მომცა და მე მხოლოდ
კივად-ლა ვუთხარ: მშეიღობით მეთქი.

როდესაც იმას გავშორდი, ჩემი ფიქრები ისვე გიორგი-
ზედ გადავიდნენ წმინდა, ნათელი, ჩემულებრივი აზრები მო-
მეხვივნენ და მწამდა, რომ სრული ბედნიერება შესაძლებე-
ლია.

25 სპეციალურო.

გიორგი ანგელოზებრივ კეთილია ჩემთვის. იმის ხმაში
ყოველთვის რაღაც ნაზი სიტყბოება მოისმის. ყოველი იმის
სიტყვა, ყოველი იმის აზრი მეუბნებიან იმის სიყვარულის უსამ-
ზღვრობას. ის მზად არის თავს შემომევლოს, ყოველი ჩემი
სურვილი დააკმაყოფილოს, იმისი თვალები სულის სიღრმემ-
ლინ განსკრეტენ ჩემს არსებას და თითქო იქ კითხულობენ
ჩემ იღუმალ საიდუმლოთა...

— შენში არაფერი არ უნდა იყვეს ჩემი უცნობი, ვერა! —
მეუბნება ის. — არც ერთი აზრი არ უნდა იმაღლებოდეს ჩემ-
გნით დაუნახვი.

ზოგჯერ იმის ყურებაში რაღაც საშინელება იხიტება, ის
თითქო მფათრავს. მაშინ, მგონია, იმას არ გამოეპარება არც

სიტყვა, არც აზრი, არც მოძრაობა ჩემის სახისა. მე უხერხუ-
ლად ვგრძნობ თავს იმის დაუინებულის ცქერის ქვეშ.

ერთხელ ვკითხე:

— ნდობა გაქვს ჩემი, გიორგი?

ის დალონდა და მიპასუხა: — ხანდახან! — და ხელზე მა-
კოცა. რაღაც მწუხარება იყო იმის საქციულში.

— მე საზიზლარი არა ვარ, გიორგი! — ვუთხარ მე.

— მე ეგ კარგად ვიცი! უმაგისოდ ვანა შესაძლებელი
იქნებოდა მყვარებოდი?

— მაშ რას ექვობ?

— მე მაწუხებს ის აზრი, რომ შენ მიმატოვებ როდისმე.

— არა, ეგ შეუძლებელია! გადავეხვიე და ვაკოცე. ეს
პირველი კოცნა იყო. გიორგი ისე მძლავრად ჩამეკონა, ისე
აღტაცებით, გატაცებით მიალერსა... თითქო ის იყო თავს
ვანებებდი, იმის ხვევნა-ალერსი თითქო გამოწვეულნი იყვნენ
ექვიანობით.

28 სექტემბერი.

დღეს დილით მე და გიორგი წავედით ეკიპაჟით დეორინ-
ბახში. იქ დიდხანს დავსეირნობდით ტყეში. სრული სიჩუმე და
სიცარიელე იყო, მხოლოდ გამხმარი ფოთლები შრიალებდნენ
ჩვენ ფეხებ ქვეშ.

შემოდგომის მზის სხივები გარცვნილ ხეებ შუა ადვილად
იკვრიტებოდნენ და ანათებდნენ ყვითელის ფოთლით მოდე-
ბულ არე-მარეს. ჩვენ ნელა-ნელა დავდიოდით, ხელი-ხელ გვე-
კირა. რაღაცა სულის გამთბობი, ნათელი, ყამწვილური გრძნო-
ბა დაგვერია. ხმას არ ვიღებდით, ჩვენ არ გვინდოდა ჩვეულებ-
რივის ფრაზებით დაგვერდვია ეს ცხოველმყოფელი მყუდროე-
ბა სიჩუმისა. მხოლოდ ხანდახან ნაზად ხელს მიქერდა გიორგი,
ვგრძნობდი, რომ ამ დროს იმის აზრს ვარს ევლებოდა რაღაც
ცხოველი, კეთილი და უნებლიერ ხელის მოქერით ჩემზე-
დაც გადმოდიოდა. ამ წამებში რაღაც საიდუმლოებას ემორჩი-
ლები ადამიანი, არაფერი გარეშე აღარ გალელვებს, არც

ერთი აზრი არ გემალება თავში, თითქო ტვინი ეძლევა რა-
ღაც მშვენიერ განცხრომა - განსვენებას. გულები ერთნაირად
ჰგებულებენ და ჩუხჩუხებენ შეუწყვეტელის ნაკადულის სიყვარუ-
ლით. მე თითქო წმინდა ტაძარში ვიყავ, მინდოდა მუხლი მო-
მედრიკან და სასოფტით ხელი ამებყრი. ეს იყო უწმინდესი
სუნთქვა სიყვარულისა, რომელიც შთაგვებერა თავისის მოწყა-
ლებით. სულში ალიძროდა რაღაც წმინდა, მშვენიერი, უსამ-
ზღვრო სპეტაკი სურვილი თავის შეწირვისა ერთმანეთისათვის.
აქ, თითქო გიყვარს მთელი კაცობრიობა, სუყველაფერი ახ-
ლოა... მთელი სიცოცხლის მელოდია ტკბილ ხმოვანათ გიგა-
ლობს, გატკბობს... ყოველი სიმშვენიერე კაცთა სულიერის
ცხოვრებისა ერთდება და შეადგენს მთელს მორევს სიყვარუ-
ლისას. ვისაც ერთხელ ჰყვარებია, იმან იცის, რომ კაცი, რო-
მელსაც გამოუცდია სიყვარული, არ შეიძლება გარყვნილი
იყვეს. რამდენი მაღალი, კეთილშობილური იღვიძებს ამ დროს
ადამიანში. სინათლე სიყვარულისა უვლის და ათბობს ყოველ
კუნჭულს ადამიანის ასებისას.

კვლავ ვკვირვიბ და არა მსჯერა, თუ როგორ დავხეტიი-
ლებდი ქვეყანაზედ ოც წლამდინ, უაზროთ, უმიზნოთ, ერთი
შეცდომიდგან მეორემდე... როგორ ვარსებობდი უგიორგოთ.
მაშინ დღები ჩემთვის მიმდინარეობდინენ ერთ გვარად, უფე-
რულად, ზანტათ. ეხლა კი, ამ ორი წლის სიყვარულის დროს
ყოველ წამს, ყოველ თვალის დახამხამებას თავისი აზრი აქვს
და ვგრძნობ, რომ ვცოცხლობ... ყოველ დღეს თავისი განსა
კუთრებული სურნელოვანება აქვს. ყოველ ბგერას სულისას
თავისი სიმშვენიერე და სიხარული აქვს. მებრალვიან ის პატა
რა ბედშავნი კაცუნები, რომელთათვის დახშულია კარი ცხო-
ველმყოფელის სიყვარულისა...

გიორგი ეთანხმება ჩემ შეხედულების.

ჩვენ მიკუნჭულნი ვისხედით ერთ პატარა გორაკზედ ტყის
პირად, ერთმანეთზედ ტკბილი მიყრდნობილნი. ჩვენ ვბასო-
ბდით წარსულზედ... რამდენი წვრილმანი, რამდენი ნააზრი
ჩვენის პირველის შეხვედრისა გვეხატებოდა თვალ წინ.

ჩვენ ვეძებდით პირველ მიზეზს გრძნობის გაღვიძებისას ჩვენ გავიცანით ერთმანეთი ზაფხულში, სოფელში, მთვარიან ლამეში სეირნობის დროს.. უცაბედათ შევებით მე და ის ლა-პარაკში, დავახლოედით ერთ გვარის შეხედულებით და შევე-წყეთ სხვა და სხვა გამომეტყველებით... შემდეგ დაიწყო ბრძოლა ათასის შემთხვევებით და დასრულდა სრულის მგობ-რობით.

ამ გახსენებაზედ გაგვეცინა. ჩვენ წარმოვიდგინეთ ის დრო, როდესაც ის მე მიწოდებდა „მოწყალეო ხელმწიფავ“ და მე მას— „უფალო ექიმი“ და ბევრი კიდევ სხვა... .

ყველაზედ სასაკილოდ გვაგონდებოდა ჩვენი პირველი შეხვედრა დანიშნულ ალიგას. მე მთლიად ვთრთოდი და ვკან-კალებდი შიშით და სირცხვილით და არც ის იყო ჩემზედ ნა-კლებად შემკრთალი და დარცხვენილი.

ბევრი ცვლილება მოხდა მას აქეთ ჩვენ ერთმანეთის და-მოკიდებულებაში. ჩვენ დიდი ხანია მოვიცილეთ ყოველ გვარი ფორმალური პრანქვა-გრეხვა და თავისუფლად მივალთ სიყვა-რულის თავისუფალ გზაზედ.

როდესაც აუსრულდება გიორგის თავისი იმედები—ერთი წლის შემდეგ—მაშინ ჩვენ მთლიად ვეკუთნებით ერთმანეთს და სამუდამოთ.

დანარჩენი ქვეყნიერება შეადგენს ჩვენთვის მხოლოდ ნია-დაგს, რომელზედაც ვეცდებით იყავოთ უშვენიერესი შენ-ბაჩი ჩვენის ბედნიერებისა...

29 სექტემბერი.

ჩემი ძვირფასი მუნიციპალიტეტი დიდიხანია ებრძვიან ჩემ გან-ძრახვას. პირველად მჩხვლეტდნენ რითიც კი შეიძლება, ეხლა კი მიკითხავენ მთელ ქადაგებას. იმათ ძრიელ უყვარვარ მე და ეს სიყვარული არ უშლით ჩემ წინააღმდეგობას. ისინი დარ-წმუნებულნი არიან, რომ ქალის ბედნიერება მხოლოდ მდი-დარის და წარჩინებულის კაცის შერთვაა.

— სიყვარული — უსაქმერობის სისულელეა — ამბობს მამა-
ჩემი, — ცარიელი, უშინაარსო ფრაზა, გამოსადევი მხოლოდ
რომანებში. ქორწილის დიდი ხნის მოლოდინი, სიყვარული-
სთვის — საფლავია... მე და დედა შენი არც კი ვიცნობდით ჯვა-
რის წერამდინ ერთმანეთს... და განა ამისთვის ბედნიერები არა
ვართ?

— მაგ გვარი ქორწინება უცაბედი შეხვედრაა, როგორც
თვალ-დახუჭული წყალში გადავარდნა, ვცდილობდი დამე-
ტკიცებინა მე იმათვის.

— ტყუილი მიქარვა — მიპასუხებდა დედა, თავისებურად
მოუხეზვად. — როცა კაცს შეძლება აქვს, სიყვარული თითონ
მოვა. გაჭირვება რომ მოგადგება, სიყვარული უკუდგება — სი-
ყვარულს არავინ გაუძლია თავის დღეში.

ამგვარი ბაასი საშინლად მტანჯავს.

მამაჩემს უყვარს იმის თქმა, რომ გამოცდილი კაცია და
ბევრი უნახავს და ბევრიც დაეჯერება, რაზედაც მე შეუდრ-
კელად ვუპასუხებ ხოლმე:

„მეც მსურს ჩემი საკუთარი გამოცდილება ვიქონიო მე-
თქი.“

30 სექტემბერი.

რომ ავცდე ჩხეუბსა და ვაი-ვაგლახს, ვცდილობ არავის
ცურვენო ჩემი გრძნობა გიორგისადმი... ეს ორ გვარი ჩემი ცხოვ-
რება მხოლოდ მაშინ მოისპობა, როდესაც შეეძლება ჩემს არ-
ჩეულს, საჭვეულოთ ხელი სთხოვოს ჩემ მშობლებს. მაშინ მე
თავისუფლად შემიძლიან დავიცვა ჩემი არჩეული, თუ, რასა-
კვრელია, მაშინ საჭირო-ლა იქნება მისი დაცვა. არავითარ
მსხვერპლს არ დავიშურებ, არავითარი მსხვერპლი არ მეჩვენე-
ბა მე სამძიმოთ მისთვის მოსატანად.

ცხოვრების უკუღმართობა არ მაშინებს მე; თუ თვით ჩე-
მი სულიერი აზრთა ბრძოლა არ ამირევს გზას, იმედი მაქვს,
ყოველის გზით შეიარაღებული გამოვიდე ცხოვრებასთან სა-
ბრძოლველად. არასოდეს არ შემაშინებს მე ბრძოლა! ბევრით

სჯობს, ზღვაზედ აბობოქრებულ ტალღებზედ სულის კვეთება დაწყნარებულ ნავთ საყუდელში მიძინებას. შიში და სინანული — უაზრო სიტყვებია ჩემთვის... უაზრო და უშინაარსო.

შესაძლებელია, რომ ჩემმა გაბედულმა რწმენამ და შეხედულობამ ბევრი ცხოვრების სიამოვნება ამაცდინა. მოსალოდნელია, რომ ჩემი ლოტოლვილება კანონიერ ერთულებისადმი, (რანიორავი) მომიტანს უფრო მომატებულ ვნებას. იქნება მა რომ მყოლოდა, მაშინ სულ სხვანაირად იყდნებოლიყავ, მაშინ, უეპველია, შევიქნებოდი სუროთ ხესთან რგულად და არა თვით ყლორტათ. დედაკაცი, თავისის არსებით, ემგზავსება სუროს, რომელიც უთუოთ ყლორტზედ უნდა აეხვიოს.

თუმცა კი დედაკაცის სულში მოიპოვებიან ისეთი შხარები, რომელნიც უთუოთ განვითარდებოდნ ენ და გაიხსნებოდნენ, თუ პატარაობისასვე შესთანხმებოდნენ მამაკაცის ძალლონებსთან. საუბედუროთ, ეს თითქმის შეუძლებელია, რადგანაც საზოგადოება ჯერ ძლიერ შორს იჭერს ქალ-ვაჟის ერთაღალზდა-განვითარებას.

2 ოქტომბერი

დღეს შე და გიორგის ცოტაოდენი უთანხმოება მოვეინდა და ოდნავ დასჩრდილა ჩვენი ბრწყინვალე დამოკიდებულებანი. ჩემი ძვირფასი სატრუთ ეჭვისაგან მთლად გადაიჩია. ივანე ვალდაუ, ჩემი ბავშვობის ამხანაგი, გაյაღნიერდა და ხელივანება გაკოცა. გიორგიმ ამას დანაშაული უწოდა და პასუხის საგებლად მიმიხმო.

— ჩემი დანიშნული ნებას არ უნდა აძლევდეს ცველა ვიგინდარას ხელზე კოცნისას, გესმის თუ არა?

ვეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ ამაოდ.

ის სიბრაზისაგან ცეცხლებს ჰყირიდა პირიდგან.

— შენ იმას ეპრანჭებოდი. შენ იმასთან უთუოთ რომანი გქონდა რამე. ნერა სა მოგწონს იმ თავთხელა აღამიანში? მითხარ, შენი ღვთის გულისათვის! მითხარ!..



ბევრი ამ გვარი ილაპარაკა, იბობოქრა. ყოველ იმის სიცავაში მოსჩანდა ჩვეულებრივი მამაკაცური თვითმპურობელობა და ბატონობის სურვილი.

იქნება მეც ძლიერ გვჯავრებულიყავ, რომ ის ისე სასა-ცილო არ ყოფილიყო და თავისის სასაცილოებით არ გავეცინებინე.

არა მოიპოვება იმისთანა დედაკაცი, რომელიც კმაყოფილი არ იყვეს იმ შემთხვევით, როდესაც იმის არჩეული სატრიუ ეჭვიანობით იტანჯება...

რამდენიმე ხნის შემდეგ ის დარცხვენით იხდიდა ბო-დიშს.

4 თქმულებური.

კიდევ ძილმა მიღალატა. მთელი ხროვა საშინელის აზრებისა იბადებიან სიბნელეში და მოსვენებას არ აძლევენ ჩემ ჰქონას.

ვანთებ ლამპას და ვიღებ კალამს, რომ ამით აღვადგინოდავრდომილი ჩემი ლონე.

მე მინდა წერით გავიქარვო ის გრძნობა, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს... გიორგიმ რომ იკოდეს ეს ჩემი საშინელი ლტოლვილება, მოვიდოდა ჩემთან... იმ წამშივე... უცებ გაიღებოდა კარი და... თავისის ბოხის, სიყვარულით საესე ხმით დამიძახებდა სახელს... იმისი სიტყვები ხანდახან კოცნა სა ჰგავანან... რა აღტაცებით მივვარდებოდი, ჩავეკვროდი გულ-ში თავდავიწყებამდე... რა სამოთხე გამოისახებოდა ჩემ გულში... რა სიხარბით შევსვამდი იმის კოცნა-ალერს... არა ფრის წინ, არაფრის წინ არ შევსდგებოდი.—არის იმისთანა წამები, როდესაც თავის შეკავება შეუძლებელია. მთელი ჩემი არსება თხოულობს, სწყურიან სიყვარული, სიყვარული გიშუ-რი—გამხეცებული!

მე მინდა მოვეხვიობ ბალიშს და ავქვითინდე...

ჩემი გრძნობის მღელვარება ისეთივე თავისებური და ცვალებადია, როგორც მთელი ჩემი სიცოცხლე. მე ვიტანჯები ამ გრძნობებით.



მე მაკვირუებენ ადამიანთა ჩვეულებანი და შეხედულება ნი: ნუ თუ ერთი მისხალი ოქრო, ნიშნის ბეჭედზედ მოხსა რებული, მეტს უფლებას უნდა მაძლევდეს სიყვარულის გამოსახატვად, მანამ თვით სიყვარული?

ნუთუ უგუნური სიცილ-ხარხარი, ქორწილში გადაქრულის შემპანსკის მოწყალებით გამოწვეული, აუცილებლად საკიროა იმსთვის, რომ მხოლოდ ამ წამიდან მივეცე საცეცით საყვარელ არსებას?

მანამდინ კი უნდა დავიხშო გონება, შევიხუთო სულის კვეთება, ჯრი ჩავიკეტო ხალხთა ვიწრო ჩვეულებათა მოწყალებით?

საყდრიდგან, მხოლოდ საყდრიდგან უნდა წავიდე ქორწინების სარეცელზედ... რა საძაგლობა! რა უშვიერობა!

რამდენადაც ქორწინება საკიროა ეკონომიკურის კეთილგანწყობილებისათვის ადამიანთა შუა, იმდენათ დამამცირებლად მიმაჩინა კერძო კაცთა სიყვარულის გა: აზომავათ და საუწყებლად.

მე ვწყვეტ ბორკილს და თანა ვგრძნობ, რომ ძალა არ მომყვება ამის გასაწყვეტათ!

5 ოქტომბერი.

დღეს დილით გამაკვირვა გიორგიმ იმითი, რომ უდრიოთ მოვიდა და თან დაუკითხავად შემოვიდა ჩემ ოთახში. მე მეცვა დილის მხიარული კაბა და ის იყო თავის დავარცხნა გავა თავე. იმან არა თუ ბოდიში არ მოიხადა, თავიც კი არ დამიკრა რიგიანად. ის პირდაპირ გადამეხვია, მაგრად ჩამიკრა გულში და პირდაპირ ტუჩებში მაკუცა. იმისმა კბილებმა ტუჩები გამიკაწრეს... საშინელის აღელვებით წამიტუტუნა:

— ვერა, მთელი ლამე გავათივ შენს სურეილში!

მე ღონევ არა მქონდა ერთის სიტყვითაც მეპასუხნა. ჩემი გონება გატაცებული იყო იმ სასწაულთ-მოქმედებით, რომ ლითაც ერთ გვარად ვყოფილიყვავით შეპყრობილი მე და ის წუხელის.

გიორგი იმგვარად თავისდღეში არა ყოფილა აღელვებული. ერთის ხელით თმებს მიშლიდა, მეორეთი მაგრა ვყავდი მიკრული. ლოკები ანთებული ჰქონდა, თვალებით თითქო უნდა გადავეყლაპნე, შთავენთქე. თან დაჭრილ ნადირივით კვნესოდა. მე შუბლზედ ხელი გადავუსვი და ვკითხე: — რა დაგემართა?

— ეს სიხარულისგან მომდის, სიხარულისგან, სხვანაირის სიხარულისგან, ჩემო ვერა! ბუტბუტებდა ის.

— სხვანაირის სიხარულისგან? რა გვარს, რაზედ?

— ეხლა შენ მე მეკუთნი, ჩემო ვერა, მე და სხვას არავის, მხოლოდ მე დაბეჯითებით სთქვა იმან და უფრო მაგრა მიმიკრა, მიმიკულიტა გვერდზედ.

მე განვთავისუფლდი იმის მკლავებიდგან და მოვთხოვე უთუოთ აესხნა ის თუ რა გვარ სიხარულს ჰქონდნობდა. თურმე მიზეზი ის იყო, რომ დღეს მიერთ იმას პროფესორის ალაგი და ამ გარემოებით შეეძლო დაეჩქარებინა ჩვენი ჯვარის წერა: დღეს, ხვალ, ერთი სიტყვით, რაც კი შეიძლება საჩქაროთ...

მე სიხარულისგან გულის ცემა შემიდგა... მუხლებმა კნკალი დამიწყო... ბედნიერების გრძნობამ კინალამ დამახრით. მაგრამ ეს მხოლოთ ერთის წამით მოხდა. მე შევეკითხე:

— მართალს ამბობ, გიორგი?

— შენ, როგორც მგონია, არცკი გიხარიან, მითხრა იმან და კიდევ მიმიკრა გულზედ.

— ჩემო ცოლო! ჩურჩულებდა ის — ჩემო ძვირფასო ცოლო, ჩემო ალთქმულო მეუღლევ!

იმის გამოთქმაში „ცოლო“ რაღაცნაირად, სხვანაირად გაისმოდა. მთელი მამაკაცის სიწრფეელე გამოიხატებოდა ამ გამოთქმაში და თან ხელშეუხებელი მფლობელობის სურვილი ჩემზედ, ბატონობის კილო...

ამ დროს ოთხში დედა ჩემი შემოვიდა. იმას ნათლად შეეტყო, რომ გიორგის ასე ადრე მოსვლამ გააკვირვა.

— გიორგი პროფესორია! შევეკირე მე. — ხვალ ჩვენ ჯვარს ვიწერთ! დავუმატე მე მოუფიქრებლად.



დედა ჩემი გაფიორდა და გადამეხვია. გიორგის აღტაურებულის ბულის გრძნობით გადახედა. ამასთან, როგორც მიღებულია, დედამ მრავალი დარიგება და ლოცვა-კურთხევა გვიძლვნა. მე მივეყრდნე გიორგის გულზედ და ტირილი მოვრთე. დედა ჩემი თვალებს იწმენდდა.

დაბე.

კიდევ და კიდევ უძილოთ ვათევ დამეს. ჩემი სული ბობოქრობაშია. მე ვცდილობ ბედნიერი ვიყვე, მაგრამ ნაძალა-დევად ბედნიერება შეუძლებელია. ბედნიერება მე რაღაც მწუხარებას მანიჭებს. ჯვარის წერა 15 დეკემბრისთვის არის დანიშნული.

ნუ თუ ჩემი სიყვარული ისე მცირეა, ისეთი უძლოური, რომ მას ძალ არ უძს შეიგნოს. სიყვარელი კაცის ბედნიერება?

მე ვწონავ ყოველ ფიქრს, ყოველს გულის მოძრაობას. მე ვაკვირდები ჩემ გრძნობებს, იმათ უსაიდუმლოეთა კუთხეებს ვჩხრეკავ, იქ მინდა ვიპოვნო ჩემ გრძნობათა კაშანი. იქნება მეც ისე, როგორც მრავალნი სხვანი ამ შემთხვევაში, მხოლოდ მივდევ ჩემ ბედს უაზროდ? ან იქნება მამჩემის ძლიერი სურვილი—რომ მე მდიდარს გავყოლოდი, ასე სჩრდილავს ჩემ ოცნებს?

ან იქნება ეს ის წინადგრძნობაა, რომელიც მე მომელის მომავალში და აჩრდილებს ჩემ სიხარულს...

მე ცრუმორწმუნავობ...

8 თქმომბერი.

დღეს ჩემთან იყვნენ მთელი გროვა ესრედ წოდებულ მეგობრებისა. სუყველანი ისე მიცნობენ, წროგორც ადამიანს, რომელსაც შეიძლება მიანდო ყოველ გვარი საიდუმლოება... სრულის გულის სიწრფელით ვიზიარებდი. იმათ სიხარულსა და მწუხარებას. ჩემსას კი თავის დღეში არავის ვუზიარებდი. ასე აღმზარდა ჩემმა მარტოკაობით გამოზდამ. მე ყოველთვის გულჩათხრობილი ვიყავ, არ მიყვარდა ჩემ თავზედ წარა-მარად ტიკ-

ტკი. ჩემმა დანიშვნამ ყველანი გააკვირდა. ისინი მობრძანების და მომსახულების გადაცემის შესახებ ჩემი სულთა მღელ-ვარება.

ჩემი სიჩუმე გულს უმღვრევდა ამ ცნობის მოყვარეთ. რეგინა—მხოლოდ ის, ერთად-ერთი ჩემ ამხანაგთაგანი, ცოტათ თუ ბევრად გამოიწვევდა ჩემ თანაგრძნობას; ცოტაოდნად კიდეც იცოდა იმან ჩემი რომანის სათაური. დანარჩენების ლიკლიქს, ჩემის ბეჭნიერების შესახებ, მე ყურსარ ვუგდებდი, ვიცოდი, რომ იმათ მხოლოდ გარეგანი შეხედულობა ჩემის ქორწინებისა უნდოდათ დაენახათ.

როდესაც მე ვაკვირდებოდი ამ ჩემ მნახველთ გროვას, რომელიც დიდათ არ გაირჩევოდნენ ერთი ერთმანეთისაგან თავისის მოკლე ჭიუით და ქარაფშუტობით, რომელიც პეპელების სიმსუბუქით გადაფრინდ-გადმოფრინდებოდნენ ტრფიალებიდან ტრფიალებაზე და გათხოვებას მხოლოდ ისე უყურებდნენ, როგორც ადვილს გზას ცხოვრების ფუფუნებათა მისახწევად, ჩემ გულში ვფიქრობი, რომ ჯერ კიდევ ძრიელ შორს არის ის ღრრო დედაკაცის ეპანიპაციისა, როდესაც ის შესძლებს აიხადოს მამაკაცის თვითმპურობელობა და მისი შეუზღუდვი აპეკა თავიდან მოიშოროს.

სუყველა ეს ზერელედ მოაზრე ქმნილებანი თუმცა განათლებულიად ითვლებიან, მაგრამ ყოველ დარბაისელ ფიქრს და საქმეს კი შორს გაურბიან.

ისინი მოუფიქრებლად თხოვდებიან, არ დასდევენ იმას, თუ რა მოელით ცოლობის ღროს, რა მოვალეობა ადევთ დედობისა, აღმზდელებისა. ისინი მხოლოდ ბეჭნიერებისთვის, ფუფუნებისთვის თხოვდებიან და როცა ქორწინებაში ცოტას ხედავენ ფუფუნებას და სიამოვნებას, სტირიან, იტანჯებიან, ვერ იტანენ მძიმე ტვირთს მშობლობისა... მეუღლეობისას.

ქალთა აღზრდა მთლად ამ გვარ უწესოებასთან არის მიღ-რეკილი. ზოგჯერ ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მე არ ვიყავ ჩვეულებრივად აღზრდილი და მინებებული ვიყავ ჩემ ბედზედ;



იქნება იმიტომ არ ჩავიფალ მეც სხვებივით ჩვეულებისა
გამხრწნელ წუმპეში...

23 ფქტოშბერი.

სრულებით აღარა მაქეს დრო ჩემ დღიურში ჩასახდავად!
ჩემი დრო მთლად საქმეს და სიყვარულს უნდება.

დიასახლისობა ოჯახისა თხოულობს ჩემს უკეველ დახმა-
რებას. დედა ჩემი საშინლად სწუხს, რომ მე მალე უნდა დავა-
ნებო თავი ოჯახის მოვლას და იმას გადავცე. ახლა მზითვის
მომზადებას, თვით ქორწილის სამზადისს რამოდენი დრო და
შრომა უნდა.

საღამოებით მე ვზიგარ გიორგისთან საღმე კუთხეში მო-
კუნკული. ზოგჯერ მთელის საღამოებით ხმას არ ვიღებთ.
ჩუმად, მშვიდად ვსხედვართ, ერთის სუნთქვით ვსუნთქავთ.
ხანდიხან ის ჰკოცნის ჩემ თითის ბოლოებს, რაღაც დიდმინიშვ-
ნელოვანის დაწყნარებით... ხანდისხან ვუცინით ერთმანეთს...
ამ წყნარ საღამოს უაშ ჩვენ უბედნიერებად ვგრძნობთ თა-
ვებს...

6 ნოემბერი.

ორი კვირა გავიდა მას აქეთ, რაც არც ერთი სტრიქონი
არ შემიტანია ჩემ დღიურში. ორი კვირა გავიდა მას აქეთ,
რაც ბედნიერებით და სიხარულით საესე წამები აღვნიშვნე! მე
კი მონად, რომ მთელმა წლებმა განვლეს მას აქეთ, მთელმა
საუკუნოებმა!

რამდენსამე დღეში შეიძლება სულით დაძაბუნდე. არიან
იმისთანა წამები, რომელნიც სასიკვდილო ჭრილობას უკეთე-
ბენ კაცის გულს.

მე კიდევ არ მომინელებია ზოგიერთა ფიქრები, რომელ-
ნიც უნბლიერ შეიპარნენ ჩემ გონებაში. საშინელის სიმძი-
მით მაწვანან გულზედ. გაღმოუდენელი ცრემლები გულის ში-
გნი შიგან სდულან და სთუთქვენ ჩემ სიცოცხლეს... ისინი ახრ.

ჩობენ იქ სუკელაფერს, მთელს ჩემ რწმენას მომავალ ბედ ნიერებისას ..

ეს მოხდა ამ რამდენიმე დღის წინად. გიორგი და მე ოპე-
რაში ვიყავით. სიმშვინიერე ხელოვნურის ქმნილებისა . ერთი
ათად ძრიელად მოჰქმედობს კაცის გულზედ მაშინ, როდესაც
საყვარელ ქმნილებასთან ზიხარ, იმის სიახლოეցს ჰგრძნობ.

შინ გბრუნდებოდით. ხელი ხელთ გვექირა... რა მშვე-
ნიერი, რა აღმამფრენი შთაბეჭდილებით ვიყავით შეპყრობილ-
ნი. რა გრძნობით სავსე სიტყვებით ჰხატავდა გიორგი ჩვენ სუ-
ლიერ მდგომარეობას. მე კი ვდნებოდი მისის ბედნიერებით
და ვხარობდი მისის სიხარულით. უცებ იმან შესწყვიტა თა-
ვის სიტყვა, ვერ დაასრულა აზრი... მე ისე მომეჩვენა, რომ
ის გაფიორდა კიდეც.

ჩვენ შეგვხვდა ქალი, რომელიც დაჰყრდნობოდა კაცის
მკლავს, ის ყმაშვილი აღარ იყო, სახე მისი მოშმობდა, რომ
ოდესლაც მშვენიერი უნდა ყოფილიყო.

როცა დაგვითხლოვდა, ქალმა გიორგის გადახედა უშვიე-
რის, დიდ შემშვერულოვანის შეხედვით. მისი კაბა გიორგის
განგებ შეეხო. გიორგი შეძრწუნებით მოერიდა.

მე ყოველისფერი გავიგე, მიეხვდი!

რამდენიმე ხანი ხმა ვეღარ ამოვილეთ.

— ვინ ბძანდება ეგ ქალბატონი? ბოლოს შევეკითხე მე.

— ეგ ცოლია ერთის ჩემის უნივერსიტეტის ამხანაგისა.

— შენ იცნობ მაგას?

— დიახ, მას აქეთ ძრიელ დიდი ხანია...

გიორგის თითქო გული უწუხდა ჩემ გამოკითხვებზედ,
მაგრამ მე შეუბრალებლივ განვაგრძე ჩემი გამოკითხვა.

— შენ ეგ გიყვარდა?

— არა!

ჩემი ალელვება თანდათან მძლავრდებოდა.

— მაშ რა ამბავია? არ ვეშვებოდი მე.

— მე კავშირი მქონდა მაგასთან ამ რამდენიმე წლის
წინათ. ეს სიტყვები ისე წყნარად და მშვიდათ წარმოსთქვა



გიორგიმ, თითქო ამბობს: „გუშინ ვახშმად ბატი მომიტებულია თვესო.“

თვალები ცრემლებით ამევსო და მწუხარების გრძნობაში მთლიად შემიპყრო. მე შძულდა, მეზიზლებოდა და ვიტანჯებოდი. ის გაჩუმებული იყო და მოთმინებით ელოდდა იმ ღელვის დაწყნარებას, რომელიც მისმა სიტუვებმა გამოიწვიეს...

რამდენსამე წამში ათასმა ფიქრმა გამიარა თავში. მე ვერ წარმომედგინა, თუ როგორ მოხდა, რომ არასოდეს არ მეკითხნა იმისთვის წარსული მისი ცხოვრების ამბავი, დაბრმავებულის ჩემის პირეველის სიყვარულით, მეგონა, რომ ისიც ხელ შეუხებელი იყო.

ის შხირად მარწმუნებდა, რომ დღემდინ არავინ ჰყვარებია. მე კი იქამდინ გულ-უბრყვილო ვიყავ, რომ ვერ წარმომედგინა თუ უსიყვარულოთ ვისთანმე კავშირი შესაძლებელი იყო იმისთვის... იმისთვისაც ისე, როგორც სხვებისთვის... დიახ უსიყვარულოდ... აი, რაშია სისაძაგლე, ჭუჭყიანობა, სულ მდაბლობა...

ამ დროს შეფურთხებული იყო ჩემი წმინდათა-წმინდა და ვეღარაფრით-და განიწმინდებოდა ეს შეფურთხებული ჩემი რწმენა...

დიდხანს მივდევდი ჩუმათ. მე ვებრძოდი ჩემ გრძნობას. მინდოდა დამშვიდება. მერე მოვინდომე გამოკითხვა, შეტყობა ყველაფრისა, გაგება დაწვრილებით სუყველაფრისა, სუყველაფრისა... მინდოდა ხელი ჩამეყო იმის გაბრწნილ იარაში...

— გიორგი, მიამბე სუყველაფერი, უთხარი მე. იმან ალერსით მიიღო გულზედ ჩემი ხელი.

ის მოელოდა ჩემსგნით გაანჩხლებას, საყვედურს, შეურაცხებას. ის ვერ მიხვდა ჩემ ვაებას, ის დაამშვიდა ჩემმა თავის შეკავებამ და... ჩვენ შუა გაჩნდა უსაშინელესი ნაპრალი.

— დიახ, შენ სუყველაფერი უნდა იცოდე, ჩემო ვერა! მე არაფერს არ დავმალავ შენთან, სოჭვა იმან.

და დაიწყო თავისი ამბავი.

უსამზღვო ალექსით და კეთილის სურვილით მან დასწინა ჩემი უმანკო სული და დედამიწასთან გაანადგურა მისის სიყვარულით აშენებული ჩემი ბედნიერება.

მე ის ღვთაებად მიმაჩნდა, ის კი ისეთივე მომაკვდავი აღმოჩნდა, როგორც სხვა სუყველა მომაკვდავია. აი, რაშია ჩემი უბედურება და განა ეს საქმარისი არ არის, რომ ფეხით დაითრეგუნოს ყვავილები ჩემის ქალწულებრივის აღტაცებისა!

მე ვერ გავიმეორებ სუყველა იმ სისაძგლეს, რაც კი მე იმან მამხილა. მე ღონე არა მაქვს ვიჩქენო ის ჭუპყი, რომელიც მისცებოდა იმას სიყმაწვილიდგან...

ის სცხოვრებდა ისე, როგორც სცხოვრებენ ყველა მამაკაცნი. ადგილიდ შეყრა-კავშირი, უსიყვარულოთ გადაკიდება პირველ შეხვედრილ დედაკაცთან, ფულით ნაყიდი სიყვარული სუყველთვის, როცა კი შემთხვევა მისცემდა, ერთი სიტყვით, სუყველა ის, რაც კი კაცში ჰკლავს მის საუკეთესო მხარეს და კი არ აკმაყოფილებს არაფრით. ის თავისუფლად, გაბედვით ამხელდა თავის ჩირქიანობას. არც ესმოდა ფასი უმანკოებისა და ვერც წარმოიდგენდა, რომ საჭირო იქნებოდა ოდესშე პასუხი ეგო თავის დანაშაულობაში იმ ქალისთვის, რომელიც სკეტაციით წმინდა და უმანკო შეეყრებოდა იმას. არა, ამ ქალს, ამ ქალის სიყვარულს მთელი წლის თავშეკავება შესწირა და ესეც დიდ მსხვერპლად მიაჩნდა იმას!..

ამაზედ მეტი რა მოეთხოვებოდა. რაც იყო, ის სულ სიყვარულის მოთხოვნილება იყო და ჯან მრთელობის აუცილებელი... მკურნალი აუცილებლად სთვლიან... გარდა ამისა, სუყველა ასე იქცევიან, ის რათუნდა ყოფილიყო უთუოთ ხელ-შეუხებელი? გაკვირვებული ვარ, როგორ დავსეირნობდი სალამოობით იმასთან ხელ გაყრილი, რატომ ვერ ვიგრძეს ის მამაკაცური, პირუტყვული აღელვებანი...

ჩემი აღშფოთება თანდათან მწვავდებოდა და ჰელვავდა მთლად ჩემ არსებას, მოშამულ გველივით ჰგესლავდა ჩემ გულს.

უკელა ამას დაუმატა რამდენიმე ბოლიში, ფრიად უბრძა-
ყვილო უწოდა ქალის გულს და მთხოვა დამემორჩილებინა
როგორმე ჩემი გულის ზიზლი.

ტუჩჩედ კბილი მოვიკირე, რომ არ შემეკიცლა. გამო-
თხოვებისას მომეხვია. მე მინდოდა ზიზლით ხელი მეკრა, მა-
გრამ ვერ გავბედე — ამისათვის მძაგს ჩემი თავი!

მე შევირბინე ჩემს ოთახში, დავეგდე ლოგიზე და წიმ-
წარით ბალიშს დაუუწყე წიწკა, ტირილისთვის ჩემი მწუხა-
რება შეტად მწვავი იყო. ცრემლები ვერ გაპანდნენ იმას.

დიდ ხანს ვირბინე შემდე ოთახში, ჩემი ძარღვები უკი-
დურესობამდე იყვნენ მოშლილნი, ხან ფეხებს ვაპარტყუნებდი,
ხან ხელებს ვიქნევდი, ერთხელ მუშტიც შემოვკარ ფანჯრის
შუშას და მის ზრიალს ყური არც კი მივაპყარ. მხოლოდ გან-
თიალისას დაშოუმინდა ჩემი საშინელი აღელვება ცხარის მდუ-
ლარებით...

მას აქეთ რამდენმა დღემ განვლო. საათები საშინელის
კუს ნაბიჯით მიღიან, ჩემი სულის მდგომარეობა უნუგეშო.

შეგი ფიქრები, როგორც მოშხამული ნესტარი, ისე მივ-
ლიან გულ-გვემში.

გიორგი იმ სალამოს შემდეგ უფრო თამამათ არის, თით-
ქო რაღაც სიმძიმე შოებსნა მხრებიდან. ის არც კი ეჭვობს იმ
დამსხრევაზე, რომელიც ჩემში მოახდინა. მე არ შემიძლიან იმის
დანახვა, ვემალები, არა მსურს მას გავუზიარო ჩემი მწუხარება!

10 ნოემბერი

ის, რაც წინად მახარებდა, ეხლა მხოლოდ მწუხარებას
მანიქებს. ყოველ გვარი ლაპარაკი ჩემს მომავალ ოჯახზე გულს
მიწუხებს. გიორგის უზომო ტრფიალი მზიზლს, ამ დროს ყო-
ველთვის თვალ-წინ მიღვანან ის ქუჩის დიაცნი და ქმართა მო-
ლალატე დედაკაცნი, რომელთაც ის ჩემ წინად ეხვეოდა!

მე მაშფოთებს იმის ყურება. მგონია, ის იმ დროს მე
თავის ფიქრში ტიტვლად მირდგენს. რაღაც საზარელმა ძალაშ
სამუდამოდ წამართვა, მომტაცა წინანდელი გიორგი.



იმას წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენ შორის ჩარსულია ჩახირულია იმის წარსული ცხოვრება.

ის მარწმუნებს, რომ თავის უზომო სიყვარულით და უზრახველის ცხოვრებით მომავალში განაქრობს ამ ბოროტს, განაქრობს უთუოდ, თუ საჭიროა, თავსაც გასწირავს ამისათვის...

ზოგჯერ მგონია, რომ დაბრუნდა ჩემში უწინდელი ტრფია-ლება... და მზათ ვარ გრძნობით გადვეხვიო. რა სიცხოვლით, რა ძლიერის გრძნობით ჩავიკრავდი გულში, გავათბობდი ჩემის მწვავის სიყვარულით, დავახრჩობდი განუწყვეტელის კოცნით, ტებილის ალერსით განვუქარვებდი იმას შუბლზე ალექსილ მწუხარებას.

მაგრამ აქ მოვონება იმის წარსულის ცხოვრებისა საში-ნელის სიცხოვლით ამეუფებება ხოლმე თვალებ წინ და წაშლის ყოველისფერის...

მე მგონია რაღაც უნდა მოვიქმედო, რაღაც საშინელი, უნდა გადავწყვიტო რითიმე ეს სულის შემხუთი და გონების შემრყევი მდგომარეობა, არ ძალიძის განვაგრძელო...

15 ნოემბერი.

მე არ მინდოდა ავყოლოდი გრძნობას, ის ზოგჯერ უსა-მართლოა, და მოვინდომე სუსყველაფრის შემემოწმებინა გონებით.

მე დავიწყე კითხვა სუსყველაფრისა, რაც კი შეეხებოდა მამაკაცთა ცხოვრებას. ვიშვანე სამეცნიერო წიგნები, სადაც თავისუფლად და ვრცლად იყო ლაპარაკი იმ საგნებზედ, რო-მელთაც სრულიად გაახუნეს, წარჩყვნეს ჩემი იდიალები...

ფაკტები, ულმობელი ფაკტები სრულიად ეთანხმებოდნენ ჩემ დარღვეულ წარმოდგენას, იმათ საესებით გაპფანტეს ყოვე-ლივე დარჩენილი ჩემი ოცნებანი. თუმცა კი სრულებით ვერ შეარყიდს ის ჩემი დაბეჯითებითი რწმენა, რომ ვაუკაცისათვისაც შესაძლებელია უმანკო ცხოვრება, შეუმწიკვლელი წარსული სიყვარულამდე.

ზოგიერთ ამ წიგნთაგანში ცივად და მეცნიერულად აღ წერილი იყო ის ავადმყოფობა და ჯანის სიუძლურენი, რო-

მელნიც უცოლო კაცის თავ-შეუკავებლობას მოსდევს ხოლმე; აგრეთვე აღწერილი იყო ის გონებრივი და ფიზიკური გადა-
გვარებანი, რომელიც გარყვნილებას მოსდევს ხოლმე.

აქვე ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ ადრე ქორწინებას შეუძლიან დაიცვას ჯან-ხალი და ღონით სავსე შთამომავლობა.

მე გამაკვირვა იმ შემთხვევამ, რომ არც ერთ იმ წიგნში არ იყო მოხსენებული, რომ დედაკაციც საჭიროებს მამაკაცთან დამოკიდებულებას...

15 ცეკვებური.

გიორგი როგორც აჩრდილი ისე დამდევს ყველგან და გარს მახვევს თავის სიყვარულს და პატივისცემას. მე კი არ შემიძლიან იმითივე ვუპასუხო. დაღალული, ფერმკრთალი და ყოველგვარ გრძნობიერებას მოკლებული, ვდგევარ მის წინ.

ის ინსტრუმენტი გრძნობს ჩემს სასოწარკვეთილებას, მა-
გრამ უთუოთ ღონე არ მოსდევს მის გასაქარვებლად.

— ვერა, მოთხრა ამან გუშინ: — რომ შეიძლებოდეს ამო-
შლა ჩემის წარსულის ცხოვრებისა, სიამონებით მივცემდი მთელ
ჩემ მომავალ სიცოცხლეს.

მე ძირს ვიყურებოდი და არც ერთი სიტყვით არ ვანუ-
გეშე. „სულ ცარიელი სიტყვებია“ ვფიქრობდი მე.

იმან კი ვანაგრძო: — ვერა, დამიჯერე! თვით საზოგადოე-
ბა ღუპავს ვაჟკაცს, ის არამცოუ არ სდევნის, არ სძრახავს, პირ-
იქით, თვით ანაყოფიერებს და ხელს უწყობს იმ ნიადაგს, რო-
მელზედაც აღმოჩნდებიან ხოლმე ამ გვარნი შედეგნი. დამიჯე-
რე, ჩემო ვერა, ჩვენ არც-კი ვიცით თუ რას ჩივდიგართ! პირ-
ველსავე შედერების წლებში ვცვივით ამ ჯოჯოხეთში. ჩვენ
ვსარგებლობთ წამებით, ვფრინავთ ყვავილიდგან ყვავილზედ
პეპელებისაებრ. ბევრი ცუდი, ჭუჭყიანია ამ გვარ ვაჟკაცის
ცხოვრებაში...

— რა საჭიროა ფილოსოფია, როდესაც კაცმა თვითონ-
ვე შეაფურთხა თავის საქციელს! — მიუგე მე ციფად. არა ვი-
თარმა სიბრალულმა არ გაიღვიძა ჩემ გულში.



იმის თვალებში ამოციკითხე უზომო სასოწარკვეთილებში და შეძრწენება.

— ვერა, დაიწყო კიდევ გიორგიმ,— კაცს შეუძლიან განიკურნოს, განიწმინდოს სიყვარულის ბრწყინვალებით! თავ-განწირული ცხოვრება განაქრობს წარსულის აჩრდილს. უარს ნუ მეტყვი, ვერა, მხოლოდ დამეთანხმე, რომ განახლება შესაძლებელია!

იმის ხმაში ისმოდა მწერხარება და თხოვნა. მე მხრები ავიწიე, ვინ იცის, იქნება მართალიც იყვეს! მე არ მინდა ამაზედ ლაპარაკი.

20 ნოემბერი.

მე ვერა გადამიწყვეტნია-რა.

თვალი გადავავლე ჩვენ დამოკიდებულებას და მაზედ მინდოდა აღმეშენებინა ჩვენი მომავალი.

გუშინ ვკითხე გიორგის!

— შეგეძლო შენ შეგერთო უნამუსო დედაკაცი? იმან შიშით შემომხედა და წყნარად თავი გაიქნია.

მე გავიფიქრე, აგანა სუყველა ვაჟკაცნი უნამუსონ არ არიან? უთუოთ მიხვდა ჩემნაფიქრალს, ის ისე დაიღრიცა, თი-თქო სილა გაჰკრესო.

23 ნოემბერი.

ჩემი პირადი ტანჯვა თითქო მიმსუბუქდება, როდესაც ვაკვირდები და მინდა შევიგნო საზოგადო სენთა მიზეზი. მე ვგრძნობ მთელის ჩემის არსებით, რომ სუყველაფერი მიღებული და დაწესებული დროთა ვითარებისაგან შეიცვლება და პიროვნებას, ჩვენი აღზრდის პროგრამაში მიღებულის და ძლიერებას შეეძლება გადალახოს, გზა აუქციოს და ნელ-ნელა შესცვალოს აღამიანთა ზერბად ქცეული ჩვეულებანი. მე ვფიქრობ, რომ სქესებრივი ეტიკის მოთხოვნილებანი მიაღწევენ იმ დრომდინ, როდესაც ვაჟკაცნა გამოისახება მამა კაცის მხრით არა თავდაუჭირელ გარუვნილებაში, არა-

მედ უზაკველ ცხოვრებაში, იმ გვარ უზაკველში, როგორიც მოეთხოვება ღრმას და ძრიელ სიყვარულს, რომლისათვისაც არავითარი ზეარაკი გასაჭირი არ არის.

მაშინ დედაკაცნი აღარ იქმნებიან მხოლოდ სქესებრივის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განწევებულნი და აღარ გაისყიდებიან მოედანზედ სხვა სავაჭროსთან ერთად; მაშინ და-დგება ხანა უკეთესთა და უმაღლესთა იდეალთა სატრაფიალო. უმაღლესი ბედნიერება პატიოსანის ცხოვრებისა კაცის და ქა-ლის კავშირისა, რომელიც ეხლა ხვედრია მხოლოდ რჩეულთა, თან-და-თან გახშირდება და მოვა დრო, როდესაც მას შეიგნებს მთელი კაცობრიობა.

მზის სხივებიც ხომ ჯერ მთის მწვერვალებს მიადგებიან ხოლმე და მხოლოდ შემდეგ ჩამოდიან ქვეით და ქვეით მინ-დორ-ველებისაკენ, ბოლოს დამყაყებულ ქაობსაც მიადგებიან...

25 ნოემბერი.

მე დღეს გამაზომეს საგვირგვინო კაბა. სამი კვირის შემ-დეგ ჩემი ქორწილია. წინათ ეს აზრი წარმომიყენებდა უტკბეს ფიქრთა მორევს, ოცნებათა მშვენიერ სიზმრებს...

ეხლა კი მეშინიან იმ დღისა. სუყველა ის, რაც მე მი-მაჩნდა უმაღლეს ბედნიერებად, განჰქრა, წაილო ნიაღვარმა ჩე-ის უზომო მწუხარებისამ.

ეხლა ყოველ ჩემ ძარღვის ცემაში ვხედავ მხოლოდ ცუდს, საზიზღარს...

ზოგჯერ მგონია, რომ მე თვით გავჭურყიანდი ამ დაუშ-რობელ ფიქრთა მორევში.

გიორგი ჰერმანიძეს, რომ ხელიდან ვეცლები. ის ვერ ჰპე-დავს ხელი შემახოს.

ხანდისხან იღვიძებს ჩემში აღგზნებული სურვილები და თითქო უნდა მოვლება...

მაგრამ, აქ წარმომიღება სურათი იმის წარსულის ცხოვ-რებისა და მთლიად მოვიშლები, ულმობელი ვხდები...

ამ წამებში მე ვკრძნობ, რომ არ შემიძლიან გიორგის ცოლობა ვიკისრო.

აი, როგორ არის დაფლეთილ-დაწიწვნილი ჩემი სული და რა სასოწარკვეთილებამდეა მიღწეული ჩემი მდგომარეობა.

29 ნეკებერი.

დღეს მე ქალაქ გარედ გაველ და უმიზნო ხეტიალის დროს შევხვდი თმა-ხუჭუჭა გოგოს. ის მოწყალებას თხოულობდა; იმის თვალები მიყურებდნენ ისეთის მუდარით, თითქო უსიტყვოთ უნდოდა გადმოეცა მთელი თავის მწუხარება და ეთხოვნა ნუგეში.

მე რაც კი მქონდა თან, სულ მივეცი.

იმან მითხრა: „დამერთმა დაგასაჩუქროსო“. იმის ბავშური ხმა სუსტი და მწუხარე იყო... საშინელმა სიბრალულმა შემიპყრო, დავიხარე და ალერსით თავზედ ხელი გადაუსვი ამ საბრალო ქმნილებას.

თმა-ხუჭუჭა გოგომ ტირილი მორთო და ხელებზე დამიწყო კუცნა... რამდენი გრძნობა იყო მადლობისა ამ ტირილში... იმას ჩემმა ალერსმა ბედნიერების სხივი მიაფინა...

მე სიამოვნებით დავდგებოდი იმის ალაგის და ხელს გავი-შვერდი თვალებ ცრემლიანი და ხელ აპყრობილი ზეცისკენ... კოხოვდი სიწრფელეს, ძრიელებას და სულის სიმშვიდეს... რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ უმანკო ბავშვის სული ჩანერგი-ლიყო ჩემ გუნებაში...

მაგრამ ვინ მომცემდა ნათხოვნს, ვის ესმის, ან ბევრს ესმის თავისი სულის სიგლახაკე? გამვლელნი თითქმის ყველანი კმა-ყოფილნი სჩანან თავის ერთფეროვნობით... უარარაობით...

1 დეკემბერი

დღეს გიორგის გამოსათხოვებელი წერილი მივწერე. იმის-თანა წერილი, რომელშიაც სტირი და მოსთქვამ შენი ტანჯ-ვის ძლიერებას და უურს კი არ უგდებ მათ მნიშვნელობას. მრავალი სიტყვა დაიწერა იმ დაკარგულ ბედნიერებაზედ, რომე-

ლიც საუკუნოთ მოიშალა ჩვენთვის, იმ ფეხით გაქელილ იქნებზედ, რომელნიც შედეგნი იყნენ უგუნურებია და უხასიათობისა და სხვა მრავალი ჩვეულებრივი საბოლიშო და სასაკვედურო ფრაზები ამ შემთხვევაში...

მე თითონ შემრცხვა ჩემის ნაწერისა და მაშინვე დავგვლიჯე.

ამ წამში თითქო დავძლიე ჩემი გრძნობა.

მე მინდა გამოვფხიზლდე ამ ჩემის საშინელის ეჭვიანობისაგან, მინდა ღონიერი ვიყვე და დავძლიო ჩემი თავი, მინდა ბედნიერი ვიყვე, შთავინთქა სიყვარულში და არა მოეთხოვო-რა საყვარელს სამაგიეროდ. მინდა, როგორც მზე ერთ გვარად ანათებს ყოველ ცხოველს და არაფერს სამაგიეროს არა სთხოვს, ისე მე მინდა მივეცე გატაცებით, უფიქრელად...

რა სუსტი და პატარა იყო აქამდინ ჩემი სიყვარული! იქნება იმაშია ამის ძლიერება, რომ უნდა გადააბიჯოს ჩემის გვამის ნაფერფლარს...

2 დებემბერი

მე კმაყოფილი ვარ ჩემის გადაწყვეტილებით. ის იქნება ჩემი სიყვარულის ძლიერების წინდათ. ყოველი სიწვრიმალე და სიმდაბლე გამშორდნენ მე. დედაკაცი თვალში მაღლდება მაშინ, როდესაც იტანჯება და ამიტომ თუ სტანჯვენ იმას ასე შეუწყვეტლივ!

4 დებემბერი

ბინდისას ჩემ ოთახში შემოვიდა გიორგი და ფანჯარასთან მტრირალი მნახა.

ცრემლები მიმსუბუქებდნენ მწუხარებას, მამშვიდებდნენ. ის უთუოთ მიხვდა ჩემ მდგომარეობას და უსიტყვოთ გადამეხვია, მიმიკრა გულზედ. იმის კოცნა მიდაგავდა სახეს. მიალერსებდა უზომო ტკბილის და თან გიუურის სიტყვებით. მერე დაიჩოქა და მთხოვდა სიყვარულს, მემუდარებოდა დავიწყებისთვის მიმეკა იმისი ბნელით მოცული წარსული.



— ვერა— შეხვეწებოდა ის,— ნუ მახდევინებ მარტო მე მთელ სოციალურ შეცოდებას! ნუ მომკლავ, ნუ წამართოვე სიცოცხლეს, საზოგადოების დანაშაულის და გარყვნილებისათვის! შენ მხოლოდ და მხოლოდ შენ მამხილე ყველა ეგ... რომ სუსელა დედაკაცი ჰქოქრობდეს შენ გვარად, მაშინ სულ სხვა ნაირად მოეწყობოდა კაცთა სიცოცხლე. შეიძლება დადგეს ისეთი დრო, როდესაც ვაუკაცნი ისე გაუფიხილდებიან თავის უმანკოებას, როგორც წმინდათა წმინდას. გარყვნილი ცხოვრება უთუოთ მოისპობა, უთუოთ!

ეხლა კი, ჩემო ვერა, ნუ მომიღებ ბოლოს, გამოიგლიჯე შენის წარმოდგენილან ეგ საზიზლარი წარსული. გემუდარები, ვერა, გემის?

ის მომენტია მუხლებზედ და მთლად თრთოდა იმისი სხეული...

ნელა და გრძნობით შევხე იმის შუბლს... მერე თავზედ ხელი გადაუსვი...

— ვეცდები! ვუთხარი.

იმან თავი მიაყრდნო ჩემ გულს და მწარედ აქვითინდა...

5 ღებეშებერი

ჩვენ დავიჭირეთ პატარა, მაგრამ ლაზათიანი ოთხი ოთხი მეოთხე სართულში, რომელიც მდებარეობს მიწყნარებულ ქუჩაზე.

მოწყობილება ჩვენის სადგომისა მთლად შეესაბამება გიორგის მხატრობრივ გემოვნებას. სუსელგან სისადავეა, თვალის ამჭრელი ფერადები არსიდგან მოსხანს. იმას არ უყვარს არც მყვირალა როკოკო და არც გამონაქვთული ბაროკო— სუსელგან დალაგებული ინგლისური სტილის ზოლია გავლებული.

კედლებზედ ჩამოკიდულია ძველი ხელოვნების ნამოქმედარნი: ლეონარდო, ბელინი, ბოტიცელი და სხ. საყვარელნი შემომქმედნი გიორგისა და კოპიო „მცვდარის კუნძულისა“ ბეკლინისა...



ხელოვნება მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ ის უკული საჭირო არ არის. ის თითქო უნდა შეაღენებეს გემრიელ ლუკ-მას მხოლოდ კუჭთ მოყვარეთათვის. უკანასკნელი კი ყოველ-თვის ბედნიერათ გამოიყურებიან....

ზოგჯერ ჩუმათ გავიპარები ხოლმე ამ საღომში... სრუ-ლიად მარტო... აქ მე საშინელის დაკვირვებით მსურს გავი-თვალისწინო შორეული ჩემი მომავალი...

მეშინიან იმ წამის წამოყენებისა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ.... რამდენიმე დღე....

და მაშინ...

ერთი ოთახი სრულებით ცარიელია...

დღეები ჩემი თვალების წინ ისე მიღიან, როგორც გამო-უცნობი წერტილები. ყოველ მათგანს შეუძლიან მომიტანოს რაიმე მოულოდნელი, საოცარი ან ახალი... მეხანიკურად ვას-რულებ ყოველ ჩემდღიურ საქმეებს, მეხანიკურად ვფიქრობ ჩემ მუდმივ განუყრელ ფიქრებზედ.

ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი გრძნობიერება ორათ იყო-ფა: ერთი იმათგანი ყურს უგდებს, მეორე კი გრძნობს და იტინჯება. ერთი დაუზოგველად სჯის მეორეს... უკანასკნელი იწვის უიმედობით. ერთი თავის უარაհაობით ეგოისტი და ცრუა... მეორე — წრფელი და სამართლიანი.

ორთავ ეს მებრძოლნი მხარენი ჩემის მგრძნობიარებისა იხ-ლართებიან ერთ-ურთ უარის ყოფაში და ჩემში ახდენენ სა-შინელ მღელვარებას.

ყურის მგდებელი მეუბნება: „დაემორჩილე, რადგან გი-ყვარს“ და მტანჯელი: „უარჲყავ, რადგან გიყვარს!“

აი, ჩემი ცხოვრების რყევა, გაუთავებელი ქანიობა ზემო-დან ქვემოთ... გიორგიც სულის შფოთვით არის შეპყრობილი.. იმედებით საზრდოობს პატარა ბავშვივით, ეძლევა ზმანებას ბედნიერებისას და სიყვარულისას.

ეს რწმენა სასწაულთ - მოქმედებაში კაცის ცხოვრების ბერკეტია.

10 დეკემბერი.

არაფერი არ მაშვიდებს, არაფერი არ მამხიარულებს. მე დავკარგე ნიჭი სიცოცხლის მიზნის შეგნებისა.

სახლში უერ დავმჯდარებ, თითქო ვიღაც მდევნის იქიდგან, და ქუჩა-ქუჩა დავწალებ.

უაზროთ, უსაქმოთ დავეხეტები ხალხში, მეხანიკურად ვჩერდები მაღაზიის ფანჯრებს წინ, ან უგრძნობლად ვუყურებ პირში გამცლელ-გამოცლელს.

ზოგიერთა აზრი მჭვალივით გამეხიდება და მისერავს გულს. ჩემ გარშემო ცხოვრება დუღს, ეკიპაჟები დარბიან, ვაჭარნი ყვირიან, ადამიანები იღვწიან...

დედაკაცები, გადაშვლებილი შლიაპებით, რომელთა ქვე-შილდგან „უბრიალებენ თვალებს“ ყმაწილ კაცებს...

ჩემში იღვიძებს რაღაც სიავაცე... უთუოთ ესენი სულ იმისთანანი არიან... იმისთანანი.

ვაუკაცნი მიყურებენ უნამუსოთ, ლირფად.

ეს ყურება ჩემზედ ისე მოქმედობს, როგორც მახათის წვერის ჩხვლეტა...

უწინ დავდიოდი ქუჩებში და რაღაც გამოურკვეველი ბუ-რუსი ჰეთარავდა ჩემნით ამ ცხოვრების სისაძაგლეს... ეხლა-კი?

ეხლა-კი სუყველაფერი ეხამუხება ჩემ ღირსებას. სუყვე-ლაფერი ჩამდახის შეურაცხყოფას...

ცხოვრებამ დამიპყრო, დამიმორჩილა.

მე სრულიად მარტო ვარ... მარტო, როგორც იანგანი.

11 დეკემბერი.

დღეს ხელი ვკარი გიორგის, როდესაც იმან ჩემი გადა-ხვევა მოინდომა. ასე მეგონა უცებ დავინახე მეთქი მთელი მი-სი სულიერი კუთხეები, სადაც დასტა-დასტად ელაგნენ წარ-სული ცხოვრების ჭუჭუები.

თითქმის ხორც - შესხმულს მოჩვენებასავით წარმომიდგა ის სურათი, როდესაც ის ფულით ყიდულობდა ალერსს. იმის

თვალები სწორეთ ისევე ბრწყინავდნენ, როგორც ეხლა, იშისი ტუჩები ისევე სწვავდნენ, იმის სახეს ისეთივე გამოხატულობა ჰქონდა, როგორც ნასყიდის დედაკაცის გადახვევაში.

ეს მოჩვენება საშინელის ძლიერებით აღიბეჭდა ჩემ ტვინში. მე მინდოდა დამეტყირებინა გოორგი, ჩამომეგდო იმ ტახტიდგან, რომელზედაც ის შეაყენა ჩემმა სიყვარულმა.

იმან თითქო წამპილწა იმ კოცნით, რომლითაც აბედივით სწვავდა თავის სიყმაწყილეს.

მე შეურაცხყოფად მიმაჩნდა იმისი სურვილები, იმისი მრავალჯერ გამოცდილი ალერსი, იმისი სხვაზედ დახელოვნებული ხვევნა-კოცნა.

იმისი განძრახეანი შეუწყინარებელნი იყვნენ, ისინი თითქო ბრიყვული, უნამუსო და შემარცხევნელნი...

ის წავიდა ჩემგნით საშინელის მწუხარებით. აქ მე დავ-რწუნდი, რომ ყოველი კავშირი ჩვენის დაახლოებისა და ერთად ცხოვრებისა სამუდამოთ გაწყდა და ამის გამო ჩემი სიკოცხლის საჭიროებაც მოისპო.

მე არ ძალმის დავიჯერო იმის სიყვარული და იმის ერთ-გულება.

განახლება და განწმენდა, უსირცხვილოთ გატარებულ სიყმაწყილის შემდეგ, შეუძლებელია. ყოველგვარი რწმუნება ამის შესახებ მხოლოდ ფუჭი სიტყვებია...

შეუძლებელია ერთის გაწევით ამოგლიჯო შენის სხეულიდან ის სენი, რომელიც დიდის ხნის ვარჯიშობით ძვლსა და რბილში გამჯდარია.

შეიძლება გაიფხიყოს გარეგანი კანი, მაგრამ ისკი, რაც შეუერთდა სისხლს და რამაც დაუარა ყოველ კუთხეს არსებისას, აღარასფრით აღარ ამოირეცხება, არ ამოიგლიჯება... სუყველა ეს ბევრით უფრო ღრმად არის წასული ბედნიერებაზედ... სუყველა ეს ცხოვრების შუაღამისას გაიღვიძებს და თავის სამარიდგან გაიწვდის ხელებს... თავის მოშხამულის სუნთქვით მოსწამლიას ახლად გაჩენილ სიხარულს...

დღეს თავში როგორც ელვამ, ისე გამირბინა საშინელმა ფიქრმა...

13 ღეგეშერი.

მე საშინლად მაწუხებს ის ფიქრი, რომ დედმამის სანუ-
გეშებლად ყველაფერი უნდა მოვითმინო? განა მოვალე არა
ვარ იმათვის ყოველივე ავიტანო?... მაშინაც კი, როდესაც
უნდა გამოვესალმო ჩემი სიცოცხლის საუკეთესო იმდებს?..
განა იმათი სიყვარული უმაღურობით უნდა გადავიხადო? ამა-
შია ჩემი უწმინდესი მოვალეობა! მძიმე ცოდვას არ ჩავიდენ,
რომ იმათ ხელიდან გამოვეცალო?

ჩვენ შეკრულნი ვართ საშინელის კავშირით, რომელიც
ნებას არ გვაძლევს თავისუფალის მოძრაობისას. ყოველი წერილ-
მანი გვიმორჩილებს ჩვენ და ჩვენი სურვილი მთლიად მის გან-
გებაშია. ჩვენ თითქო, ცოცხალი ადამიანები კი არა, რაღაც
მოძრავი მანქანები ვართ... და პროგრესის მსაჯულებს კი გვი-
წოდებენ... მწუხარება კი თან-და-თან, უფრო და უფრო მე-
წუხებს გუნებას, სულს მიხუთავს...

საშინლად ვიტანჯები ამ ბრძოლისაგან. მეტი ღონე აღა-
რა მაქვს. არ ძალიმს თავის შემაგრება, ბედის სიმუხოლე ჩემდა-
მი აუტანელია...

იქნება ჩემ მშობლებს აუტანლად გაუხდეთ ის ვარამი,
რომ მე ასე უმწეო ბედშვად დავტჩე სამუდამოდ და განუყრე-
ლად ვწამლავდე მათ სიცოცხლეს უსიხარულოდ და უიმედო-
ბით შთომილი? მერე ასრე ადრე, ასე ყმაწვილი...

14 ღეგეშერი.

ჩემი საქმე წასულია. აღარ მაქვს სურვილები, აღარც იმე-
დი, აღარც სულის სიმძლავრე... სუყველაფერი მოისპო ჩემში...

ჩემ სულში გამეფებულია საშინელი, უსამზღვრო სიცა-
რიელე... მე მხოლოდ გაბედვით ვუყურებ ჩემ მომავალს. არაფ-
რისა არ მეშინიან. წარსულთან ყოველი ანგარიში გათავებუ-
ლია. უკან გამობრუნება ჩემთვის შეუძლებელია.

მე ვესალმები იმ ჰაერს უვარგისობისას, რომელიც შეად-
გენს ერთად-ერთს ნავთსაყუდელს ჩემის წრის ქალებისას. მე



არ ვემორჩილები იმ წეს-წყობილებას, რომელიც ნელ-ზელა გაჰყინავდა პიროვნებას.

მე ვემორჩილები ჩემ გატაცებას, რომელიც საუკეთესოდ მიმართა სხვა სუსკელა ჩემ გადაწყვეტილებაზე.

მე ქვა ვარ, რომელიც მაღლიდან ჩამოვარდა.

ძალა ჩემის უმიჯდობისა და უმიზნო ცხოვრებისა ძირს მიწვევს, კაცი, რომელიც მე მიყვარს, არ შემიძლიან მოვა-ტყუო.

არ შემიძლიან იმისი გავხდე, იმისი ხვევნა ზიზღს იწვევს ჩემში, მე ვერ შევძლებ იმის გვერდით არსებას... განუყრელად ჩევნ შუა იქნება იმისი წარსული... თუმცა ჩემი სიყვარული იმისადმი ისეთივე ღრმა და ძლიერი.

რაკი არ შემიძლიან მასთან ცხოვრება და არც უამისოთთ... მაშ ერთად ერთი გზა-ღა დამრჩენია...

როდესაც ეს გადავსწყვიტე, სრულიად დავშევიდდი. ჩემი მოვალეობის შეგნებამაც მშობლებისადმი კი დაჲკარგა თავისი მწვავი ხასიათი.

ის ხალხი, რომელიც ჩემ აზრს სთვლიდნენ უსამზღვრო შეცდომათ და ის ვაჟაუნი, რომელნიც მასხარაობდნენ ჩემ საქციელზე, წმით მაინც შეჩერდებიან და შეინანებენ, როდე-საც გაიგებენ ჩემ გადაწყვეტილებას.

ზოგი წრფელი და უმანკო დედაკაცი-კი, როდესაც წაი-კითხავს წიგნს ჩემის ცხოვრებისას, მიმიხვდება კიდეც... იქნე-ბა კიდეც შეიგნოს და გამოსცადოს.

თუ ჩემის სიკედილით ერთ აგურს მაინც ჩაეურთავ იმ დიადს შენობას წმინდის და მშვენიერის მომავლისას, მაშინ აღარ შევინანებ, რომ ჩემმა ცხოვრებამ უმიზნოდ და უმნიშვ-ნელოდ გაიარა.

ეჭ. გაბაშვილის.

«ხალხის მტერი»

აცლ

ეპიზო შორპებანი

ხუთ მოქმედებანი ღრამა ჭენრის იბსენისა*)

მოქმედება მიორი

(ექიმი შტკემანის სასტუმრო თთახი, სასადაფო თთახის
გარები შახურულია. დილა).

ქ. შტკემ. (გამოდის სასადაფო თთახიდან, ხელში დაბჭდილი წე-
რილა უწინოა). მავა მარჯვნივ პირეელ კარგბთან და შე-
იხედება). ტომას აქა ხარ?

ექ. შტკემ. (იქიდან) ჰო, ეს არის ეხლა დავბრუნდი. (გამო-
დის) ეგ რა არის?

ქ. შტკემ. წერილია შენი ძმისგან (გადასცემს წერილს).

ექ. შტკემ. ჰოო? მაჩვენე! (გასხნის და ჟყითხულობს)... ამასთან
შენ ხელნაწერსაც გიბრუნებ... (თავისთვის ჟყითხუ-
ლობს).

ქ. შტკემ. რაო, რასა გწერს?

ექ. შტკემ. (წერილს ჭაბეში იდებს) არაფერს; იწერება შუა-
ღლისას მე თითონ შემოვივლიო.

*) იხ. „მოამბის“ გვ-4 №-ზი 1903 წ.



- ქ. შტოქმ. მაშ არ დაგავიწყდეს დანიშნულ დროს შინ დახველება.
- ექ. შტოქმ. რასაკვირველია. მე ჩემი ღილის სამუშაო რაცა
მქონდა, გავათავე კიდეც.
- ქ. შტოქმ. ნეტა ვიცოდე როგორ შეხედავს პეტრე მაგ აღმო-
ჩენას?
- ექ. შტოქმ.. აი, მალე გავიგებთ. ლაპარაკი არ უნდა, რომ არ
გაეხარდება, რადგან მე აღმოვაჩინე და არა იმან.
- ქ. შტოქმ. მაშ შენც მაგისი გეშინიან?
- ექ. შტოქმ. გულში კი გაეხარდება, მაგრამ პეტრეს არ უყვარს,
როცა ქალაქის სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ
სხვანიც იღვწიან და მუშაობენ.
- ქ. შტოქმ. იცი რა გითხრა, ტომასი? მე მცონია, რომ მაგ
ახალი აღმოჩენის პატივი და სახელი შენ თავისუფ-
ლად შეგიძლიან იმასაც გაუზიარო. განა არ შეგი-
ძლიან სთქვა, რომ პირველად ამ გამოკვლევების აზრი
ჩემმა ძმამ მომცაო?
- ექ. შტოქმ. ჩემთვის სულ ერთია; მე მაგაებს არ გამოვუდგები-
ოლონც საქმე როგორმე მოგვარდებოდეს და გას-
წორდებოდეს დროზედ.
- (მთრტენ კიდი დერეფნიდან შემთისედავს, ეშმაგურად
იდიმება, თითქოს ეკითხება: მაშ მართალა სუევლაფერი?)
- მთრტენ კიდი. მაშ... მაშ ეს სუევლაფერი მართალია?
- ქ. შტოქმ. (მიეგებება) თქვენა ხართ, მამა?
- ექ. შტოქმ. აა, ჩემს სიმამრს გაუმარჯოს, როგორა ბრძანდე-
ბით?
- ქ. შტოქმ. მობრძანდით, მანდ რაღასა სდგეხართ?
- მთრტენ კიდი. შემოვალ თუ მართალია, თუ არა და წავალ,
არა მცალიან
- ექ. შტოქმ. რა, რა უნდა იყვეს მართალი?
- მთრტენ კიდი. აი მილების შესახებ რომ ლაპარაკობენ. მით-
ხარით მართალია?
- ექ. შტოქმ. რასაკვირველია, რომ მართალია, მაგრამ თქვენ
როგორლა გაიგეთ?

მთარტენ გილი (შემთდის). ღილას პეტრა სასწავლებელში მოქალაპოვანი დანილიკო და ჩემთან შემოიარა...

ექ. შტოჭმ. ჰორ?

მთარტენ გილი. ჰო და სუყველაფერი იმან მიამბო. ჯერ არ დავიჯერე, მეგონა ხუმრობს მეტქი, მაგრამ მამაგონა-და, რომ პეტრას ხუმრობა არ უყვარს...

ექ. შტოჭმ. ხუმრობას, რასაკვირველია, არ იკადრებდა, ეგ რამ გაფიქრებინათ?

მთარტენ გილი. რას იზამ, ეს ქვეყანა ისეთია, რომ ვერავის დაუჯერებს კაცი. სანამ მიხვდები და გაიგებ რაშია საქმე, ისინი გაგაგიუებენ კილეც. მაშ მართალია, მართალი, ჰა?

ექ. შტოჭმ. მერე რა არის აქ გასაკვირველი? დაბრძანდით (და- ქანზედ დასვამს) რა ბედნიერებაა ქალაქისათვის, ჰა?

მთარტენ გილი. (სიცილს იგაებს) ქალაქისათვის ბედნიერებაა?

ექ. შტოჭმ. ბედნიერებაა მაშ რა არის, რომ შეცდომა დრო- ზედ აღმოვაჩინეთ: ეხლა შეიძლება გასწორდეს კი- დეც საქმე.

მთარტენ გილი. (როგორც წინათ) მაშ, მაშ მართალია, დიდი ბე- დნიერებაა! არა რა მომაგონებდა, თუ თქვენ ეგრე კარგა უგდებდით თქვენ ძმას ხრისა?

ექ. შტოჭმ. როგორ? როგორ თუ ხრისა?

ქ. შტოჭმ. რასა ბრძანებთ, მამავ!

მთარტენ გილი (ჭოთზედ დაეკრძნობა და ექიმს თვალს უშვრება). არა, რაშია საქმე? მილებში რალაც მწერები შემ- ძრალანო?

ექ. შტოჭმ. ჰო, ინფუზორიები...

მთარტენ გილი. ჰო, პეტრა ამბობდა ძალიან ბევრი შემძვრა- ლა, მთელი მილიონებით დაითვლებიანო.

ექ. შტოჭმ. მართალი უთქვამს, მათი დათვლა შეუძლებელია.

მთარტენ გილი. და ვერც ვერავინ დაინახავს, ჰა?

ექ. შტოჭმ. ვერავინ დაინახავს, თუ...



მორტენ კილი (ჩემად ხითხითებს). დასწუვევლის ეშმაკმა, აშშის
თანა კარგი რამე მე ჯერ თქვენებით არ გამიგონია.

ექ. შტოჭმ. რის თქმა გსურთ, რომ ვერ გამიგია.

მორტენ კილი. ნუ თუ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი
ძმა დაგიჯერებთ.

ექ. შტოჭმ. იი, მალე გავიგებთ.

მორტენ კილი. თქვენა გგონიათ პეტრე ეგრეთი სულელია?

ექ. შტოჭმ. მე დიდი იმედი მაქსი, რომ მთელი ქალაქიც და-
რწმუნდება ჩემს სიმართლეში და ეპვიც კი არავის-
დარჩება.

მორტენ კილი. მთელი ქალაქიო? არ ვიცი, არ ვიცი! ამას კი-
ვიტყვი ახია იმაზედ. ეს კაი გაკვეთილი იქნება იმის-
თვის. იმათ ეგონათ ბებრებს ჭკუა აღარა აქვთო და
ქალაქის მმართველობიდან გამოგვაძიეს, უვარგის-
ძალებსავით გამოგვრეკეს. ეხლა ჩვენი დღესასწაუ-
ლიც მოვიდა. აბა თქვენ იცით, შტოჭმანო, არ-
დაუვარდეთ.

ექ. შტოჭმ. კი, მაგრამ...

მორტენ კილი. ნუ დაუვარდებით მეთქი, მე გეუბნებით (წამო-
დგება) თუ თქვენ ქალაქის თავს და იმის პარტიას-
როგორმე დაამარცხებთ, მე ასი ტალერი შემიწირავს-
ლობების სასარგებლოდ.

ექ. შტოჭმ. ეგეც კეთილი საქმეა.

მორტენ კილი. რასაკვირველია, მე იმდენი შეძლება არა მაქსი,
რომ ესრე ვფანტავდე ფულებს, მაგრამ თუ თქვენ
გაიმარჯვებთ მეთქი, ვიმეორებ, მე ორმოცდაათ ტა-
ლერს შევსწირავ საშობაოდ ლარიბების სასარგებ-
ლოდ.

(დერეფნიდან გლოსტადი შემთდის).

გთხოსტადი. გამარჯობათ. (შეჩერდება) ოჰ, უკაცრავად!!

ექ. შტოჭმ. არა უშავს-რა, არა. მობრძანდით, ნუ მოგვერი-
დებით.

მორტენ გილი (ხითხითებს). ხე, ხე, ხე! ესეც უსათუოდ იშვილის გამოისობით იქნება მოსული?

გოფსტადი. რასა ბრძანებთ?

ქ. შტოკმ. დიალ, იმ საქმის გამოისობით მოვიდა სწორედ.

მორტენ გილი. რასაკვირველია, საქმე გაზეთის ფურცლებზე-
დაც დატრიალდება. ყოჩალ, ყოჩალ, შტოკმან! არ
დაივიწყოთ, რაც გითხარით. ეხლა კი მშვიდობით,
დროა შინ წავიდე.

ქ. შტოკმ. რას მიეჩარებით, დაბრძანდით, მოვილაპარაკოთ.

მორტენ გილი. არა, დროა. მაგრად ჩასჭიდეთ ხელი, მაგრად!
მე მგონია მოგებაში თქვენ დარჩებით.

(მიდის ქ. შტოკმ. აცილებს).

ქ. შტოკმ. (იცინის). წარმოიდგინეთ!.. ამ ბებერს ჩვენი ისტო-
რიიდან ერთი სიტყვაც არა სჯერა.

გოფსტადი. იმაზედ ლაპარაკობდა?

ქ. შტოკმ. ჰო, იმაზედ ვლაპარაკობდით. თქვენც იმ საქმეზედ
შემოივლიდით უსათუოდ?

გოფსტადი. დიალ, სწორედ იმ საგანზე მინდოდა მომელაპა-
რაკნა, თუ გაქვთ თავისუფალი დრო.

ქ. შტოკმ. რამდენიც გნებავთ, ბატონო. ააა მიბრძანეთ, რაცა
გნებავთ!

გოფსტადი. ქალაქის თავს მოელაპარაკეთ კილეც თუ ჯერ
არა?

ქ. შტოკმ. არა ჯერ არ მინახავს. საცაა თითონ შემოივლის.

გოფსტადი. გუშინდელს აქეთ სულ ჩვენ ახალ ამბავზედ ვფიქ-
რობდი.

ქ. შტოკმ. მერე?

გოფსტადი. თქვენ, როგორც ექიმს და ნასწავლს, ლაპარაკი არ
უნდა, წყლის გამოსაყვანი მიღების საქმე უბრალო
ფაკტათ მიგაჩნიათ; თქვენ არც კი მოგავონდებო-
დათ, რომ მაგ კითხვასთან ბევრი სხვა კითხვაა შე-
ხორცებული?



- ექ. შტოკმ. ესე იგი როვორ? დაჯექით, მეგობარო. არა, დივანზე
აქ, დივანზედ
(გოფსტადი დივანზედ დაჭდება, ექიმი სავარძელში,
შეაში მაგადა)
- ექ. შტოკმ. ოქვენ ბრძანეთ...
გოფსტადი. გუშინ თქვენა ბრძანეთ, რომ წყალი სხ. და სხ.
უსუფთაობისაგან მოწამლულია....
- ექ. შტოკმ. რასაკვირველია. წყალს მილდელის დაბალი ჭაო-
ბები სწამლავენ.
- გოფსტადი. უკაცრავათ, ექიმო, მე კი მგონია, რომ უბელუ-
რება სულ სხვა ჭაობილან მომღინარეობს...
- ექ. შტოკმ. სხვა რაღა ჭაობებია?
- გოფსტადი. ეს ის ჭაობია, რომელშიაც მთელი ჩვენი მუნი-
კიპალური ცხოვრება ლპება და სუჟექტურის სწამ-
ლავს.
- ექ. შტოკმ. იo დაგწყველოს ღმერთმა! რაებს ამბობ?
- გოფსტადი. მთელი ქალაქი და მისი საქმეები მოხელეების
ბრძომ უსინიდისოდ ჩაიგდო ხელში.
- ექ. შტოკმ. მერე, სუჟექტი მოხელენი ხომ არ არიან?
- გოფსტადი. მართალია, სუჟექტი მოხელენი არ არიან, მაგრამ
სულ ერთია, რადგან დანარჩენებსაც მათი მხარი უქი-
რავთ და ისინიც მოხელენი გამოდიან. ეხლა ქალაქში
შეძლებული ხალხის ერთი ჯგუფი მფლობელობს და
ბატონობს.
- ექ. შტოკმ. კი, მაგრამ, იმავე ღროს, რომ ისინი მუოდნე და
საზოგადო საქმის მოყვარულნი არიან?
- გოფსტადი. დიალ, აკი როდესაც წყალი გამოჰყავდათ, დიდი
ცოდნა და საქმის მოყვარულობა გამოიჩინეს?
- ექ. შტოკმ. რასაკვირველია, არა. მაშინ დიდი სულელობა
მოუვიდათ, მაგრამ ეხლა ხომ გასწორდება შეცდომა.
ყველაფერი თავისს დონეზედ დადგება.
- გოფსტადი. თქვენ გგონიათ ასე ადვილიდ მოხერხდება სუჟე-
ლაფერი?

ექ. შტოქმ. ოდეილი იქნება თუ ძნელი, ხომ იძულებულნი
იქნებიან, რომ საქმე გაასწორონ.

გთფსტადი. დიალ, ეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბეჭდვი-
თი სიტყვაც მოჰკიდებს მაგ საქმეს ხელსა.

ექ. შტოქმ. ეგ სულ მეტი იქნება, ჩემო მეგობარო; მე დარ-
წმუნებული ვარ, რომ ჩემი ძმა....

გთფსტადი. უკაცრავათ კი, ბ. ექიმო, და მე გადაწყვეტილი
მაქვს ეს საქმე ავშალო.

ექ. შტოქმ. გაზეთში?

გთფსტადი. დიალ. „სახალხო მოამბის“ გამოცემა სწორედ იმი-
ტომ ვიკისრე, რომ ჯიუტ პედანტია წრე, რომელ-
მაც ასე მოურიდებლად ჩაიგდო მთელი ქალაქი და
მისი საქმეები ხელში, დამემხო და გამეთახსირებინა.

ექ. შტოქმ. მერე თქვენ თითონ არ მიამბეთ, რა გამოვიდა
მაგ სურვილისაგან? კინაღამ გაზეთიც დაჲკარგეთ
სამუდმოთ და მის გამოცემის ნებაც მოგესპოთ.

გთფსტადი. მართალია; მაშინ ჩეენ იძულებულნი ვიყავით ხმა
ჩაგვეწყვიტა და არ გაგვეგრძო მათთან ბრძოლა.—
ეს პირნი რომ მაშინ დაგვეცა და მათი ავტორიტე-
ტი შეგვებლალა, მაშინ მათთან ერთად ჩეენი აბა-
ნოების საქმეც უნდა დაღუბულიყო სამუდაოდ. ეხლა
კი აბანოებს აღარა უჭირო-რა და ჩეენ თავისუფლად
შეგვიძლიან უმაგითოთ გაუძლვეთ საქმეს.

ექ. შტოქმ. მართალია, საქმის გაძლილია კი შეგვიძლიან, მაგ-
რამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მათ ბევრი
საქმე გააკეთეს და ასე თუ ისე ჩეენ დავალებულნი
ვართ...

გთფსტადი. ყველა მიიღებს ჯეროვანს, მაგრამ ისიც იცოდეთ,
რომ ჩემსავით დემოკრატიული მიმართულების პუბ-
ლიცისტს არ შეუძლიან ამისთანა შემთხვევა უმნიშვ-
ნელოდ დასტოვოს და არ ისარგებლოს მითი. რასა-
კვირველია, ჩემთვის სასიამოვნო არ არის, რომ ქალა-
ქის თავის ავტორიტეტს სწორედ მაშინ შევეხები და



დავსცემ, როდესაც ამ თანამდებობას თქვენი მომართველობა
ასრულებს, მაგრამ მე მგონი, თქვენც ჩემი აზრისა
ხართ—ჯერ სიმართლე, კეშმარიტება და მერე სხვა
რაც გინდათ!

ექ. შტოქმ. რასაკვირველია; (აღტაცებით) მაშ რაკი აგრეა!..
გთავასადი. თქვენ ამ საქმეს ცუდათ კი არ შეხედოთ; ამ შემ-
თხვევაში სხვებზე მეტად არ ვიხელმძღვანელებ
ეგონისტიურ მოსაზრებებით და...

ექ. შტოქმ. რასა ბრძანებთ? ვინ რას გეუბნებათ მერე?

გთავასადი. თქვენც მოგეხსენებათ, ჩამომავლობით მე მდაბიო
ხალხს ვეკუთხნი და საკვირველიც არ არის, რომ
შემთხვევა მქონდა დავკვირვებოლი და კარგათ შე-
მეგნო მდაბიო წოდების საჭიროება და გამეოფალის-
წინებინა რა უფრო ამძიმებს მის ისელაც მძიმე
უდელს. იმათოვის შეერთება, დაკავშირებაა საჭირო,
რომ საერთო საქმეებს თითონვე განაგებდნენ—ამის-
თვის კი საჭიროა მათი განათლება—განვითარება და
თვით ცნობიერების გაღვიძება.

ექ. შტოქმ. დიალ, მართალსა ბრძანებთ.

გთავასადი. მე წინდაწინვე დარწმუნებული ვარ, ოლიგარხია
ათას რამეს დამწამებს—ხალხის ამბოხების, მათს მე-
თაურობას და კიდევ ვინ იცის რამდენს სხვა რამეს,
მაგრამ მე რა? მე რა, თუ სინიდისი წმინდა მექნე-
ბა და...?

ექ. შტოქმ. თქვენ არა სცდებით, მეგობარო, მაგრამ მაინც...
რა ვიცი... (გარებს აკაჭუნებენ) მობრძანდით! (გარებში
გაცხნდება მეტამბე ასლაპესენი. უბრალო, მაგრამ სუფთა
სერთუჭშია გამოწეობილი, თეთრი გალსტუხი ცოტათა
და გმუშტენილი :ჭის და სედში ხელთათმანები და შლიახა
უჭირავს).

ასლაპესენი (თავს უქრავს). მაპატიეთ, ბ. ექიმო, რომ ვბედავ და...

ექ. შტოქმ. (წამოდგება) აა, ეს ასლაპესენი ყოფილა?

ასლაპესენი. დიალ, მე გახლავართ, ექიმო.

გოფსტადი (წამოდგენა). ჩემთანა გაქვთ რამე საქმე? ასლან გენი. არა, ბატონო, თქვენთან არა. არცუი ვიცოდი, თუ აქ შეგხვდებოდით. მე პირადათ ბ. ექიმთან გია- ხელით.

ექ. შტოკმ. რითი შემიძლიან გემსახუროთ?
ასლაძესენ. მართალია, რასაც ბილლინგი ამბობს—ვითომ წყლის
მილები ცუდათ არიან გაყვანილნი და ოქვენ გინდათ
შეასწოროთ?

ঃঃ শিক্ষার্থীর প্রোগ্রাম, অধুনান্যোদয়সমূহের সাথে সম্মত।

ს ლაპსენი. დიალ, დიალ—მე სწორედ მავისთვის გახელით—
მინდოდა წინდაწინვე შემეტყობინებინა, რომ ჩემის
მხრით მე ყოველს ღონეს ვიხმარ და ვეცდები ამ
საქმეში შემწეობა იღმოვიჩინოთ.

ଧୀର୍ଜନୀଙ୍କ ପାଇଁ ହେଲାଯାଇଛି।

ქადაგის მიზანი ესახება: დიდათა გმადლობით, დიდათ, მაგრამ...

სსდაჭხენი. რასაკვირველია, თქვენც მიხვდებით, რომ ცუდი
არ იქნება, თუ ჩვენ ღარიბი მოქალაქენი მხარს
დაგიტერენ. ჩვენ ეხლა შეერთებულ უმეტესობას
წარმოვადგენთ და, რასაკვირველია, ყოველს საქმეში
და ყველგან უარს არავინ იტყვის, თუ უმეტესობა
იმისკენ იყვნეს.

ექ. გროვმ. მაგაში ეკვის შეტანაც კი არ შეიძლება, ბატონი; მაგრამ მე არა მგონია საქმე იქამდინ მივიღეს, რომ უმეტესობას ან სხვა რამე სახსარს ვეძებდეთ. ეს საქმე იმოდენად ნათელი და უბრალოა სუსკელასათვის, რომ...

სალაშვილი. მართალია, მაგრამ ეს მაინც შეტი არ იქნება; აღვი-
ლობრივ მთავრობას მე კარგად ვიცნობ და კარგად
ვიცი, რომ მას არ მოსწონს ხოლმე, როცა სხვა
ჩაერევა იმათ საქმეებში; ისინი როგორც ცეცხლს,
ისრე გაუფრთხიან სხვის აზრს. მე მონია, მეტი არ
იქნებოდა, რომ პატარა დემონსტრაციაც მოგვე-
ხიონა.



გთვისტადა. ეგ ძალიან კარგი იქნებოდა, მეც სწორედ შეგვიძლია
ზედ ვფიქრობდი.

ასლაგსენი. მხოლოდ ეს დემონსტრაცია ზომიერებას არ უნდა
იყვეს გადაცენილი, იმაში; იმედი მაქვს, თქვენც და-
მეთანხმებით, ბ. ექიმო. ზომიერება ყოველი მოქა-
ლაქის პირველ და უსაჟიროესს ღირსებას უნდა შე-
ადგენდეს, მე პირადათ ამ აზრისა ვარ და ვიქნები.

ექ. შტოქმ. ეგ ყველამ კარგათ ვიცით, ბ. ასლაკისნ.

ასლაგსენი. დიალ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ამგვარი
აზრი და მიმართულება ყველამ კარგად იცის ჩვენს
ქალაქში. მილებს კი რაც შეეხება, ეს ჩვენ ღარიბ
მოქალაქეთათვის მეტად ღირსშესანიშნავია. ჩვენი
აბანოები თავის ღროზედ ოქროს მაღნათ უნდა გა-
დიქცნენ და, ლაპარაკი არ უნდა, ეს ღარიბ მოქალა-
ქებს უფრო შეეხება, ვიდრე სხვას...

ექ. შტოქმ. ჰოო?

ასლაგსენი. და როგორც წევრი ლოთობის წინააღმდეგ დაარ-
სებულ საზოგადოებისა... თქვენ, რასაკვირველია,
იცით, ბ. ექიმო, რომ მე წევრად ვითვლები ამ
პატივცემულ საზოგადოებაში?

ექ. შტოქმ. დიალ, დიალ.

ასლაგსენი. მაშასალამე თქვენ ისიც კარგათ გეცოდინებათ, რომ
მე ძალიან ბევრი ნაცნობები მყავს; და ამასთანავე
რადგან ყველა, როგორც ფრთხილს, კანონის და
წესიერების მოყვარულ მოქალაქეთ მიცნობს, მე
ცოტაოდენი გავლენაცა მაქვს ქალაქში და ძალაც,
თუ შეიძლება ასე ითქვას...

ექ. შტოქმ. ეგ ყველაფერი ვიცი, ჩემო ასლაკისნ!

ასლაგსენი. თუ იცით და უფრო კარგი! მაშ მიხვედრილი უნდა
იყვნეთ, რომ თუ ვინიცობაა აღრესის მირთმევა
დაგვეირდა ან სხ. რაზე, მე ყველაფერს იმას აღვი-
ლად მოვახერხებ.

ექ. შტოქმ. აღრესიო?

ასლაგსენი. დიალ. ყველა მოქალაქე მოვალე არის თქვენი მოღვაწეობისათვის და ქალაქის საკეთი იდლები უროვნისა-
თვის სამადლობელი ადრესი მოვართვას, რასაკვირ-
ველია, ზომიერება აქაც უნდა იყვეს დაცული, რომ
მთავრობას არ ეწყინოს. მაგრამ თუ ფრთხილად
მოვიქცევით, მე მგონია, რომ არავის ვაწყენინებთ.
გოფსტადი. სასიამოვნოც რომ არ იყოს იმათთვის, მაინც...
ასლაგსენი. არასოდეს, არასოდეს. ბ. გოფსტად! მთავრობას
არასოდეს არ უნდა შეეხო; ვისაც ჩვენს ცხოვრე-
ბაში ასე თუ ისე შესამჩნევი ადგილი უჭირავს, იმათ
წინააღმდეგ არაფერი არ უნდა დაიწყოს კაცმა. ბევ-
რი ვიტანჯე, ბევრი ვიწამე, ბატონებო, თავის დრო-
ზედ და ეხლა კი, მე მგონი, დროა ჭკუაზედ მოვიდე.
მაგვარი მოურიდებლობა სიკეთეს არ შეგვამოხვევს.
თავისუფალი, მაგრამ კანონით ნებადართული და ზო-
მიერებით წარმოთქმული აზრი არც არავის აწყენინებს
და არც თუ საშიშია.

ქ. შტოგმ. (სედს ართმევს) ოო, რო იცოდეთ, ძვირფასო
ასლაქსენ, რა სასიამოვნოა, როცა ამისთანა თანა-
გრძნობასა პხედავ მოქალაქეთა მხრივ; ამ უამაღ მე
ისეთი ბელნიერი ვარ, რომ ვერც კი გამომითქვაშს.
ხერესს ხომ არ მიირთმევდი, ბ. ასლაქსენ?

ასლაგსენი. გმაღლობთ, მე ღვინოს არ გიახლებით

ქ. შტოგმ. ლუდი? ლუდსაც არ მიირთმევთ?

ასლაგსენი. გმაღლობთ. ბ. ექიმო; მე საზოგადოთ ასე ადრი-
ანად არაფერს გიახლებით. ახლა წაგალ და საზოგა-
დოებას მოვამზადებ, ესეც საჭიროა...

ქ. შტოგმ. თქვენ მეტის-მეტი გულკეთილი ბრძანებულხართ,
ბ. ასლაქსენ. მაგრამ მე მაინც არ მესმის, რა საჭი-
როა მაგდენი მომზადება? მე მგონია, საჭმე თავისს
თავად გათავდება.

ასლაგსენი. მთავრობა არასოდეს არ აჩქარდება, ბ. ექიმო...
არა, მე მთავრობას კი არა ვკიცხავ, ღმერთმა დამი-
ფაროს!



გოფსტადი. ნუ გეშინიან, ხვალინდელ ნომერში ცოტას უშვილისა
უუცხუნებთ.

ასლაგსენი. ზომის კი არ გადახვიდეთ, ბ. გოფსტად. ეს კარ-
გათ იცოდეთ, რომ თუ ზომიერება არ დაიცევით,
არაფერი გამოვა და ვერც ვერაფერს იმათ დავა-
კლებთ. თქვენ მე დამიჯვრეთ და ჰქუს არ წააგებთ!
ცხოვრების სკოლაში მე ბევრი გაკვეთილი მიმილია
და ისე შემიძენია ეს გამოცდილება. ეხლა კი გამო
ვეთხოვები ბ. ექიმს. ის მაინც იცით ეხლა, ბ. ექიმი,
რომ მდაბიო და საშუალო წოდება თქვენს მხარეს
არის და არასოდეს არ გილალატებთ. შეერთებული,
შეკავშირებული უმეტესობა თქვენს მხარეს არის,
ბ. ექიმ!

ექ. შტოგმ. გმადლობთ, მეგობარო, გმადლობთ! (ხელს შილ ცემს)
მშვიდობით!

ასლაგსენი. თქვენც სტამბაში მოდიხართ, გოფსტად?

გოფსტადი. ემ წუთას მოვალ; მე ცოტაოდენი საქმე მაქვს
კიდევ, გაგათავებ და....

ასლაგსენი. მაშ ნახვამდის!

(თავს უქრავს და მიღის. ექიმი დერეფნამდის გაჭებება)

გოფსტადი. (ექიმი რთა დაბრუნდება) რა აზრისა ხართ შაგაზედ?
მე მგონი, მოვიდა დრო, რომ გაუბედაობას, შიშს
და ეგრედ წოდებულ ნახვარ ზომებს თავი დავანე-
ბოთ და ვაუკაცურად შევუდგეთ საქმეს?

ექ. შტოგმ. თქვენ ასლაკენზედ ბრძანებთ?

გოფსტადი. დიალ, იმაზედ მოგახსენებთ; ასლაკენი ძალიან
პატიოსანი კაცია, მაგრამ ეგ ერთი იმათგანია, რო-
მელნიც მყრალს ჭაობში ჩაფლულან და რომელ-
თაც იმის მეტის-მეტ სიმყრალით თავბრუ დასხმიათ.
აქ თითქმის ყველა მაგასა ჰგავს; მაგისთანა ხალხი
ყოველთვის ეჭვში არიან; ეგნი ქარის წისქვილს
წაგვანან. დაპერავს ქარი და საითაც უნდა, თავს
იქით მიუბრუნებს; მუდმივი ეჭვების და გაუბედაო-

ბის წყალობით მავგვარი ხალხი ერთ ნაბიჯსაც ვერ შეასდგამს წინ.

ექ. შტოკმ. კი, მაგრამ ასლაკენი, მე მგონი, კეთილი სურვი-
ლებით არის გამსჭვალული.

გაფსტადი. არის ისეთი რამ, რასაც მე კეთილ განძრახვებზე-
დაც მაღლა ვაყენებ — ეს გახლავთ ვაუკაცური, დამო-
უკიდებელი მოქმედება.

ექ. შტოკმ. მე სრულიად გეთანხმებით.

გაფსტადი. აი, სწორედ ამიტომ მინდა მე ამ შემთხვევით
ეისარგებლო და ეს კეთილის მსურველნი და გამძ-
რახველნი გამოვალვიძო, შევაშფოთო და ოვალები
აუხილო. დროა, დრო, რომ ავტორიტეტების
თაყვანისცემა აღმოვთხვრათ და მოესპოთ ჩვენში.
ამ მიღების საქმე ყველა ამომრჩევლებს თვალები
უნდა აუხილოს.

ექ. შტოკმ. მაშ კარგი! თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ
ეს საქმე საზოგადოების სასარგებლოდ დაბოლოვ-
დება, იყვეს ისრე, როგორც თქვენ გინდათ. მხო-
ლოდ ნება მომეცით ჯერ ჩემ ძმას მოველაპარაკო.

გაფსტადი. რაც უნდა მოხდეს, მე მაინც ეხლავე მოვამზადებ
მოწინავე წერილს და თუ თქვენი ძმა ამ საქმეში
მხარს არ დაგვიქერთ...

ექ. შტოკმ. რასა ბრძანებო? ეგ განა შესაძლებელია?

გაფსტადი. ოო, შეუძლებელი აქ არაფერი არა არის - რა!
მაშინ კი მეთქი...

ექ. შტოკმ. მაშინ მეც სიტყვას გაძლევთ.... აი, ჩემი წერილი;
მაშინ შეგიძლიანთ სულ მთლიად დაპირებულოთ.

გაფსტადი. ჰო? პატიოსან სიტყვას იძლევით?

ექ. შტოკმ. (სედონაწერს გადასცემს) აპა, გამომართვით. ყოველ
შემთხვევაში შეგიძლიანთ წაიკითხოთ მაინც და მერე
დამიბრუნოთ...

გაფსტადი. კარგი, იყოს ისე, როგორც თქვენ გნებავთ. ახლა
კი მშვიდობით, ბ. ექიმო.

ექ. შტოქმ. ნახეამდის. აი თქვენ თითონ დაინახავთ, გოფსტად-
რომ საქმე ძალიან ადვილად მოეწყობა და ის ზო-
მები, რომლებზედაც თქვენ ოცნებობთ, სრულიად
არ დაგვჭირდება.

გოფსტადი. ჰმ...მაგას შალე დავინახავთ.

(თავს უკრავს და გადის დერუფნით)

ექ. შტოქმ. (მიგა და სასადიდეთ თახეში შეიხდავს) კატერინა! აა, პეტრი, მოსულხარ კიდეც?

შეტრა (შემთდის). ეს არის ეხლა მოველი სკოლიდან.

ქ. შტოქმ. (შემთდის) ჯერ არ მოსულა?

ექ. შტოქმ. პეტრე? არა ჯერა; მე და გოფსტადს, დიდი,
თაობირი გვექონდა. წარმოიდგინე ჩემმა გამოკვლე-
ვამ საკვირვლად გაიტაცა გოფსტადი. ნახე თუ ამ
ახალ ამბავს უფრო მეტი მნიშვნელობა არა ჰქონ-
დეს, ვიდრე ჩევენ გვერდია. თუ დაგჭირდება, მე ჩემს
გაზეთს დიდის სიამოვნებით დაგითმობო.

ქ. შტოქმ. მაშ შენ გინდა...

ექ. შტოქმ. არა! მაგრამ მაინც სასიამოვნოა იცოდე, რომ
დამოკიდებელი და განათლებული პრესსა შენს
მხარეს არის და თუ საქმე გასჭირდა, მხარში ამო-
გიდგება და შენთან ერთად გასწევს ულელს. იცი
კიდევ ვინ იყო აქა? მესაკუთრეთა ასოციაციის
თავმჯდომარე.

ქ. შტოქმ. ჴო? მერე შენთან რა საქმე ჰქონდა?

ექ. შტოქმ. ისიც ჩემ მხარეს არის. თუ საქმე გასჭირდა, ისიც
მე დამეხმარება. იცი, კატერინა, ჩემს მხარეს კიდე
ვინ არის?

ქ. შტოქმ. შენ მხარეს? ვინა?

ექ. შტოქმ. შეერთებული და მჭიდროდ დაკავშირებული უმე-
ტესობა.

ქ. შტოქმ. მერე კარგია, განა ეგ შენთვის?

ექ. შტოქმ. კარგია? რასაკვირველია, რომ კარგია (დადის
სედების ფშვნეტით) ღმერთო ჩემო, რა კარგია, როცა



ჰერძნობ და ჰედავ, რომ მოქალაქეებთან მშურად მეგობრული ხარ დაკავშირებული და ყველანი ერთად იღვწით ქალაქის საკეთილდღოდ!

ბეტრა. ის უფრო დიდი ბელნიერებაა, მამა, როცა ჰედავ, რომ სარგებლობის მოტანა შეგიძლიან.

ქ. შტოჭმ. სარგებლობის მოტანა და მერე ვისთვის? შენი სამშობლო ქვეყნისთვის!

ქ. შტოჭმ. ვიღაცამ ზარა ჩამოჰკრა...

ქ. შტოჭმ. ჰეტრე იქნება. (კარებს აჭაფუნებენ) მობრძანდით! (შემთდის ბურგომისტრი შტოჭმანი).

ბურგ. გამარჯობათ!

ქ. შტოჭმ. მობრძანდი, ჰეტრე, მობრძანდი!

ქ. შტოჭმ. დილა მშეიდობისა, როგორა ბრძანდებით?

ბურგ. გმადლობთ, გახლავართ ესე... (ექიმს) შენი წერილი მილებისა და აბანოების შესახებ გუშინ საღამოს მი-
ვიღე.

ქ. შტოჭმ. ჴო? მერე წაიკითხე?

ბურგ. წავიკითხე.

ქ. შტოჭმ. ჴმ—(ქარებს ჰესედავს).

ქ. შტოჭმ. წავიდეთ, ჰეტრა. (გადან მარცხნივ).

ბურგ. (პაუზის ჰემდები) შენ მაინც ჩემ ზურგს უკან მოინ-
დომე საქმის ჩაბარება და გამოკვლევები?

ქ. შტოჭმ. მაშ რა მექნა? სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ
მართალი ვიყავი, ხომ არ ჰემებლო...

ბურგ. ეხლა კი დარწმუნებული ხარ?

ქ. შტოჭმ. სრულიად. მე მგონი, ჩემი წერილი ცხადათ ამ-
ტკიცებს ამს.

ბურგ. ისიც გადაწყვეტილი გაქვს, რომ შენი გამოკვლევა
როგორც ოფიციალური საბუთი, აბანოების ადმინის-
ტრაციას წარუდგინო?

ქ. შტოჭმ. რასაკიირველია. წარუდგენ თუ არა, ამ საქმეს, აღრე
თუ გვიან, ხომ მაინც უნდა შევუდგეთ და რაც ჩარა
იქნება, ის უფრო უკეთესი.

ბურგ. შენს წერილში ჩვეულებრივი მძღავრი სიტყვებინათვის მიგიმართავს ისევ. სხვათა შორის, შენ ამბობ, ჩვენს სტუმრებს, რომლებიც მოსარჩენად მოღიან ჩვენთან, ჩვენ იმისთანა შხამით ვუმასპინძლდებით, რომელიც ადამიანის სხეულზე ნელ-ნელა მოქმედობს, მაგრამ ბოლოს კი მაინც სიკვდილს არ ააცდენს.

ექ. შტრაფმ. მაშ იმისთანა წყალს სხვა რა უნდა უწოდო, პეტრე? არა, შენ წარმოიდგინე მოწამლულ - მოშხამული წყალი სასმელად და საბანებლად! შერე ვის ვაძლევთ ამის? იმ უბედურ ავადმყოფებს, რომლებიც ასე უსაზღვროდ გვენდობიან და მოსარჩენად აუარებელ ფულსა ჰხარჯავენ!

ბურგ. ბოლოს ის დასკვნა გამოგყავს, რომ მიღელის გასაწმენდათ და გასასუფთავებლად უსათუოდ საჭიროა დადი არხი გავიყვანოთ და წყლის მიღები გადავაწყოთ.

ექ. შტრაფმ. მაშ სხვა რა ღონე შეიძლება კატმა იღონოს? მე სხვა ვერაფერი მოვიგონე.

ბურგ. დილის ქალაქის ინჟენერთან შევიარე და იმ ზომაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, რაზედაც შენ ასე გადაწყვეტით გვითითებ შენს წერილში სიტყვა გადავუკარი და გავაგებინე, რომ შეიძლება ამ ზომების მიღება როდისმე დაგვჭირდეს მეთქი.

ექ. შტრაფმ. როდისმე?

ბურგ. რასაკირველია, იმან მხოლოდ გაიცინა ჩემ სიტყვებზედ და ბავშვი დამიძახა. სანამ გამოაცხობდი იმ-წერილს, შეიწუხე თავი და კარგა მოისაზრე რა დაგვჭირდება, რომ სისრულეში მოვიყვანოთ შენი ზომები? ინჟენერის სიტყვებიდან მე ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ამ აზრის განსახორციელებლად რამდენიმე ათასი ტალერი დაგვჭირდება.

ექ. შტრაფმ. ნუ თუ ეგრე ძვირად დაგვიჯდება?

ბურგ. არა ნაკლები. ეს კიდევ არაფერი — ამ ზომების სისტემაზე სრულები მოყვანას სულ ცოტა ცოტა ორი წელი-წადი დრო მოუნდება.

ექ. შტოკმ. როგორ? ორ წელიწადზედ არა ნაკლები?

ბურგ. დიალ. ეგ სულ ცოტა. მერე რა უნდა დაემართოს ჩეგნს აბანებს ამ ორი წლის განმავლობაში? ლა-პარაკი არ უნდა, რომ მათი სამუდამოდ დაუქმება აუცილებელი შეიქმნება და მთელი ჩვენი იმედები ჩვენივე ხელით უნდა დავმარხოთ. არა, ერთი ეს მი-თხარი, ვინდა მოისურვებს ჩვენსკენ გამომგზავრებას, როცა ხმა დავაძღვება, რომ წყალი მოშხამულიაო?

ექ. შტოკმ. ეგ კი ეგრე, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ წყალი მართლა მოშხამულია და მეტად მავნებელი აღამიანისათვის?

ბურგ. მერე როდის ყველა ეს? მაშინ, როცა ჩვენი აბანო-ების საქმე უკვე აღყვავებულად ითვლება! ისიც ხომ კარგათ იცი, რომ ჩვენ მეზობლად თითქმის ყველა ქალაქს აქვს ასეთივე წყალი და მაშისადამე ყველა მათგანს სურვილი აქვს გამოგვტაცის ხელიდან ჩვე-ნი. ავადმყოფები და თავიანთ მხარეს გადიბიროს. შენ თუ გგონია, რომ ისინი იმ წუთსვე არ ისარგებლებენ ამ შემთხვევით? ლაპარაკი არ უნდა, რომ ისინი მაშინ აღვილად მიაღწევენ თავიანთ აზრს და ჩვენ კი დაგ-რჩებით ცალიერზედ: მაშინ ჩვენ სამუდამოდ უარი უნდა გვეთქვა ამ მშვენივრად დაწყობილ და გაკმ-თებულ საქმეზედ და შეხი სამშობლო ქალაქის გალა-ტაკების მიზეზი კი მხოლოდ შენ უნდა ჰყოფილი-ყავი!

ექ. შტოკმ. გალატაკების მიზეზი მე ვიქწებოდი?

ბურგ. ჩვენ იმედებს რომ მარტო ეს აბანები შეადგენენ, ეს ხომ შენც ისე კარგათ იცი, როგორც მე.

ექ. შტოკმ. მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყოვით?

- ბურგ.** მე ჯერ სრულიადაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი წყალი მართლა მაგდენად იყვეს მავნებელი.
- ექ. შტოქმ.** სწორედ წინააღმდეგ: ზაფხულში, როცა დაცხება, წყალი უფრო მავნებელი შეიქნება.
- ბურგ.** გიმეორებ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში შენს ფანტაზიას უფრო მეტი უმუშავნია, ვიდრე გონებას. გამოცდილს და ნასწავლ ექიმს მავნე გარემოებების თავიდან აცდენაც უნდა შეეძლოს, თუ ვინიცობაა იმათ თავი იჩინეს.
- ექ. შტოქმ.** მერე რა, რის თქმა გსურს მაგითი?
- ბურგ.** წყლის მიღების ამ გვარი სისტემა ფაკტია, რომელსაც წინ ვეღარაფერი აღუდება. მერმე, მომავალში შეიძლება მის გამოცვლის დასთანხმდნენ დირექტორები, და ისიც, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქს შეძლება ექნება.
- ექ. შტოქმ.** ნუ თუ შენა გგონია, რომ მე როდისმე დაგეთანხმები მაგ სისაძაგლეზედ?
- ბურგ.** სისაძაგლეზედ?
- ექ. შტოქმ.** დიალ, ეს სისაძაგლე, სიცრუე, უსინიღისობა, და მთელი საზოგადოების შეურაცხება იქნებოდა!
- ბურგ.** ვიმეორებ, მე არა მჯერა მეთქი, რომ წყალი მაგდენად მოწამლული იყვეს.
- ექ. შტოქმ.** სტყუი, შენ დარწმუნებული ხარ, რომ მე ჰქონილებას ვამბობ! ჩემი საბუთები ეჭვს ალარ დაგიტოვებდნენ. შენ თითონ კარგათა პერძნობ ამას, მაგრამ არ გინდა გასტყდე. არსებული სისტემა შენი საქმეა, შენი შეცდომაა და ამიტომ არ გინდა გასტყდე. შენს ცრუ თავმოყარეობას ხალხის კეთილდღეობასა სწირავ. მე ისე ნათლად ვხედავ შენ აზრებს, როგორც ჩემ ხუთ თითს.
- ბურგ.** მერე რა, ეგრეც რომ იყვეს? თუ ჩემ პატიოსან სახელს ვიცავ, ამას ჩავდივარ ისევ ქალაქისათვის და მის სიკეთისათვის: მე რომ ავტორიტეტი დავკარგო,



რასაკვირველია, აღარ შემეძლება ქალაქის საქმეების გაგება. ამისათვის და ბევრ კიდევ სხვა მიზეზთა გამო მე მსურს, რომ შენი გამოკვლევა დირექტორების კომისიას არ წარედგინოს, გეშმის თუ არა? საზოგადო ინტერესი თხოულობს, რომ მაგ საქმეს წინმსვლელობა არ მიეცეს. შემდეგში მე თითონ აღვძერავ მაგ კითხვას და ისე გავაკეთებთ სუსყველაფერს, რომ ვერც კი ვერავინ გაივის. მხოლოდ, გიმეორებ, ამ საქმიდან ერთი სიტყვაც არ უნდა გახდეს საზოგადოების საკუთრებად.

ექ. შტრაქმ. ამ საქმის დაფარვა, ძვირფასო მეგობარო, გვიანდა გახდავს.

ბურგ. უნდა დაფარული იყვეს და კიდეც დაიფარება.

ექ. შტრაქმ. გიმეორებ—გვიანდა არის მეთქი, ძალიან ბევრმა იცის უკვე.

ბურგ. როგორ? ვინა? ნუ თუ ი თქვენ „სახალხო მოამბის“ თანამშრომლებმაც იციან უკვე?

ექ. შტრაქმ. სწორედ იმათ იციან და კარგად იციდე ლიბერალური და დამოუკიდებელი პრესსა დღეის იქით თვალს გადევნებთ და ძალასაც დაგატანთ, რომ თქვენი მოვალეობა აასრულოთ.

ბურგ. (პატარა პაუზას შემდეგ) შენ სულ უგონო კაცი ყოფილხარ, ტომას. დაფიქრდი და კარგად გაითვალისწინე—შენთვის, კერძოდ შენს ცხოვრებაში რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მაგ ნაბიჯს?

ექ. შტრაქმ. შედეგი ჩემთვის?

ბურგ. დიალ, შენთვის და შენი ოჯახისათვის?

ექ. შტრაქმ. რას ამბობ, რომ არ ვიცი?

ბურგ. მე მგონი, როცა დრო იყო დაგიმტკიცე, რომ შენ საშველად ყოველთვის შხად ვიყავი.

ექ. შტრაქმ. მართალია და მადლობელიცა ვარ შენი.

ბურგ. ეგ მადლობა შენთვის შეინახე, ჩემთვის საჭირო არ გახლავთ. მე ჩემი პირადი ინტერესები უფრო მაიძუ-



ლებდნენ, რომ ეგრე მოვქცეულიყავ. გშელოლი და
თან ვიმედოვნებდი, რომ უფრო მაგრად დაგიჭრდი
ხელში და ღირსეულს საზღვარს არ გადავაცდენდი.

ექ. შტოქმ. როგორ? პირადი ინტერესები გაიძულებდნენ?

ბურგ. გიმეორებ, უფრო მეტად პირადი ინტერესები მაიძუ-
ლებდნენ მეთქი. ოფიციალურ ადგილზე მყოფი იდა-
მიანისათვის მეტად ძნელია, როცა მისი ახლო ნათე-
სავები პატიოსან სახელს რამეთი გაიფუჭებენ.

ექ. შტოქმ. მერე მე ვიუჟუჭებ პატიოსან სახელს?

ბურგ. სწორედ რომ შენ და, საუბედუროდ, არც კი გესმის,
არც კი ჰერმინობ მაგას. ხასიათი გაქვს ეგრეთი შაშ-
ფოთვარი, აბეზარი და მოუსვენარი. ამას კიდევ ზედ
დაუმატე შენი საუბედურო და მუდმივი მისწრაფება
ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში, კარგია თუ
ცუდი: პრესის მიმართვა. გავიჩნდება თუ არა რამე
ახალი აზრი, იმ საათში სცდილობ ბროშურით თუ
გაზეთის წყალობით მაშინვე მოჰყონ დედამიწის
ზურგზე.

ექ. შტოქმ. განა ყოველი მოქალაქე მოვალე არ არის თავისი
ახალი აზრი გაუზიაროს ხოლმე საზოგადოებას?

ბურგ. შენ დარჩი ნუ გაქვს! საზოგადოება არ საჭიროებს
შენ ახალ აზრებს. საზოგადოება თავისი ძველი და
გამოცდილი აზრებით უფრო კარგად იცხოვრებს.

ექ. შტოქმ. ეხლა კი გამოაშვარავდი და ნათლადა გხედავ რა
კაციცა ყოფილხარ.

ბურგ. სწორედ. ერთხელ და უკანასკნელად მინდა გულ-
ახდილად მოგელაპარაკო. აქამდი გერიდებოდი, რად-
გან ვიცოდი, რომ თავდაუჭრებელი კაცი ხარ. ეხლა
კი კმარა—მართალი უნდა გითხრა. შენ თითონ ვერა
ჰერმინობ და ვერა ჰედავ—რამდენს აკლებ შენ თავს
და შენს ოჯახს. შენ ადგილობრივ მმართველობაზე
და ხშირად მთავრობაზედაც სჩივი ხოლმე, ემდურე-
ბი და შენ თავს მსხვერპლად იგულებ. ნამდვილად



კი შენ ისეთი საძაგლი და ოუტანელი ხასიათი გაქვს, რომ უკეთესი არ უნდა მოელოდე.

ექ. შტოქმ. ჰორ? მაშ მე საძაგელი და აუტანელი ხასიათი
მაქვს?

ბურგ. დიალ. შენთან ერთად მუშაობა ყოვლად შეუძლებელია; ეს მე ჩემ თავზედ გამოვსცადე—შენ ერთი ბეჭოდაც არა მცემ პატივს და გავიწყდება, რომ თუ ჩეენი იბანოების პირველი ექიმის აღგილი გიშირავს, ჩემი მაღლობელი უნდა იყო მხოლოდ.

ექ. შტოქშ. ეს ადგილი მეკუთვნოდა მარტო მე და სხვას არა-
ვის! მე პირველმა აღმოვაჩინე ამ წყლების მარგე-
ბელი ოვისება, გაშინ როდესაც სხვას აზრადაც არ
მოუკიდოდა. მთელი წელიწადები მარტო მე ვიბრ-
ძოდი ჩემი იდეებისთვის, მარტო მე ერთი ვიღვწოდი...

ბურგ. ეგ მართალია. მაგრამ მაშინ ჯერ არ მოსულიყო
პრაკტიკულად განხორციელების დრო. შენ ამას ვერ
გაიგებდი იმ მიყრუებულ კუთხეში, საცა სცხოვრობ-
დი მაშინ. მერე კი, როცა განხორციელების დრო
მოვიდა, მე მოვკიდე საქმეს ხელი და კიდეც მოვიყვანე
სისრულეში...

ეჭ. შტოქმ მართალია, თქვენ მოჰკიდეთ ხელი, მაგრამ ჩემი
მშვენიერი გეგმა სულ მთლად გააფუჭეთ. ეხლა აშ-
კარად დამნახეთ მე თქვენი თავი და ჩემთვის სუ-
ჟველაფური ცხადია.

ბურგ. ჩემთვისაც ცხადია, რომ შენი აბეზარი, მოუსვენა-
რი ხასიათი არ გაძლევს მოსვენებას. შენ გინდა ყვე-
ლას, ვინც კი შენზედ მაღლა სდგის, რამე წუნი და-
სდო და რითმე დაამტკირო. ეგ შენი ხასიათი მე დიდი
ხანია ვიცი. შენ არ შევიძლიან ავტორიტეტის ატანა.
ვინც შენზედ მაღლა სდგის, ის შენი პირადი მტერია.
ოღონდ მაგისთანა კაცი დასცე და იმის პატიოსან სა-
ხელს მწიკვლი წასცხო—შენ ბევრს არაფერს დაეძებ,
თუ ის იარაღი, რომლითაც შეებრძოლები, უპატიო-

სნო იქნება და ყველას შემარტველი. ეხლა შე მგონი ნათლად დაგანახვე, რომ შენი ზომების სისრულეში მოყვანა ქალაქის, ქვეყნის მტრობა იქნება და მაშასადამე ჩემიც. მე ერთი რამე უნდა მოვითხოვო შენგან და კარგათ იცოდე, რომ შეუდრეველი დავრჩები ბოლომდის და მოგაყვანინებ კიდევც სისრულეში.

ექ. შტოგმ. რაში მდგომარეობს შენი თხოვნა?

ბურგ. ვინაიდგან შენ ამ საქმის შესახებ უკვე გავივრცელებია ხმები და მაშასადაშე საქმის დაფარვა შეუძლებელი შექმნილა, ყველგან გავრცელდება ეხლა ეს ხმები და ჩემი მტერ-მოყვარეები, ლაპარაკი არ უნდა, ისარგებლებენ შემთხვევით და საქმეს გაპერავენ,— ვინაიდგან ეს ასე მოხდა მეთქი, გიმეორებ, საჭიროა შენ თითონ გამოაცხადო გაზეთში, რომ ამ ხმებს არაეთითარი საბუთი არა იქვს-თქო.

ექ. შტოგმ. მე თითონ გამოვაცხადო? არ მესმის.

ბურგ. ჩვენ გვსურს, რომ შემდეგი გამოკვლევებიდან შენ ის დასკვნა გამოიყვანო, რომ საქმე სრულიად არა ყოფილა იმოდენათ საშიში, რამოდენადაც შენ პირველად გეჩვენა.

ექ. შტოგმ. აა, ემანდ თურმე რა გნებებიათ!

ბურგ. მერე—ჩვენა გვსურს, რომ გამოაცხადო გაზეთში— გამგეობა ღირსეულად ასრულებს თავისს მოვალეობას და თუ ნაკლულევანება რამე აღმოჩნდა, დროზედ შეისწორებს თქო.

ექ. შტოგმ. ჲო, მაგრამ სანამ თქვენ იდგებით სათავეში, ვერაფერი ნაკლულევანება ვერ შეისწორდება. გიმეორებ, პეტრე, ჩემი შეხედულება ამ საგანზედ...

ბურგ. როგორც ოფიციალურ პირს, შენ ნება არა გაქვს ინდი- ვიდუალური შეხედულობა იქონიო რამე საგანზედ!

ექ. შტოგმ. (გავითვებული) როგორ, მე ნება არა მაქვს..?

ბურგ. დიალ. როგორც ოფიციალურ პირს, გიმეორებ, არა გაქვს ნება. როგორც კერძო პირს, რასაკვირველია,

— ეგ სხვა საქმეა. როგორც დამოკიდებულ ოფიციალურ პირს კი, ნება არა გაქვს ისეთი აზრი და შეხედულება წარმოსთქვა და მით უმეტესად გამოა ქვეყნო და გაავრცელო, რომელიც შენი მთავრობის აზრს და შეხედულებას არ შეეთნება.

ქ. შტოგმ. ეგ კი მეტის-მეტია! როგორ, მე, ექიმს, ნასწავლს კაცს, ნება არა მაქვს...

ბურგ. ის საქმე, რომელზედაც ეხლა ჩვენ ვლაპარაკობთ, მარტო მეცნიერებას არ შეეხება; ეს საქმე რთულია, რომელსაც ტეხნიკური მხარეც იქვს და ეკონომიურიც.

ქ. შტოგმ. დასწევლოს ღმერთმა და მერე რა ჩემი საქმეა? მე ნება მაქვს ყოველ საგანზედ და ყოველ კითხვაზედ ჩემი აზრი და შეხედულობა ვიქონიონ და გამოვსთქვა კიდეც. ამ უფლებას მე ვერავინ ვერ წამართოებეს!

ბურგ. რაზედაც გინდა, ოლონც ჩვენ აბანოებს არ ეხებოდეს. ჩვენ გიკრძალავთ ამ საქმეში ჩარევას!

ქ. შტოგმ. (ჰეგირის) თქვენ მიკრძალავთ!.. თქვენ...

ბურგ. დიალ მე გიკრძალავ, მე, შენი უფროსი და შენ მოვალე ხარ დამტორჩილო.

ქ. შტოგმ. (თავს იჭერს) პატიოსან სიტყვას გაძლევ, პეტრე, შენ რომ ძალა არ ყოფილიყავ...

შეტრა. (შემთხვერდება უცდად, თან ქ. შტოგმ. შოსდევს) შენ ვერ მოითმენ, მამა, მაგას ვერა!

ქ. შტოგმ. პეტრა, პეტრა!

ბურგ. აა, ყურს გვიგდებდით!...

ქ. შტოგმ. აქ ისეთი კედლებია, რომ ნება-უნებურად გაიგონებს კაცი...

შეტრა. მე კი განძრას ვიდევი კარებთან და ყურს გიგდებდით!

ბურგ. სწორე რომ ვსთქვა, ჩემთვის სულ ერთია...

ქ. შტოგმ. (შიუახლოედება) შენ აღკრძალვაზე და ნებართვაზე მელაპარაკებოდი...



- ბურგ.** შენ თითონ მაიძულე, რომ ეგრე მელაპარაკნა და სამართლებრივი მეთქი. ჰა?
- ექ. შტოქმ.** მაშ როგორა გსურთ? საქვეყნოთ გამოვაცხადო ვსტუცუდი მეთქი. ჰა?
- ბურგ.** ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ, რომ შენ ისეთი განცხადება მოათავსო გაზეთში, რომელზედაც გელაპარაკებოდი.
- ექ. შტოქმ.** თუ არ დაგემორჩილეთ?
- ბურგ.** მაშინ ჩვენ თითონ დავბეჭდებათ წერილს და საზოგადოებას დავამშვიდებთ.
- ექ. შტოქმ.** კარგა; მაშ მაგ შემთხვევაში მე გაზეთითვე გაგცემთ პასუხს. მე ყოველ ღონეს ვიხმარ და დავამტკიცებ, რომ მე მართალი ვარ და თქვენ კი სტუცით. მაშინ რაღას იზამთ?
- ბურგ.** მაშინ მე იძულებული ვიქნები დაგითხოვო ადგილიდან.
- ექ. შტოქმ.** რაიმ?
- ქ. შტოქმ.** { დაგითხოვო?!...
შეტრა.
- ბურგ.** დიალ, მე იძულებული ვიქნები, მოფითხოვო, რომ შენ სრულიად დაგითხოვონ აბანოების საქმეებიდან და სხვას გადასცენ შენი ადგილი.
- ექ. შოტბმ.** მერე, გაპბედავ მაგის ჩადენას?
- ბურგ.** ცუდი ხუმრობა შენ თითონ დაიწყე.
- შეტრა.** მერე სირცხვილი არ არის, ძია, იმისთანა კაცის, როგორიც მამა ჩემია, ეგრე მოექცეს ადამიანი?
- ქ. შტოქმ.** გაჩუმდი, პეტრა!
- ბურგ.** (შეტრას შეხედავს). ჰოო? ჩვენცა გვქონია ჩვენი საკუთარი შეხედულობა და აზრები? ჰო, საკვირველიც არ არის! (ქ. შტოქმანისას) ძალო, მთელ თქვენ ოჯახში მგონი თქვენა ხართ მარტო გონიერი ადამიანი, დააჯერეთ თქვენი ქმარი, აუხსენით კარგად—ან ამის ოჯახს რა გოელის და ან თითონ ამას, თუ...
- ექ. შტოქმ.** ჩემი ოჯახის საქმე მხოლოდ მე მეკითხება!
- ბურგ.** როგორც ამის ოჯახსა მეთქი, ვიმეორებ, ისე ამის სამშობლო ქალაქსაც!

- ექ. შტოჭმ. სამშობლო ქალაქის საკეთილდღეოდ მე უფრო ვიღვწვი, ვიდრე თქვენ. მე მინდა ის სისაძაგლე გამოვაქვეყნო, რომელიც აღრე თუ გვიან, სულ ერთია, გამოაშკარავდება. დიალ, მე საქმით დავამტკიცებ, რომ მე უფრო მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო ქალაქი, ვიდრე თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ!
- ბურგ. ვის უყვარს მეტად — შენა? რომელსაც სულელური ჯიუტობით ვერ შეგიგნია, რომ შენს სამშობლო ქალაქს ერთად ერთს არსების სალსარს ართმევ და ამით უსპობ სიცოცხლეს?..
- ექ. შტოჭმ. ხომ გელაპარაკებიან, რომ ეს სალსარი მოწამლულ-მოშხამულია! თუ, კუუზედ შესკდი და აღარ გესმის რას გელაპარაკებიან? ჩვენი კეთილდღეობა უსინიდისობაზე და უზნეობაზე არის დამყარებული. მთელი თქვენი აღყვავებული საზოგადოებრივი ცხოვრება სიცრუეზედ არის ოლორძინებული!
- ბურგ. ეგ აზრები თქვენი ავადმყოფი ფანტაზიის შედეგი გახლავთ. ის კაცი, რომელიც თავისს სამშობლო ქვეყანაზე შენსავით ილაპარაკებს, ხალხის მტრად უნდა იქმნას ოლიარებული.
- ექ. შტოჭმ. (მთელოვდება) შენ როგორ მიბედავ!...
- ქ. შტოჭმ. (შეაში ჩაუარდება) ტომას!..
- შეცრა. (ხელს დაუჭერს მამას) მამა, დამშვიდლი.
- ბურგ. მე არ მინდა, რომ ჩემზედ ძალას ჰქმარობდნენ და ამიტომ მივღივარ. მე ჩემი მოვალეობა შეფარულე და რაც მინდოდა შეგატყობინე. — ეს საქმარისია. კარგათ შოთიქერ შენი ოჯახისადმი მოვალეობა რას თხოულბს შენგან!
- (მიდის)
- ექ. შტოჭმ. (სიარულს დაიწევბს) ასეთი სიტყვები გაიგონოს კაცმა და ისიც სად? — თავისს საკუთარ სახლში! რას იტყვი ამაზედ, კატერინა?
- ქ. შტოჭმ. საზიზლრობაა სწორედ, საზიზლრობა!



ჰეტრა. ოჲ, ნეტა კი შემეძლოს რითიშე გადუხადო ბირთვისამართვა...
ეს შეურაცხება!..

ექ. შტრაფმ. ჩემი ბრალია—მე დიდი ხანია უნდა მესწავლებინა მაგისთვის ჭკუა! ხალხის მტერიო! არა, მაგას კი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ვერ მოუთმენ.

ქ. შტრაფმ. ტომას, არ დაივიწყო, რომ შენი ძმის მხარეს ძალაა და ძალა. ხომიცი...

ექ. შტრაფმ. ჴო, მაგრამ სიმართლე რომ ჩემ მხარესაა!

ქ. შტრაფმ. მართალია, სიმართლე კი შენ მხარეს არის, მაგრამ რად გინდა ცალიერი სიმართლე, თუ ძალა შენ მხარეს არ იქნება?

ჰეტრა. დედა, რაებს ლაპარაკობ?

ექ. შტრაფმ. როგორ? სიმართლე რა საჭიროა, — როდესაც თავისუფალ საზოგადოებაში სცხოვრობ? შენ დაიცინები, მგონი, კატერ ნა? მეორეც ესა პრესა და შეერთებული უმეტესობა განა ჩემ მხარეს არ არიან? ეს, მგონი, საკმარისია!

ქ. შტრაფმ. როგორ, ნუ თუ შენ გინდა...

ექ. შტრაფმ. რა?

ქ. შტრაფმ. ნუ თუ გადასწყვიტე კიდეც ძმის წინააღმდეგ წასვლა?

ექ. შტრაფმ. მაშ რა გინდა ჰენა, როდესაც მხოლოდ სიმართლეს და ჰემარიტებას გინდა ემსახურო?

ჰეტრა. აბა მაშ რა ჰენას კაცმა?

ქ. შტრაფმ. ეგ ხომ საქმეს მაინც ვერას უშველის—ისინი თავისას გაიყვანენ.

ექ. შტრაფმ. ვერ გაიყვანენ. მე შევძლებ საქმის დონემდის მიყვანას!

ქ. შტრაფმ. დიალ, შენ იქამდის მიიყვან საქმეს, რომ უადგილოთ დარჩები და მეტს კი ვერაფერს გააკეთებ.

ექ. შტრაფმ. მერე რა არის, რომ უადგილოდ დავრჩები? იმის თქმა მაინც შემეძლება, რომ ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა სინდისიერიად შევასრულე მეთქი. მე შევა-

სრულებ ამ მოვალეობას, მე, რომელსაც ხალხის
მტერი მიწოდეს ამ საათში.

ქ. შტოჭმ. შენი მოვალეობა ოჯახისადმი, ტომას? განა შენ
ნება გაქვს ეგრე მოექცე იმათ, ვისი შენახვაც კისერს
გიღვია?

შეტრა. რა არის, დედავ, ყველაზე უწინ შენ ჩვენზე დაიწ-
ყებ ხოლმე ფიქრსა.

ქ. შტოჭმ. დიალ, შენ შეგიძლიან ეგრე ილაპარაკო; თუ გა-
ქირდა საქმე, შენ თითონაც კარგათ შეინახავ თავს,
მაგრამ აბა ბავშვებზედაც იფიქრე! (ქმარს მიუბრუნ-
დება) ცოტა შენზედაც იფიქრე, ტომას, ერთი ბეჭო
ჩემზედაც...

ექ. შტოჭმ. შენ სრულს ჭკუაზედ არა ხარ, მგონი, კატერინა! შენ
გინდა, რომ მე საზიზლარ ლაჩარსავით პეტრეს და მის
პარტიას უსიტყვოდ დავვემორჩილო, და ისიც მხოლოდ
იმიტომ, რომ მისი მხარეს ძალაა? მერე რომ დგიჯერო
და ეგრე მოვიქცე, ნუ თუ გვინია, რომ მე როდის-
მე მოსევნებას მოვიპოვებ და გავიგებ რა არის ბედ-
ნიერება?

ქ. შტოჭმ. არ ვიცი; მაგრამ იმ ბეღნიერებისაგან კი, რომე-
ლიც ჩვენ მოგველის, თუ შეექრძოლე შენ ძმას,
ღმერთმა დაგვიფაროს: შენ ისევ ცალიერზედ დარ-
ჩები და არსებობის ყოველი წყარო მოგვესპობა. მე
მგონია, საქმარისია, რაც გასაჭირი გამოვიარეთ,
რომ მეორედ მოინდომოს კაცმა წასრულის განმე-
ორება. წარმოიდგინე კარგა ან ჩვენ რა მოგველის,
ან შენ!.

ექ. შტოჭმ. (თავს ძლიერ იჯერს და მუშტებს იდერებს) ო, ღმერ-
თო, რად არის ასე, რომ ამისთანა საძაგელ და საზი-
ზლარ მხეცებს შეუძლიანთ პატიოსან და თავისუფალ
კაცს ამდენი უბედურება დაატეხონ თავზედ? რა სა-
ზიზლარია და რა ძნელია ეს მოსათმენად!

ქ. შტოჭმ. მართალია, ცუდათ გექცევიან, მაგრამ, ღმერთო
ჩემო, რამდენი კიდევ სხვა უსამართლობაა ქვეყნიე-



რობაზედ, რომ კაცი იძულებულია ხოლმე გათ წინ
კისერი მოიხაროს და მართალი სიტყვა უკან ჩაჰ-
ყლაპოს! აი, ჩვენი ბავშვები, ტომას! აბა შეხედე,
რა უნდა მოუკიდეთ ამათ? არა, არა, შენ ვერ გაჰ-
ბედავ. (მ დროს ეიჭირება და მარტენი შემოვლენ, ხე-
ლშტარ რეგულები უჭირავთ).

ქ. შტოქმ. ბავშვები!.. (გადაწყვეტით) არასოდეს... არასოდეს!
დედა მიწაც რომ ჩინგრეს ქვესკნელში და ზეცა
თავზედ დაგვენგრეს, მაშინაც არ მოვიხრო ქედს და
თავს უღლელში არ შევყოფ. (თავის თახისისკენ გასწევს)

ქ. შტოქმ. (უქან მისიდევს) ტომას... რას შვრები?

ქ. შტოქმ. (კარგბში) მე მინდა, რომ ჩემ შვილებს თავისუ-
ფლად შეეძლოთ შემდეგში ჩემი ცქერა და როცა წა-
მომეზდებიან არც მე ვწითლდებოდე მათი შეხედვით.
(ჟედის თავისს თახაში)

ქ. შტოკმ. (სტირის) ღმერთო, დაგვიხსენ და დაგვითარე! ჰეტრა. ყოჩალ, მამა! ეგ თავისს დღეში არ იკადრებდა უსინი- დისობას!

၈. ပေါ်လျှော်မောက်လွှာဝန်ဆေးခြား.

ୟକ୍ଷମଦି.

„ს ა მ 6 0“*)

მ. გორგისა.

თარგმნილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ

დრო გარბოდა. ილია ისევ დახლს უდგა და ულვაშების გრეხით ვაჭრობდა, მაგრამ დღეები ეხლა უფრო გრძლად ეწვენებოდნენ, ვიდრე უწინ. ხანდახან გაიფიქრებდა—შოდი დუქანს დავკეტავ და სასეირნოდ წავალო, მაგრამ კარგიდ იცოდა, რომ ვაჭრობაზედ ეს ცუდად იმოქმედებდა და პირველ გულის თქმის არ აჰყებოდა ხოლმე. საღამობით წასულიყო სადმე, არც ეს ივარგებდა: გაბრიკოს მარტო დატოვებისა ეშინოდა და ესეც რომ არ ყოფილიყო, ბავშვის ამარა იმოდენა საქონელი როგორ დაეტოვებინა? შეიძლებოდა ან ცეცხლი წაეკიდებინა დუქნისთვის, ან ქურდი და გაიძვერა ვინმე შეეშვა. ვაჭრობა ცუდად არ მიღიოდა; ილია თანაშემწერედაც ჰფიქრობდა დროგმოშვებით. ტატიანა ვლასოვნასა და ილიას შორის კავშირი თან-და-თან სუსტდებოდა და უფერულად დაკარგვას ელამებოდა და თითქოს ქალსაც არაფერი ჰქონდა ამის წინააღმდეგი. ის მხიარულად ხარხარებდა და ყოველდღე სავაჭრო წიგნებს გულმოდგინედ უსინჯავდა. როცა ილიას ოთახში დაჯდებოდა და „ჩიოთქის“ ძვლებს რაკა-რუქს აუყენებდა, ილია ზიზლისა და სიძულვილის მეტს ამ ცხვირ-აწეულ ქალისადმი ვერაფერსა ჰგრძნობდა. ხანდის-ხან კი ტატიანა მხიარული და ცოცხალი

*) იხ. „მოამბე“ მე-4 №-რი.



შემოკრიალდებოდა, ოხუნჯობდა, ეშმაკურად აათმაშეგბლა
თვალებს და ილიას კამპანიონს ეძახდა. ვაჟს ქალის ამგვარი
ქცევა გაიტაცებდა და კვალავ განმეორდებოდა ხოლმე ის,
რასაც ვაჟი დიდი ხანია თავმომაბეზრებლად ჰედავდა. შემო-
ვიდოდა კირიკი, ჩამოჯდებოდა დახლთან მდგარ სკამზედ და
თუ იმის ბედზედ რამის სასყიდლად მკერვალი ქალები შემო-
ვიდოდნენ, ეოხუნჯებოდა და ემასხარებოდა. მან პოლიციელის
ტანსაცმელი გაიხადა კიდეც და ეხლა ჩესუნჩის „პილეკით“
დაიარებოდა. ისე ლაპარაკი არ ჩამოვარდებოდა, რომ მდიდარ
ვაჭართან სამსახურით და გამარჯვებით არ დაეკვეხნა.

— ექვსი თუმანი ჯამაგირი თვეში და რაც უნდა არ გინ-
დოდეს ერთი მაგდენი კიდევ სხვა საშოვარი—მგონი. ურიგო
არ არის, ჰა? ვშოულობ ფრთხილად და კანონიერად... ხო, ხო!
სახლი გამოვიცვალეთ—იცი? ეხლა პატარა სახლი გვიჭირავს.
დედაკაცი დავიქირავეთ,—ჩინებულ საჭმელებს ხარშვს ის ოხე-
რი! შემოდგომიდან სტუმრებიც ბევრი გვეყოლება ხოლმე,
ბანქოს ვითამაშებთ... კარგია მე და ჩემთა ღმერთმა! დროსაც
მხიარულად გაატარებ და ფულიც შეიძლება მოიგო... ჩვენ
ორნი ვთამაშობთ, მე და ჩემი ცოლი, ერთ-ერთი უეპველიდ
მოიგებს! მოიგებ და სტუმრების ხარჯსაც გამოხვალ, ხო, ხო!
აი, ამასა ჰქვიან იაფი და სასიამოენო ცხოვრება!..

აქ უფრო მეტად გაიპარჭყვებოდა სკამზედ, პაპიროზს მო-
უკიდებდა და ხმის დადაბლებით განაგრძობდა:

— ამას წინად სოფელში ვიყავ, ჩემო ძმაო. ვოგოები
ვნახე, ვოგოები ვნახე, რომ, ჰა?.. ისე გაჭუკნულ-გატენილები
არიან, რომ ერთგან ვერ უჩქმერავ იმ საძაგლებს... მერე არც
ძეირები არიან! ერთი შუშა გადასახუხი, გირვანქა ტკილეუ-
ლობა და შენია და შენი!..

ლუნევი გატრუნულიყო და ყურს უგდებდა. მას რილას-
თვისაც ებრალებოდა კირიკი, მაგრამ რა ჰქონდა კირიკს შე-
საბრალისი, ამას თითონაც კი ვერ გეტყოდათ. გარდა ამისა,
თითქმის ყოველთვის, როცა აფტონომოვს შეხვდებოდა, სულ
სიცილი უნდოდა ხოლმე. მას არა სჯეროდა კირიკის ტრაბახი



სოფლის გოგოების შესახებ და ეგონა სხვის ნალაპარაკეც მეუმაღლეობის ნებათ. თუ ცუდ გუნებაზე იყო, კირიკის ლაპარაკზე გაიფიქ-რებდა ხოლმე:

„გაუმაძლეობი!“

— დიახ, კარგია, ჩემო ძმაო, ბუნების წიაღთა შინა, როგორც წიგნებში სწერია ხოლმე, ბუნების შვილებთან არშიყობა.

— მერე ტატიანა ვლასოვნამ რომ გაიგოს? — დაეკითხა ერთხელ ილია.

— ტასო არც კი მოისურვებს მაგისთანა ამბების გაგებას, — ეშმაკურის ღიმილით მიუგო კირიკმა. — ოო! იმან კარგად იცის, რის ცოდნაა იმისთვის საჭირო! ვაჟკაცი მამალია ბუნებით. შენა, ჩემო ძმაო, შენ კი არა გყავს გულის მეგობარი?

— ცოდვილი ვარ! — ღიმილით მიუგო ილიამ.

— მკერვალი, არა? ვინმე შავთვალწარბა, ჰა?

— არა, მკერვალი არ არის...

— მოახლე? ესეც კარგია, ბამბასავით რბილები არიან ხოლმე ის შეჩვენებულები. ილია გიესავით ხარხარებდა და ეს უფრო ატწმუნებდა კირიკს, რომ მართლა მოახლე თუ არის ილიას გულის მეგობარიო.

— კი არ დაობდე. ხშირად გამოიცვალე ხოლმე, ხშირად, — გამოცდილი კაცის კილოთი ეუბნებოდა კირიკი.

— მერე რადა გვონიათ, რომ ჩემი მეგობარი უსათუოდ ან მოახლე უნდა იყვეს ან მკერვალი? ნუთუ სხვა ვისიმე ღირსი არა ვარ? — სიცილით დაეკითხა ლუნევი.

— ისინი უფრო შეგვერიან, ჩემო ძმაო, და იმიტომ ვამბობ... მარა, ვინმე ქმრიან ან გასათხოვარ ქალთან ხომ ვერ გააბამდი რომანია და?

— მითომ რატომ არაო?

— რას ლაპარაკობ, ნუ თუ ეგეც არ გესმის?.. მე სრულიადაც არ მინდა შენი წყენა, მაგრამ შენც ხომ კარგათ იცი... უბრალო კაცი ხარ... გლეხუქას რომ ეძახიან, იმისთანა...

— მე კი ქმრიან ქალთანა მაქვს რომანი და!.. — ხარხარით მიუგო ილიამ.

— ჰე, შე მასხარა! — შესძინა კირიკმა და იმანაც გულლა ნად გადიხარხარა.

მაგრამ მაშინ კი, როცა ავტონომოვი წავიდოდა და ილია იმის სიტყვებს დაუკვირდებოდა, თავს ნაწყენად და გათახსი-რებულად იგრძნობდა. ამისთანა დროს ილია ცხადათ პედავ-და, რომ კირიკი თუმცა გულ-უბრიყვლო კაცი იყო, ილიას მაინც ტოლად არ იგულებდა და თავის თავს ბევრით უფრო მაღლა აყენებდა. თუმცა იმავე დროს კი თითონაც და იმის ცოლიც ბევრნაირად სარგებლობდნენ მისი გულეკილობით და გამოუ-ცდელობით. პერფიშამ ამბავი მოუტანა, პეტრუხა დასკინის შენს ვაჭრობის და გაიძვერას გეძახისო. იაკობი კი თურმე ამ-ბობდა, ილია უწინ უფრო ჩვილი და მოყვარული გულისა იყო, ვიდრე ეხლაო, და არც თუ ეგრე მოპქონდა უწინ თავიო. გაბრიკოს დაც სულმუდამ იმას ჩასჩიჩინებდა, ჩემი ტოლი არა ხარო. ძონძებში გამოხვეული ფოშტალიონის ქალიც კი ისე უყურებდა ილიას, თითქოს უჯავრდება ჩემთან ერთად რადა სცხოვრობ დედამიწის ზურგზეო. მას შემდეგ, რაც ვაჭრობა დაიწყო, ილია უფრო თავ-მოყვარე შეიქნა, უფრო ქეტის გა-ფაციცებით ადევნებდა ყველაფერს თვალ-ყურს, რომ საღმე არ დაემცირებინათ და მისი თავმოყვარეობა არ შეებლალათ. ეს ულამაზო და რაღაც უცნაური გოგო თან-და-თან უფრო იზიდავდა ილიას ცნობისმოყვარეობას; ილია უკვირდებოდა და ვერ გაეგო, საიდან გაუჩნდა ამ დარიბ-ლატაკ გოგოს ქა-თი ამაყობა, რომ თითონაც კი ექვემდებარებოდა მას. ქალი პირველი არას გზით არ დაელაპარაკებოდა ხოლმე, რაც მეტად ახელებდა ილიას და აღონებდა. რა ვწნა, ამის ძალა ჩემი მოსამ-სახურე ბიჭია და ამიტომ მაინც უნდა მექცეოდეს ცოტა უკე-თესადო. ერთხელ თითონ გამოელოპარაკა ქალს.

— თქვენ წიგნსა ვკითხულობ... დონკიხოტზედ...

— მერე მოგწონთ? — დაეკითხა ქალი, მაგრამ არც კი შე-სედა ილიას.

— ძალიან!.. საცინელია... ტუტუცი რამა ყოფილა...

აქ კი გადახედა ქალბა. ილიას ეგონა, მისი შავი და ამაყო
თვალები ზიზლით ჩამერტვნენ სახეშიო.

— მე წინდა-წინვე ვიცოდი, რომ მაგისთანა რამეს იტყუოდით, — დინჯათ და შეკვირდ მიახალა ქალმა.

ილიაშ რაღაცა მტრული და საწყენი შენიშვნა ამ სი-
ტკვებში :

— რასაკვირველია, მე გაუნათლებელი ადამიანი ვარ,
მიუღო ილიამ მხრების შეშმაშვინით.

ქალმა კრინტიც კი არ დასძრა, თითქო არც კი გაუგონია ვაჭის პასუხით.

ილიას ისევ შეეპარა გულში უწინდელი გრძნობა—ისევ შესაგდა ხალხი და ქალა უფრო ხშირად ჰქოქრობდა სამართალზედ, თავისს საკუთარ ცოდვაზედ და იმაზედ, თუ მომავალში რა მომელისო. ეს უკანასკნელი კითხვა ხომ მოსვენებას აღარ აძლევდა. ილიას მოსწონდა თავისი სავაჭრო, მთელი თავისი ცხოვრება და სუფთა ვაჭრობაში გატარებული დღე-უწინდელ ცხოვრებასთან შედარებით ეხლანდელი უფრო სუფთა, დინჯი და თავისუფალი იყო. მაგრამ ნუ თუ მთელი თავისი სიცოცხლე ამისთანა ცხოვრებაში უნდა გაატაროს? დილიდან საღამომდის მაღაზიაში იდგეს, მერმე შავ ფიქრებთან ერთად მოუჯდეს სამოვარს, შემდეგ დაიძინოს და დილით ისევ მაღაზიაში გავიდეს, რომ კვლავ ახეთივე უფერული დღე და-წყოს? ილიამ კარგათ იცოდა, რომ ბევრი ვაჭარი და იქნება სუსველაც ასე სცხოვრობდა, მაგრამ ისინი უსათუოდ და-ცოლშეილებული არიან, არაყა სეამენ, ბანქოს თმაშობენ და იქნება ჩემისთანები არც კი არიან მათ შორისო... ილიას ბევრი მიზეზი ჰქონდა, რომ თავისი თავი არა ჩვეულებრივ ადა-მიანად წარმოედგინა. ამ მიზეზებს თავის გარევნულ ცხოვრებაში თუ შინაგან სულის ვითარებაში ბევრსა ჰქედავდა. ვაჭრები არ მოსწონდნენ: ერთი კირიკა ჰქონდნენ, ყველაფრით იკვეხიდნენ და ვაჭრობის გარდა სხვა სალაპარაკო საგანი ვერა ეპოვნათ-რა; მეორენი ცხადათ თვილოთმაქცობდნენ და დიღს თუ პატარას ყველას უსინიდისოთ ატყუილებდნენ. ერთხელ როგორლაც,

ამგვარ ფიქრებით რომ იყო გატაცებული, იაკობის სიტყვები მოაგონდა:

— ლმერთმა ნუ მოგცეს გამარჯვება... გაუმაძლარი რამა ხარ...

ეს სიტყვებიც მეტის მეტ საწყენად მიაჩნდნენ. გაუმაძლარი კი არა ვარ, მე მხოლოდ ისა მსურს, რომ სუფთად და დინჯათ ვიცხოვრო, რომ ხალხი პატივსა მცემდეს და ყოველ ნაბიჯზედ არ ჩამჩირინებდეს:

— ლუნევო, მე შენზედ მაღლა ვდგევარ და შენზედ უკეთესი ვარო...

აქ ისევ იმ ფიქრებს დაუბრუნდებოდა, — რა მომელის მომავალშიი? შემჩერება კაცის კვლა თუ გადამხდებაო? ხანდახან ისე ეგონა — თუ გადამხდა ჩემი დანაშაული, ეს სრული უსამართლობა იქნებაო. მე ხომ არ მინდოდა ვაჭრის დარჩობა, ეს როგორლაც თავის-თავად გამომივიდა, უჩემნებოდ, მგონი, მეასედ ეუბნებოდა თავის-თავს ლუნევი. ქალაქში ბევრი კაცის მკვლელი, მტაცებელი და გარყევნილი ადამიანი სცხოვრობს; ყველამ იცის, რომ ისინი თავის ნებით არიან კაცის მკვლელნი, გარყენილნი თუ სხვების გამრყვნელნი და გაიძერები, მაგრამ სცხოვრობენ თავიანთვინ, სარგებლობენ ყოველი სიკეთით და დღევანდლამდის კი სასჯელი არსად არის მათთვის. საცა სამართლია, ადამიანის უბრალო წყენაც კი არ უნდა შერჩეს ადამიანს და უსათუოდ უნდა გადახდეს. აკი დაბადებაშიაც სწრია: „ამასვე მიუსაჯოს, რომ გაიგოს ადამიანმა“⁴. ეს ფიქრები გულის ძველიარებს უშლიდნენ და სამაგიეროს გადახდის სურვილს უღვიძებდნენ, სამაგიეროს, თავის დამახინჯებულ და დასახიჩრებულ ცხოვრებისთვის. დრო გამოშვებით სხვა სისაძაგლის ჩადენის სურვილიც დაებადებოდა ხოლმე გულში: მაგალითად, წავიდეს პეტრუხა ფილიმონოვის სახლს ცეცხლი წაუკიდოს და როცა სახლი სულ მთლად გადიბუგება, დაუყვიროს შეგროვილ ხალხს.

— მე, მე წავუკიდე ცეცხლი და პოლუეკტოვიც ჩემის საკუთარის ხელებით წავალრძე!

ხალხი დაიჭერს, გაასამართლებს და ციმბირში გაპეზავნის, ისევე, როგორც მამა გაუგზავნებს... ეს ფიქრი აშენოთებდა იღლიას და ააფთრებდა. შურის ძიების გრძნობა იმის სურვილსაც კი უღვიძებდა, რომ მისულიყო და კირიკისთვის ყველა-ფერი ეამბნა, გადაეცა თავის და კირიკის ცოლის შორის რა განწყობილებაც იყო, ან და მოხუცე ხრენოეს მივარდნოდა და მაშის გამოჯავრებული სულ მთლად ცხვირ-პირი ჩაემტკრია...

ხანდახან, ნერლს ოთახში რომ წამოწვევებოდა და ღრმა სიჩუმეს ჩაიკვირდებოდა, ეგონა აი, ამ საათში ყველაფერი შეინძრევა ჩემს ირგვლივ, დაპროწიალდება და საშინელის სისწრაფით და საზარელის ხმაურობით ჩამოწვება, დაიმსხვრევა და განადგურდება მთლადა. ეს ქარ ბუქი მასაც ჩაითრევს, ხიდან მოგლეჯილ ფოთოლსავით დაპროწიალდებს და დაპლუპავს... ამ ფიქრზედ კი არა ჩვეულებრივის წინაგრძნობით გააქრიალებდა ხოლმე ტანში...

ერთხელ, საღამო ხანზედ, ლუნევი ის იყო მაღაზიის დაკეტას აპირებდა, რომ პავლე მოვიდა და უსალმოთ, დამშვიდებულის ხმით უთხრა:

— ვერკა გამექტა...

ამის შემდეგ სკამზედ ჩამოჯდა, დახლს მიეყრდნო, პირი ჭურისკენა ჰქნა და ჩუმად სტვენას მოჰყევა. სახე გაქვავებულსა-ვითა ჰქონდა დაჭიმული, თუმცა პატარა ქერა ულვაშებს კი კატასავით აცმაცუნებდა.

— მარტოკა გაიქტა თუ ვისმეს გაჰყევა? — დაეკითხა ლუ-ნევი.

— არ ვიცი... მესამე დღეა აღარა სჩანს...

იღლია გაჩუმებული შეცყურებდა. პავლეს დამშვიდებულ სახეს და ხმას შეცდომაში შეჰყავდათ იღლია და ნებას არ აძლევ-დნენ გაეგო გრაჩევი საყვარლის გაქცევას როგორ უყურებდა. თუმცა ამ დამშვიდებულ სახეში და ხმაში რაღაც გადაწყვეტილებას კი მაინც ჰქედავდა.

— ახლა, რას აპირებ? — ნელის ხმით დაეკითხა იღლია, როცა დაატყო, რომ პავლე ლაპარაკს აღარ აპირებდა. მაშინ



კი გრაჩევმა სტვენა შესწყვიტა და მოუბრუნებლივ, მოკლეობა
აუწყა მეგობარს.

— დავკლავ...

— ეჰ, ეს ისევ თავისას გაიძახის, — შესძახა ნაწყენად ილიაზ
და ხელი ჩაიქნია.

— მე იმან გული დამიფუფქა და დამდაგა, — ნახევარის
ხმით განაგრძო პავლემ. — არც მე დავაყრი ხეირს... აი დანა.

ამ სიტყვებზე პავლემ უბიდან პატარი პურის საჭრელი
დანა გამოიღო და თვალებ წინ გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— გამოუსვამ ყელში... და გამოვლადრავ...

მაგრამ ილიაზ არც კი დააცალა სიტყვის დაბოლოვება,
მიგარდა, წაპერიჯა ხელიდან დანა და დახლს იქით გადას-
ტყორცნა.

— კკვიანი .. შეიარაღებულა დათვი ბუზთან საბრძოლ-
ველად.

პავლე წამოხტა და ილიასკენ მიიბრუნა პირი. თვალები
საშინლიად უელავდნენ, სახე დაპერანჭოდა და სულ მთლიად
ცახცახებდა. მაგრამ იმ წუთსვე ისევ ჩაჯდა სკამზედ და ზიზ-
ლით უთხრა:

— სულელო...

— ჰო, შენც მეყოფი კკვიანი.

— ძალა დანაში კი არ არის, ხელშია...

— ილაპარაკე!..

— ხელებიც რომ დამცვივდნენ, — კბილებით გამოვლად-
რავ ი ვერანა ყელს...

— ო, რა საშინელ რამეებს ლაპარაკობ!..

— ილო, ეგრე ნუ მელაპარაკები... — კვლავ მოუბრუნდა
პავლე და ლინჯად უთხრა ილიას. — გინდა დამიჯერე, გინდა
ნუ, მაგრამ კი ნუ მაბრაზებ... მე ისიც მეყოფა, რომ ჩემი
ხვედრი მარჩობს და დამცინის...

— შე, სულელო, დაპერიქდი მაინც, — დაბეჯითებით და
ტკბილად დაიწყო ილიაზ.

— მე ორ წელიწადზე მეტი ვიფიქრე... ყველაფერზე ვი-
 ფიქრე და გავათავე... მაგრამ მე წავილ... რა უნდა გელაპა-
 რაკო? შენ მაძლარი ხარ... და, მაშასადამე, მე და შენ ამხანა-
 გები აღარა ვყოფილვართ ..

— დაანებებ-მეტქი, შენ სულელობას თავი! — ნიშნის მო-
 გებით დაუყვირა ლუნევმა.

— მე კი სულით თუ სხეულით მშიერი ვარ...

— მიკვირს, როგორა მსჯელობს ხალხი! — მხრების მაღლა
 აწევით და დაცინვით დაიწყო ილიამ. — დედაკაცი საქონელი
 ჰელიათ... ან ცხენი! კარგათ მიგუევარ? წალი, ნუ გეშინიან,
 ხელს არ გახლებ. აღარ შემისვამ ზურგზედ? მაშ მიირთვა!..
 და დასცებენ თავში... ოხრებო, დედაკაციც ხომ ადამიანია,
 იმასაც თავისი ხასიათი აქვს...

პავლემ შეხედა და ჩახრინწიანებულის ხმით ჩაიცინა.

— მე ვიღა ვარ? მე კი ადამიანი არა ვარ?

— მერე, ადამიანი რომ ხარ, სამართლიანი უნდა იყო,
 აუ არა?

— დამეკარგე შენი სამართლით! — შესძახა გაცოფებულმა
 გრაჩევმა და ფეხზედ წამოხტა. — შენ იყავ სამართლიანი: მაძ-
 ლარს როდი აწყენს... გეშმის? ეხლა კი მშეიღობით...

ამ სიტყვებზედ აჩქარებული გაერდა მაღაზიიდან და კა-
 რებში რაღაცისთვის ქუდი თავიდან მოიგლიჯა. ილიაც გამოხტა
 დახლს იქიდან და გამოუდგა, მაგრამ გრაჩევი უკვე ქუჩაზედ
 მიდიოდა და გაშმაგებული ხელებს აქნევდა.

— პავლე! — დაუძახა ლუნევმა. — დაიცა...

პავლე არ შეჩერდა და არც კი მოიხედა უკან, იქვე მა-
 ხლობელ შესახვევ ქუჩაში გადუხვია და გაძქრა. ილია დინ-
 ჯათ დაბრუნდა და ისევ დაბლს მოუჯდა, ამხანავის სიტყვებს
 ისე გაეწითლებინათ და ისე გაესურებინათ მისი სახე, თითქო
 მთელი საათი აგიზგიზებულ ბუხართან მჯდარია.

— რა ბრაზიანი ყოფილა! — გაისმა გაბრიკოს ხმა.

ილიამ ჩაიცინა.



— Առլուս մոյզեաս աპօրցիք. — Թուղթո ոլուամ և ծացնչը ձագակարգութիւնն է.

გამოიკვეთ ხანს განუმებული იდგა, მერმე როგორ-
ლაც მოიკუმშა და ნელის ხმით უწყა ბატონს:

— ჩევნმა მეზობელმა დედაკაცმა შობის წინა დღეს ქმარი
მოსწამდა... მკერვალი იყო... რადა ლოთობ მუდამა.

— მოხდება ხოლმე... — გააგრძელა სიტყვა ჰავლეზედ ფიქ-
რით გატაცებულმა, ლუნევმა.

— ეგა? — ეგ მართლა მოჰკლავს?

— ହେ, ତାଙ୍କ ଫାମାନ୍‌ଦ୍ୟ, ଗାଢ଼ିଲା?

ბავშვი კარებისკენ გაბრუნდა და ჩუმათ წაიბუტტა:

— კოლებს კი ირთავენ ეშმაკები და!

სალამოს ბინდი ჩამოწევა კიდევ ქუჩებში და ილიას დუქ-ნის პირდაპირ მფგარ სახლში სანათოვკ აანთოს.

— აგერ დაკეტის ლროც მოვიდა... — ჩუმათ წაილაპარაკა
გაბრიკომ.

ილია განათებულ ფანჯრებს შეჰყურებდა. ფანჯრების ქვედა ნაწილი კვავილებით იყო დაფარული და ზედა ნაწილს თეთრი ფარტები ეფარა. ფოთლებსა და ფოთლებს შორის კვ-დელზედ ჩამოკიდული ოქროს ფერი ჩარჩო მოსჩანდა. თუ გააღებდნენ ფანჯრებს, მუდამ გიტარის სიმთა ცდერა, სიმღერა და სიცილ-ხარხარი მოისმოდა ხოლმე. ამ სახლში თითქმის ყოველ დღე მღეროდნენ და მხიარულებდნენ. ლუნეემა იკოდა, რომ იქ საოლქო სასამართლოს წევრი გრომოვი სცხოვრობდა; გრო-მოვი სრული ტანის, დიდ, შავ ულვაშება და ლოყა წითური კაცი იყო. ცოლიც სრული ტანისა, ქერა თმიანი და მუკი-ნარი ცის-ფერ თვალებიანი ჰყავდა; კარში როცა გამოვიდოდა, საზღაპრო დედოფალსავით გაბლინძული დაიიარებოდა და ლაპა-რიკის ღროს მუდამ იღიმებოდა. გრომოვს გასათხოვარი დაცა ჰყავდა, მაღალი და შავგვრემანი ქალი; ამ უკანასკნელს ბუზ-

ზსავით ქვეყნის ახალგაზრდა მოხელეები; ესენი ყოველ დღე იკრიბებოდნენ გრომოვიანთსა, იცინოდნენ და მღეროდნენ. გრო-მოვიანთ მოსამსახურე გოგო, როცა ძაფის ან სხვა რამის სას-ყიდლათ მოვიდოდა ლუნევის მაღაზიაში, ყოველთვის უჩიოდა ბატონებს — ჯამაგრის არ იძლევიან თავის დროზე და ხეირია-ნად არ გვაჭმევენო. გრომოვიანთ ფანჯრების მაყურებელმა ილიაშ გაიფიქრა:

„აგერ სცხოვრებენ კარგათ!“

— ღმერთმანი, დროა დავკეტოთ,—დაბეჯითებით წაილა-
პარაფა გაბრიკომ.

— ଫରନ୍ଦା ଓ ଫାତିମ୍ବେ...

ბავშვმა კარები მიჰყეტა, მაღაზიაში ჩამობნელდა. მერქ კლიტის და რეინის ურდულების რახა-რუხი გაისმა.

„თითქმ სატუსალოა“-ო,—გაიფიქრა ილიამ.

ამხანაგის საწყენი სიტყვები მაღლრობისა და მშვიდი ცხოვრების შესახებ გულში ეკალსავით ჩაესვნენ. საღამოთი, სამოვარის რომ მიუჯდა, პავლეზე ფიქრი მაინც ვერ მოიშორა თავიდან. ილიას როგორლაც არა სჯეროდა, რომ პავლეს ვერას მოკვლა გაებედნა.

„ტუკილად კი მივექომაგე... ეშმაკმა წაილოს იმათი თავი
და კისერი... თითონ ვერ მოუხერხებიათ ცხოვრება და სხვებ-
სა(კ უშრიან”...—გაიფიქრა გაშმაგებით ილიამ.

გაბრიელს გაბარეკულ თითებზე ლამბაქი დაედგა, ხვენ-
შით ჩაისა ხერებავდა და მაგიდის ქვეშ ფეხებს აცოდილებდა.

— ეხლა მოკლული ყყოლება კიდეც, თუ ჯერ არა? —
უკაბათ დაეკითხა ილიას ბავშვი.

ლოგინ ეცვმა მკაცრათ გადახედა და უთხრა:

— შენ დალივ ჩაი... და დაიძინე...

სამოვარი ისე გაშმაგებული გუგუნებდა და შიშინებდა, რომ კაცს ეგონებოდა მაგიდიდან გაღმოხტომას აპირებსო. ეზოს მხრიდან ლია ფინჯარაში ვიღაცის ბრაზიანი ყვირილი ისტორა:

— ნიფონტ! ნი-ფონტ!



უცბათ ფანჯრის წინ ვიღაცა გაჩერდა და გაუბედვეს,
აკახტახებულის ხმით იკითხა:

— აქ ხომ არა სცხოვრობს ილია იაკოვლევიჩი?

— აქ არის,—დაიყვირა გაბრიკომ, მოსწყდა სკამიდან და
ისეთის სისწრაფით გავარდა ეზოში მიმავალ კარებისაკენ, რომ
ილიამ ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოასწრო.

— სწორეთ ის იქნება!—ჩურჩულით წაილაპარაკა ბავშვმა
და კარებს მოჰკიდა ხელი.

— ვინა?—ილიაც ნახევარის ხმით დაეკითხა.

— ისა, რომელსაც ემუქრებოდა მოვკლავო...

ბავშვია კარებს ხელი ჰქონა და გააღო, წუთს შემდეგ
ზღურბლზედ ვიღაც ჩითის კაბით და თავზედ ხელსახოც შე-
მოხვეული გამხდარი ქალი გამოჩნდა. ერთი ხელით კარების
ჩარჩოს მიჰყრილნობოდა და მეორეთი თავზედ მოხვეულ ხელსა-
ხოცს აცოდილებდა. კარებში ისე გვერდით გაჩერებულიყო,
თითქოს ამ წუთსავე უკან დაბრუნებას აპირებსო.

— მობრძანდით,—უთხრა უქმაყოფილოთ ლუნევმა, რა-
დგან ვერ იქნა და ვერ იცნო ახლად მოსული სტუმარი.

ილიას ხმაზედ ქალი შეკრთა და პატარა, გამხდარი სახე-
გაუბრწყინდა.

— მაშიკო!—შესძახა ილიამ და ფეხზედ წამოვარდა.

ქალმა ჩუმათ გაიცინა, კარებს კოჭაკი ჩაუყარა და ეხლა
კი გაბედვით გადმოდგა ილიასკენ ნაბიჯი.

— ვერ მიცანი... ვერ მიცანით კიდევა...—წაილაპარაკა
შუაში გაჩერებულმა ქალმა.

— ღმერთო ჩემო! როგორ უნდა მეცანი! რას დამსგავ-
სებიხარ!?

ილიამ გადამეტებულის ზრდილობით მოჰკიდა ხელი, მა-
გიდისკენ გაატარა და თუმცა ძლიერ დააშტერდა, მაინც ვერ
ეთქვა რა მხრივ გამოცვლილიყო ქალი. ცვლილება კი ღიღი
მომხდარიყო მასში. საცოდავი, მეტად გამხდარიყო და ფეხებს
ძლივს-ლა ადგამდა.

— საიდან მოდიხარ? დაღალული ხომ არა ხარ? ეჭ, საწილავალო! — ჰერცუგუნებდა ილია და სცდილობდა ფრთხილად დაესცა მაგიდასთან.

— ၁၀, ၂၁ დღე დამადგა... — მიუგო ქალმა და ლიმილით გადახედა ილიას. ამ გადახედვამ და ლიმილმა ილიას გული მოუკლა.

ეხლა, ლამპას რომ მოუჯდა ქალი, ილიამ კარგათ დაინახა იმის გამზღვისას — მაშო სკამის ზურგს მიჰყრდნობოდა, სუსტი და ჩამომზმარი მკლავები შოლტებსავით ჩამოეყარა ქვეით, თავი გვერდზედ გადექინდრა და აჩქარებული ჰქონიავდა. საცოდავი რაღაც უსხეულო არსებას ჰგავდა, თითქოს ცარიელი ძვლებისაგან შესდგებაო. ჩითის კაბაში ცხადათ უჩანდნენ მხრის, მკლავების და მუხლების ძვლები. მწვანე კანი საფეხქელსა და ნიკაპზედ საშინლად ჩამოსჭიმოდა, რის გამოც პირი ნახევრათ დაპლებოდა და კიბლები დაჭრებოდა. პატარა, გაწკვეტებულ სახეზედ შიშისა და ტკივილების გრძნობა გაცყინოდა. თვალები ბინდით მოცულიყვნენ და უსიცოცხლოთ გამოიყურებოდნენ.

— რა, ავათ ხომ არ იყავ? — დაეკითხა ილია.

— არა, — ძლიერს მიუვის მაშობ. — ავათ არა ვარ... მაგრამ
იმან დამაყენა ეს დოლ...

— မူလမှ?

— ፩፻፷፻-፩፻...

მისი გაგრძელებული სიტყვები მძიმე ავადმყოფის კვნესას წაგავდნენ. დაკრეპილი კბილები მკვდარს თუ რაღაც თევზს აგონებდნენ ილიას... თითქოს მიცვალებულის ღიმილით ილი-მება ეს უსიკოცხლო და უმსგავსი სახეო.

გაბრიელ გაქვაბულსავით გაჩერებულიყო მაშოს გვერდით
და კრიპა-მოჭირითი შიშით შეცყორდა ქალს.

— წაით, დაიძინე! — მიუბრუნდა ბავშვს ლუნევი.

გაბრიკო გავიდა მაღაზიაში, ერთი-ორი შუთი იფუსტუ-
სა და ისევ კარგბში გამოიწნდა.

მაშო უნძრევლივ იჯდა ერთ ადგილის და მხოლოდ თუ—
ლებს ატრიალებდა. გარინდებული ხან ერთ საგანს აათვალ-ჩა-
თვალიერებდა, ხან მეორეს. ლუნევი ჩაის უკეთებდა, შესცე-
როდა და ვერაფერი კი ვერ ეკითხნა—ლაპარაკს ვერ ახერხებ-
და.

— ოო... რა ძალიანა მტანჯავს...—დაიწყო თითონ ქალ-
მა. ტუჩები შეუკრონენ და ერთი წუთით თვალები დაეხუჭნენ.
როცა გაახილა, ქუთუთოების ქვეშიდამ ორი მსხეილი და მძიმე
ცრემლი გადმოუკორდა.

— ნუ სტირი...—უთხრა ილიამ და თვალი მოარიდა.—
აი, ჩაი დალივ და ყველაფერი მიაშენე... ეს უფრო შეგიმსუ-
ბუქებს ტანჯვას...

— მეშინიან, ვაი თუ აქაც მოვიდეს...—თავის ქნევით შიუ-
გო მაშომ.

— მოვა და გავაგდებთ, რა!—მიუგო ილიამ.

— ღონიერია,—გააფრთხილა ქალმა.

— რა, გამოეპარე?

— ჰო... ეს მეოთხეთ ვეპარები... მეტს რომ ვეღარ მო-
ვითმენ... გავექცევი ხოლმე... ამას წინათ ჭაში ვაპირებდი
ჩავარდნას... დამიჯირა... ისე მომკლა, ისე მომკლა, რომ ვერ
აგიშერ...

საზარელი ტანჯვის მოგონებით თვალები დაუდიდრონ-
დნენ და ნიკაპი აუცახცახდა; თავი ჩაჭქინდრა და ჩურჩულით
დააბოლოდა:

— ფეხებს მამტვრევს ხოლმე ის ურჯულო...

— ეჲ!—მწარეთ ამოიოხრა ლუნევმა.—მერე რა დაგემარ-
თა? ენა არა გაქვს, თუ როგორ არის შენი საქმე? წადი და
პოლიციაში გამოაცხადე... მკლავს და მავიშროებს-თქო! მაგი-
სთანა რამეებისთვის ასამართლებენ... და სატუსალოებშიაც ალ-
პობენ...

— ეჲ, რას ამბობ! თითონვე მოსამართლეა, და სად წა-
მესვლება მე საცოდავს,—უიმედოთ უთხრა ქალმა.

— ხერნოვი? რის მოსამართლეა, რას ამბობ?

— გეუბნები! ამას წინათ ორი კვირი იჯდა სასამართლო-ში... სხვებს ასამართლებდა... მშიერი და მხეცსავით გაბრაზე-ბული ბრუნდებოდა ხოლმე... ერთხელ გახურებული მაშა ძუძუებში ჩამავლო და ჩიარსავით ატრიალებდა... უყურე!

ამ სიტყვებით ქაღმ, მთრთოლარე ხელით გული გაიხსნა და ჩირსავით დამჭვნარი, საცოდავათ დალაქავებული ძუძუ ბი უჩვენა.

— შეიკარ, — უსიამოვნოთ უთხრა ილიამ. ლუნევს არ ესიამოვნებოდა ამ ნაცემ ნატყევ და დასახიჩრებულ სხეულის ცქერა, მას არც კი სჯეროდა, რომ მის წინ ძევლი, ბავშვობის მეგობარი და კეთილი გოგო—მაშო იჯდა. მაშომ კი მხარიც გაიტიტვლა და იმავე კილოთი განაგრძო:

— ეხლა ამას უყურე, მხრები როგორ დამამტვრია! სულ მთლათ დამასახიჩრა... მუცელი დამიფლითა, ილლიებში ბანალი დამაგლიჯა...

— მერე, რისთვის, გოგო რატომ არ მეტყვი?—დაეკითხა ლუნევი.

— ბრაზიანია.. სულ იმას გაიძახის—არ გიყვარებარო...

— იქნება ქალწული არ იყავ, როცა მისთხოვდი?

— რას ლაპარაკობ? შენ და იაშვასთან არა ვცხოვრებდი მუდამ... ხელს ვინ მახლებდა? მე ეხლაც არა ვარ მაგ საქმის-თვის გამოსადევი და... მტკივა და ისე მეზიზლება .. რომ გული მერევა, როცა მოვიგონებ...

— გაჩუმდი, მაშო,—ნელის ხმით სთხოვა ილიამ.

ქალი გზუმდა და გულ-გადალელილი ისევ გაქვავდა სკამზე.

ილიამ სამოვრის მეორე მხრიდან ქალის გამხდარ და ჩალურჯებულ სხეულს გადახედა და გაიმეორა:

— შეიკარ...

— მე შენი როდი მრცვევნიან, — ოდნავ წაიბუტბუტა ქლომა და აცახცახებულის ხელებით კოფთის შეკვრა დაიწყო.

სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს სიჩუმე ხანგრძლივი არ იყო, რადგან მაღაზიაში უცებ შეუკავებელი ქვითინი გაისმა. ილია წამოდგა, კარები მიხურა და დაღვრემილმა წაიბუზლუნა:

— კარგი, გაბრო... გეყოფა... დაიძინე!

— ვინ არის — ბიჭია? — დაეკითხა მაშო

— ჰო...

— სტირის?

— ჰო...

— ეშინიან?

— არა... სიბრალულით თუ მოსდის

— ვინ ებრალება?

— შენა...

— შეხე იმას,— გულგრილადა სთქვა მაშომ და უსიცოც-
ხლო სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შეერხა. ცოტა ხნის შემ-
დეგ ჩაის სმა დაიწყო, მაგრამ ხელები ისე უცახცახებდნენ, რომ
ლამბაქს კბილებზედ რაკა-რუკი გაუდიოდა. ილია შესცეკ-
როდა და თითონაც არ ესმოდა ებრალებოდა მაშო, თუ არა?
მაგრამ ეს კი იყო, რომ საშინლად უმძიმდა იმასთან ყოფნა
და იმის ქმარზე ზიზლითა ჰეთიერობდა.

— ეხლა რას აპირებდი? — დაეკითხა ილია, კაი ხნის სიჩუმის
შემდეგ.

— არ ვიცი, — მიუგო ქალმა და მწარედ ამოიოხრა. — რა
უნდა ვქნა?.. ცოტას შევისვენებ... და ისევ დამიჭერენ...

— უნდა უჩივლო, — გადაწყვეტით უთხრა ლუნეგმა: — რის-
თვის გაწვალებს? ან ვისა აქვს იმის უფლება, რომ ადამიანი
აწამოს და სჩაგროს?

— პირველი ცოლიც ეგრე მოუკლავს... — დაიწყო მაშომ —
თმით თურმე მიაბამდა ტახტზე და ცხელი მაშით ხორცებს
აგლეჯავდა... სწორედ ესრე უწვალებია ისიც... ერთხელ მე-
ძინა ჩემთვის და უცბათ საშინელმა ტკივილმა გამომალვიძა...
თურმე წუმწუმა აენთო და ტიტველა მუცელზედ მაღებდა...
კინალამ გავვიდი...

ლუნევი გაშმაგებული წამოხტა და ხმა მაღლა დაიწყო
ყვირილი, რომ ხვალვე პოლიციაში უნდა წახვიდე, აჩვენო
დალურჯებული და დაგლეჯილ-დაფლეთილი სხეული და
მოითხოვო, რომ გაასამართლონ შენი ქმარიო. ქალმა მოუსვენ-

რად ბორგვა დაიწყო სკამზედ და შემკრთალის ხმით მიმართა
ილიას.

— ნუ ჰყვირი... თუ ღმერთი გწამს, ნუ ჰყვირი! — გაი-
გონებენ.

ილიას სიტყვები მხოლოდ აშინებდნენ ქალს და შვებას
კი სრულიად არ აძლევდნენ. ვაუი მალე მიხვდა ამას და მალე
დარწმუნდა, რომ ეს ამ ცოტა ხანში ცოცხალი და მხიარული
გოგო, ტანჯვისა და ვაებისაგან თითქმის ჭკუაზედ შერყეუ-
ლა და ადამიანურ გრძნობა-გონებას სულ მთლიად გამოსალ-
შებიათ.

— კარგი, — განაგრძო ლუნევება და ისევ ჩამოჯდა სკამ-
ზე, — მე თითონ მოვკიდებ მაგ საქმეს ხელსა... მე გზას ვიპ-
ოვნი!.. შენ ამაღამ აქ უნდა დაიძინო. — გესმის, მაშო?

— მესმის... — ოდნავ გასაგონი ხმით მოუგო ქილმა და
ოთახი მიათვალ-მოათვალიერა.

— ჩემ ლოგინში დაწექ... მე მაღაზიაში დავიძინებ...
ხვალ კი მე...

— ეხლავე რომ დავწოლილიყავ... ძალასავითა ვარ მოქან-
ული.

ილიამ ხმა ამოუღებლივ საჭოლს სკამი მოაშორა. მაშო
მიწვა და საბანში გახვევა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა,
ოდნავ გაიღიმა და სიქა:

— რა სასაცილო რამა ვარ... თითქოს მთვრალიაო...

ილიამ მიხურა საბანი, თავ ქვეშ ბალიში გაუსწორა და
წისვლა დააპირა, მაგრამ მაშო შეშფოთდა და უთხრა:

— ნუ წახვალ... პატარა ხანს იჯექ! მარტოკა რომ ვრჩები,
რაღაცები მელანდებიან... მეშინიან...

ილია გვერდით მიუჯდა, მაგრამ როცა ქალის გაფით-
რებულ სახეს და ხუჭუჭუ თმის გადახედა, პირი მოარიდა. უც-
ბათ თითქოს შერცხვა, რომ მის წინ ცოცხალ-მკვდარი ადა-
მიანი იწვა და ის კი ასე დინჯათ უყურებდა. მოაგონდა იაშ-
კას მუდმივი სათხოვარი, მატიცასაგან მაშოს შესახებ ნალა-
პარაკევი ამბები და თავი დაბლა დაპირა.



— იაშასაც თურმე მამა აწვალებს... მატიცამ მითხრა. და მედია... — დაიწყო ქალმა.

— მამები! — წაიბურტყუნა კბილებში ლუნევმა და ქალის უსიცოცხლო ლაპარაკი შესწყვიტა — მაგისთანა მამები კატორგაში არიან გასაგზავნი... მამა შენიცა და პეტრეშვილი ფილი-მონოვიც...

— მამა ჩემი კი სუსტია. — იმას არაფერში მიუძღვის დანა-შაული...

— არ შეგიძლიან შვილის აღზრდა და ნუ შობავ...

დუქნის პირდაპირ მდგარ სახლში ორ ხმად მღეროდნენ და სიმღერის სიტყვები ლია ფანჯარისკენ დინჯათ მოსცურავ-დნენ. მაგარი ბანი გულმოლგინ ეთ ამბობდა:

„იმედ გაცრუებულისათვის ერ..თი..ა“

— აგერ ვიძინებ კიდევ, — წაიბურტყუტა მაშომ: — რა კარ გია შენთან... სიჩუმეა... და მშეგნიერათ მღერიან.

— ჰო, მღერიან... — მიუგო და ნაღვლიანად ჩაიცინა ლუნევმა: — ზოგს ტყავი სძვრება და ზოგნი კი ბეღნიერად მღერიან...

„და აღარ ძალმის კვლავ გავიტაცო“...

„გა...ვი...ტა...ცოოო“ — მაღალმა ხმამ ლამაზად გაიწკრი ალა ღამის დუმილში ლა თავისუფლად, მსუბუქათ ალიმართა ზეცისკენ.

ლუნევი წამოდგა და გაჯავრებულმა ფანჯარა მიშეურა: სიმღერა მას ეხლა უადგილოდ მიაჩნდა, — როგორდაც გულს უკლავდა და სულს უუთავდა. ფანჯარის რახუნმა მაშო შეა-კრთო — თვალები დააჭყიტა და შეშინებულმა ილიას მიმართა:

— ვინ არის?

— მე ვარ. ფანჯარა მიეხურე...

— ღმერთო ჩემო!.. მიღიხარ?

— არა, ნუ გეშინიან..

ქალი გაიზმორა, გადაბრუნდა და ისევ ბურანში წა-ვიდა. ილიას გაფაჩუნება, თუ ქუჩაში მიმავალის ფეხის ხმა,

უკელაფერი აწუხებდა მაშის და აშფოთებდა: შემქრთალი და განვირებდა:

— ამ წუთას... ეხლავე...

ან არა და ხელს გაუწოდებდა ილიას და ეკითხებოდა:

— არახუნებენ?

ილია სცდილობდა უნძრევლივ მჯდარიყო და თან იმის ფიქრებში იყო წასული, თუ რა ექნა და მაშისთვის როგორ ეუველნა, თუმცა ის კი გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ჯერ-ჯერმით თავისთან ჰყოლოდა, სანამ პოლიცია არ ჩაერეოდა მაშის ბედ-ილბალში...

„კირიკი თუ მიშველის ამ საქმეში“.

— გთხოვთ, გთხოვთ! — მოისმა გრომოვის გაღებულ ფანჯრებიდან. ვიღაცამ ტაშიც შემოჰკრა. მაშომ დაიკვნესა და გრომოვიანთსა ისევ დასძახეს:

„Пара гнѣвныхъ запряженныхъ зеренъ“...

ლუნევმა იმედ - გადაწყვეტილსავით გააქნია თავი... ეს სიმღერა, მხიარული ურიმული და სიცილ-ხარხარი აწუხებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ფანჯრის ფიცარზე დაყრდნობილი ილია ბრაზითა და ზინზით შესცემოდა გრომოვიანთ გაჩირალდნებულ ფანჯრებს და ჰყიქრობდა: რა კარგი იქნებოდა გაესულიყვ ქუჩაზე, ამეღო ტალახის დიდი ბელტი და შიგ ფანჯარაში მეტყლიშნა, ან არა და საფანტით გამეტენა თოფი და ამ მხიარულ ხალხისთვის მესროლაო. აქ მათი ზარითა და შიშით დამახინჯებული და სისხლში მოსვრილი სახეები, მათი ყვირილი და ღრიან ცელი წარმოიდგინა და სიამოვნებით ჩაიცინა გულში. მაგრამ სიმღერის სიტყვები კი უნდა ბურად უძვრებდნენ გულისა და სულის სიღრმეში და მასაც იყოლიებდნენ. ილია გულში იმეორებდა სიმღერის სიტყვებს და ძლიერ მიხვდა, რომ ეს მხიარული ხალხი როსკიპი ქალის დასათლავებაზე მღეროდა გატაცებული. ამან ხომ სულ მთლად გააცვითრა და გააკვირვა ილია. უფრო გულმოდგინედ და გაფაციცებით წაუგდო ყური და თანა ჰყიქრობდა:



„რათა მღერიან ამას? რა სიმხიარულეს ჰედავენ ამისთანავე...
სიმღერაში? სულელები! დასაფლავებაზედ და ისიც ვის დასაფ-
ლავებაზედ... და აქვე მეზობლად კი, სულ ხუთი თუ ექვსი
ნაბიჯის სიშორეზედ, ცოცხლად ნატანჯი და ნაწამები ადამია-
ნი ჰგდია...“

— ვაშა! ვა-შა! — გაისმა ქუჩაში.

გაშოსა და ქუჩის მაყურებელი ლუნევი ხანდაშით ჩუმათ
გაიღიმებდა ხოლმე. ეხლა სასაცილოდ მიაჩნდა, რომ როსკიპი
ქალის დასაფლავების ამბავში ხალხი სიამოვნებას და მხიარუ-
ლებას ჰპოვებდა.

— ვასო... ვასო... — ჰბუტბუტებდა მაშო... — ალარ ვი-
ზამ... ღმერთო...“

აქ შეიბორგა, ცეცხლ მოკიდებულსავით მიაწყდ-მოაწყდა,
საბანი ძირს გადააგდო, ხელები გაპარკყა და გაშრა. პირი ნა-
ხევრად დაელო და ყელში ხრიტინებდა. ლუნევი ფიცხლავ მი-
ვარდა და სმენად გადიქტა — ევონა ქალი სულსა ლევსო; მაგრამ
მისი სუნთქვით დამშეიდებული ილია, წელში გაიმართა, საბანი
წახურა, ფანჯრის ფიცარზე შეჯდა, შუბლი გაციებულ რკინის
მოაჯირს მიაყრდნო და გრომოვიანთ ფანჯრებს ჩაშტერდა. იქ
ისევ მღეროდნენ — ხან ერთი ხმით, ხან ორნი და დროგამო-
შვებით ყველნი ერთად. მუსიკას გუგუნი გაუდიოდა, მაგრამ
სიცილ-ხარხარი კი მაინც დრო-გამოშვებით გამოწერებოდა და
საერთო ხმაურობას მთლიად დაჰფარავდა ხოლმე. ფანჯრებში
ხან ერთი და ხან მეორე ქალი გამოჩნდებოდა — ვარდის ფერ,
თეთრ თუ ცისფერ კაბიანები. ილია ყურს უგდებდა და გან-
ცვიფრებული ჰფიქრობდა, როგორ შექმლიანთ ამ ხალხს ამის-
თანა სევდისა და ვარმის მომგვრელი სიმღერებით თავის შექ-
ცევა და მით უმეტესად, ყოველ სიმღერის შემდეგ სიცილ-
ხარხარი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და გულის დამ-
წველი სიტყვები მაგათ არ ეთქვათო? ნუ თუ სევდითაც თავს
ჲცდენ?

მოაგონდებოდა თუ არი მაშო, გარინდებული გადახედავდა
და გაიფიქრებდა: რა მოელის ეხლა საწყალს და რა დაემარ-



თებაო? ერთიც ენახოთ ტასო შემოვიდეს და ნახოს! რა უნდა კერძოდ გამოიყენოდა თავი. თითქო მთერალი ან დასაძინებელ წამლით გამორეტებული იყოსო. ეს სიმღერები, მაშის კვენესა-გოდება და თავისი მძიმე, უაზრო ფიქრები გულს ურევდნენ და უშხამავდნენ. ძილი როცა მოუვიდა, ჩამოძვრა ფანჯრის ფიცრილან და იქვე მაშის საწოლის გვერდით ზედ იატაჭე გაიშოტა, თავქვეშ თავისი პალტო დაიდო და დაიძინა, მაგრამ ვერც ძილში ნახა მოსვენება: სიზმარში მაში ნახა—მითომ მომკვდარიყო და დიდს, ვეებერ-თელა დარბაზში პირდაპირ მიწაზედ ესვენა; გარს ვარდის, თეთრ და ცისფერ კაბებში გამოწყობილი ქალები ეხვივნენ და დამღეროდნენ. თუ მოსაწყენს რამეს მღეროდნენ, ყველანი იცინოდნენ, თუ მხიარულს დაიწყებდნენ, მწარედ ქვითინებდნენ და თეთრ ცხვირსახოცებით ცრემლებს იწმენდნენ. სარდაფუში ბნელოდა და ნესტის სუნი იდგა, ერთ კუნჭულში მჭედელი საველი იდგა და რკინის მოაჯირს აკეთებდა, რისგანაც რკინის საშინელი რახუნი ისმოდა. სარდაფის სახურავზე ვიღაცა დადიოდა და გამწარებული ლრიალებდა.

— ი...ლი...ა, ი...ლი...ა!

თითონ იქვე კუნჭულში ეგდო გათოკილი და ვერც კი გადაბრუნებულიყო. მეტის სიმწარით ენაც კი დაპირდო...
— ილია, ადექ, თუ ღმერთი გწამს...

ილიამ თვალები გააჭირა და თვალ წინ პავლე გრაჩევი გამოეცხადა. ამხანაგი სკამზედ ჩამოჯდარიყო და მძინარე ილიას ფეხით აღვიძებდა. მზის ბრწყინვილა სხივი მხიარულად იყურებოდა ოთხში და აღუღებულ სამოვარს ნაზად ანაოებდა. ლუნებმა ველარ გაუძლო სინათლეს და თვალები დახუჭა.

— ილია, ყური დამიგდე!

პავლეს ხმა ჩახრინწებოდა, თითქოს გუშინდელი დღე მთლიად ლოთობაში გაუტარებიაო, სახე ჩაჰკვითლებოდა და თმა საძაგლათ ასწეროდა. ლუნევმა შეხედა, წამოხტა იატაკი-დან და ნახევარის ხმით დაეკითხა:

— რაო?

— ჩაება!.. თავის დაქნევით მიუგო პავლემ.

— რაიმ? სად არის? — დაეკითხა აჩქარებით ლუნევი, და ხარა და ამხანაგს მხარში წავლო ხელი. გრაჩევმა წაიბორძიკა და დაფუძტულად წაილაპარაკა:

— სატუსალოში ჩასვეს... გუშინ დილით წააბრძანეს...

— რისთვის? — მაღალის ჩურჩულით დაეკითხა ილია.

მაშომ გაიღვიძა და შემკრთალი თვალები პავლეს მიაჩერა. მაღაზიის კარებიდან გაბრიკო პირ დაღმეჭილი გამოიყურებოდა:

— ამბობენ ერთს ვაჭარს... ექვსასი მანათი... პორტმანი... და თამასუქები მოჰპარაო.

ილიამ ხელი ჰკრა ამხანაგს და ხმა ამოუღებლივ ჩამოშორდა:

— გაჩხრეკის დროს უპოვნიათ... — ყრუდ განაგრძობდა გრაჩევი. — ბოჭაულის თანაშემწისთვის სილაც გაერტყა.

— რასაკვირველია, — მკაცრის ლიმილით განაგრძო ილი. ამ. — მაინც მიჰყავდათ სატუსალოში და მაინც...

მაშო როცა მიხვდა, რომ ეს ლაპარაკი მას არ შეეხებოდა, გაიღიმა და ჩუმათ წაილუღლულა:

— აი, მე უნდა წავეყვანეთ სატუსალოში, რომ...

პავლემ ჯერ ქალს გადახედა და მერე ილიას.

— ვერა სცნობ? — დაეკითხა ილია. — მაშო, პერფიშეს ქალი ალარ გახსოვს?

— ჰომ, გულგრილად წამოიძახა პავლემ და ქალს თვალი მოაჩიდა, თუმცა მაშომ კი როცა იცნო პავლე, გაულიმა.

— ილია! — დაღვრებილად მიუბრუნდა გრაჩევი ამხანაგს, — ერთიც ვნახოთ ჩემთვის ჩაიდინა ეს საქმე? აკი მეუბნებოდა ხოლმე...

— რა მოგახსენო, არ ვიცი ვისთვის ჩაიდინა — შენთვის თუ თავისთვის... მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ იმისი საქმე ეხლა წასულია...

ლუნევი ჯერ გონს ვერ მოსულიყო. გაოუძინებელი, პირ უბანელა და თმა აწეწილი ჩამოჯდა მაშოს საწოლზე და ხან მაშოს შექხდავდა გარინდებული, ხან პავლეს.

— მე ვიცოდი, — დინჯათ განაგრძო ილიამ, — რომ თქვენი საქმე კეთილიად არ გათავდებოდა.

— არ მიჯერებდა, — სთქვა შეწუხებულმა პავლემ.

— ჰომ? — დაცინვით შესძახა ლუნევმა — უბედურებაც იმაშია, რომ არ გიჯერებდა! მერე რა შეგეძლო გეთქვა?

— მე მიყვარდა...

— მერე, რა ეშმაკათ ექნაჭებოდა შენი სიყვარული? რას იყიდდი შენი სიყვარულით? შენი ნაშრომით პურსაც კი ვერ აჭმევდი, მგონი, ხეირიანათ...

— მართალია, — ამოოხერით მიუგო პავლემ.

ლუნევს ბრაზი მოსდიოდა. ის ცხადათ ჰერძნობდა, რომ პავლეს თუ მაშოს თავგადასავალი ახელებდა და სულსა და გულს უმღვრევდა, მაგრამ რაკი არ იცოდა ჯავრი ვიზე ამოეყარა და გული როგორ მოეოხებინა, ისევ ამხანაგს მივარდა:

— ყველას სუფთა და მხიარული ცხოვრება ენატრება... რასაკვირველია, არც ის განსხვავდებოდა სხვებისაგან... შენ კი ჩასციებოდი: მე მიყვარხარ, და მაშასადამე, ჩემთან იცხოვრე, ყველაფერი ითმინე და ნაკლულევანებას ნუ შენიშნავო... შენა იგონია, ეგრე უნდა, ჰა?

— მაშ რა უნდა მექნა? — დინჯათ დაეკითხა პავლე.

ამ კითხვამ ცოტა არ იყოს დაადინჯა ილია და ნება-უნებურად დააფიქრა.

— ის უფრო ადვილი და კარგი იქნებოდა, რომ ჩემის საკუთარის ხელით მომეკლა... — წაილაპარაკა პავლემ.

მაღაზიიდან გაბრიკომ გამოიხედა.

— ილია აკოვლევიჩ! მაღაზია გაფალო?

— ეჭ, დაიკარგოს ერთი! — დაუყვირა გაჯავრებულმა ლუ-ნეემა. — რა ვაჭრობისთვის მცხელა?!

— გიშლი, მგონი? — უთხრა პავლემ.

პავლე სკამზე ჩამომჯდარიყო, წელში მოღუნულს იდა-
უვები მუხლებისთვის დაეყრდნო და გატაცებული იატაკს ჩას-
ცეცხლდა. საფეთქელზე არაც, სისხლით გატენილი ძარღვი
დასკიმდა და საშინლით უცემდა.

— შენა? — შესძახა ლუნევმა და ამხანაგს გადახედა. —
შენ არ მიშლი... არც მაშო მიშლის... აქ სხვა რალაც! უწი-
ნაც ბევრჯელ მითქვამს შენთვის, რომ უველის გვიშლის...
შენცა და მაშოსაც... სუყველის! ჩვენი სისულელით თუ სხვა
რამით—არ ვიცი... მაგრამ ადამიანური ცხოვრება კი არ შეგვი-
ძლიან!

ლუნევმა მიათვალ-მოათვალიერა თავისი ვიწრო ოთახი,
გაშოს გადახედა, რომელიც უნძრევლივ ეგდო საწოლზედ, ნა-
ღვლით შეიხედა მაღაზიაში, საცა გაბრიკო ჩაისა სეამდა, რკი-
ნის მოაჯირიან ფანჯარაშიც გაიხედა და თან კი გაშმაგებული
ჩახრინწიანებულის ხმით ლაპარაკობდა:

— ცხოვრება ვეღარ მოგვიხერხებია... ირგვლივ სივიწ-
როე და გაუგებრობაა... მიაგნებს კაცი სუფთა კუთხეს... და
არც აქ მოასვენებენ! ყველაფერი ყალბი... ლოდსავით მძი-
მე და გაუგებარი... არაფერი გესმის. გწყინს, გული გიკვდება,
ჰედავ მღერიან, ალბათ, რომ მხიარულობენ, არა? მაგრამ სიმ-
ღერაც კი გწყინს, როცა სული გტკვა და გიკვნესის...

— რაზედ ლაპარაკობ?—დაეკითხა თავ აუღებლივ პავლე.

— ყველაფერზედ! —დაიძახა ლუნევმა: — მე ეხლა ისეთს
ფიქრზედა ვარ, რომ აღარაფერი მომწონს! არაფერი მესმის!..
ერთი სიტყვით, კარგათ არ მესმის! მაგრამ ის ხომ კარგათ ვი-
ცი, რომ ცხოვრება მინდა, ცხოვრება მინდა ადამიანური,
—სუფთა, პატიოსნური და მხიარული! არ მინდა ვაისა და ვა-
რმის თუ უსამართლობის ნახვა... ცოდვები და სხვა და სხვა
სისაძაგლები! არ მინდა, მაგრამ მე თითონ კი...

აქ უცებ ხმა ჩაჭმინდა და გაფიორდა.

— მერე? — დაეკითხა პავლე.

— არა... მაგაში არ არის საქმე!.. მე ხომ არ მინდოდა..

— ხმის დაკლებით განიგრძო ლუნევმა.

— შენ სულ შენ თავზედ ლაპარაკობ... — შენიშნა ჰავ-ლებ

— შენ ვიღაზედ სწუხარ? — დაცუნვით დაეკითხა ილია. — შენ ვერკაზედ, ჰა? მერე ვერკა ვის უნდა, — შენა თუ მე? ყველას თავისი ჭირი აწუხებს და თავისივე ხმით კვნესის... მეჩემზედ კი არა, ყველაზედ ვლაპარაკობ... იმიტომ რომ ყველანი გაწუხებენ...

— მე წავალ, — სთქვა გრაჩევმა და ძლივს-ძლივობით გაიშალა წელში.

— ეს! — შეჰყვირა ილიამ. — გაიგე, კი ნუ გწყინს... მეცხომ ვარ შენსავით სულ შეხუთული, შევიწროებული, გათასისირებული და დამცირებული; დამცირებულნი უნდა მიუხვდნენ ერთმანეთს გულის წუხილს, რომ მაშინ ისეც ადვილად გამოაშვარავდებოდა, თუ ვინ არის ჩვენი მტარვალი.

— თითქოს ლოდი დაურტყამთ თავშიო, ისე ვარ გამოყრებული და აჩაფერი მესმის! ვერკა მებრალება... აი, ეს არის ჩემი დარდი და ნალველი... რავენა? არ ვიცი...

— ვერაფერსაც ვერ იზამ. — გადაწყვეტით უთხრა ილიამ. — გადაჭრით შეგიძლიან სთქვა ვერკაზედ... დამეკარგათ-ქო! უსათუოდ გაასამართლებენ... რაკი ნაჯურდალიც უპოვნიათ...

გრაჩევი ისევ ჩამოჯდა სკამზედ.

— მე რომ გამოვაცხადო, ჩემთვის ჩაიდინა ეს საქმე, მე-თქი? — დაეკითხა ჰავლე.

— შენა — თავისი გადა-მგზავრებენ... დიახ... რაც უნდა იყვეს, მაინც რიგზედ უნდა მოიყენო შენი თავი... პირი მაინც დაგებანა... შენცა, მაშო... ჩვენ მაღაზიაში გავიალოთ და შენ ადექ, პირი დაიბანე .. ჩიი გაგვიკეთე... ერთი სიტყვით, იდიასახლისე.

მაშო შეკრთა, ბალიშს თავი მოაშორა და შეშინებული დაეკითხა.

— მერე... შინ უნდა წავიდე? ..

— საქორო არ გახლავთ! .. შინ იქ არის ადამიანისთვის, სადაც არ აწამებენ და ადამიანურად ექცევიან... წამო, ჰაშა!



მაღაზიაში რომ გავიდნენ, პავლე უგმენტად დაეკითხა ბაშობის...
— მაგას აქ რა უნდა? ძალების ნათრევსა ჰეგა...
— ლუნევმა მოკლეთ გადასცა შაშოს თავგადასავალი. ამ

ამბავმა მეტად გამოაცოცხლა გრაჩევი, რამაც, ცოტა არ იყოს, ლუნევი გააკვირვა.

— უყურებ ი ბეჭერ ძალისა! — შესძახა ბრაზით გრაჩევმა.

ილია გვერდით ამოსდგომოდა პავლეს, თავის დუქანს ათვალიერებდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა:

— ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, ლოთობა.. ყოველი სიბინ-ძურე და უწესოება... აი, რა არის ცხოვრება! ზოგს არაფერი უნდა ამათგანი, მაგრამ — ვინ ეკითხება? ყველის ერთი და იგივე გზა აქვს... იცხოვრებისე, როგორც ყველისთვის არის დადებულიო-ვერსად დაიმალები. ტყეში ხომ ვერ გაიქცევი? ან იქნება მონას-ტერში იყვეს ხსნა? ამას წინათ მითხარი, თუ არ დაგავიწყდა, ეს ვაჭრობა და დინჯი ცხოვრება ვერ დაგაქმნაუფლებს და ვერ დაგამშვიდებსო... მართალია. ვერ მამშვიდებს... რა არის იმაში სასურველი, რომ ერთ ადგილზე ვვდივარ და ვვაჭრობ? საქმე და დარღი ბევრი მომეცა და თავისუფლება კი დავკარგე. ვერსად წასულხარ. უწინ, ქუჩა ქუჩა როცა დავდიოდი... საცა მინდოდა წავიდოდი... ვისაც მინდოდა, ვნახავდი... თბილ და დინჯ კუთხეს ვიპოვნიდი, დავჯდებოდი და ვსტკბებოდი... ეხლა კი ვარქვივარ ერთ ადგილას... უნძრევლივ...
— აი, ვერკა რომ აგეყვნა ნოქრად, — ჩაურთო სიტყვა პავლებ.

ილიამ შეხედა და გაჩუმდა.

— მობრძანდით! — დაუძახა მეორე თთახიდან მაშობ.

ჩაის სმის დროს სამთავენი გაჩუმებულნი ისხდნენ. კარში მხე ანათებდა, ფილაქანზე შიშველ ფეხებს ტყლაშა - ტყლუში გაუდიოდა და ფანჯრების წინ ხილით თუ ხორაგეულობით მოვაჭრები დაძრწოდნენ.

— ახალი ხახვი, თალიში ხახვი! — გაჭკიოდა წვრილის ხმით ვილაცა დედაკაცი.

— ქორფა კიტრი, კიტრი!

Կայլացրու գանցեցնե լաքարայոմք և մշցենոյն, տօնլ և հաեհած գլուխի մռասթազը ծած; Արդարա ոտաեթի զոնց տրուս սյոն ուղա, գրու զմռաշը ծած ճածալուս եմուտ թարմացմունու սցցանու սուրպա զամամու և սամոցարու նալզալունաց մշցնեց ծած...

— თითქმ ქელებში სხედანო,—წაილაპარაკა ილიაშ.

— ვერას ქელეხია მაინც,—დაუმატა გრაჩევმა.

პავლე დაშვებულსავით იჯდა. სულით თუ სხეულით
მოშვებული ხელიბს ძლიერ ანძრევდა, დაჭიმული სახე სასო-
წარკვეთილების მეტს არას გამოჰქმდა და ყრუდ, ღინჯათ
ლაპარაკობდა...

— გამოფხიზლდი, რა დაგემართა, — მკვახედ უთხრა ილი-
ამ. — შენი დაძმარება საჭიროს ვერას უშვილის...

— სინიღისი გაწუებდს... — თავის ქნევით მიუკო გრაჩვა-
მა. — ვზივარ და ვფიქრობ: ერთიც ვნახოთ ჩემი მიზეზით მო-
ნვდა სატუსალოში მეტქი?

— სწორედ გგრეც უნდა იყვეს, — შეუბრალებლად და-
თანხმა ამხანაგი.

გრაჩევმა თავი აიმაღლა და საყველურით გადახედა ამხა-
ნას.

— Հաս մոկողնդ՞?

— ଓଡ଼ିଆ ଜ୍ଞାନପିଲାରୀ ମୁଦ୍ରଣ କରିଛି...

— მერე რა მიზეზით უნდა ვიყო კეთილი? ან და ალექ-
სიანი რად უნდა ვიყო? — შეცყვირა ილიამ. მე ვიღამ მიყო სიკე-
თე? ვინ იყო, რომ თავზე ხელს მისვამდა?.. შეიძლება ერთი
ადამიანი იყო, რომელსაც მართლა ვუყვარდი... ამგრამ ისიც
არამზადა... გარყვნილი და როსკიპი ქალი გამოდგა! ჰო! ჩვენ
ყველამ თავში გვიტყაბუნოს და ხმაც არ ამოვილოთ, კრავებ-
სავით კეთილები ვიყოთ? უჯრარავთ, ვერ მოგართვით!

ასეთი მოულოდნელი გაშმაგება სახეზედაც კი დაეტური იღიას, სახე დაუწიოთლდა და ოვალები სისხლით დაემსო; ასევე მოულოდნელად წამოხტა და ყვირილის, გინების თუ მტკრუვის სურვილით გამსჭვალულმა, ოთახში სიარული მორთო.

მაგრამ მაშომ უცბათ ბავშვესავით ქეითინი ასტეხა.

— მე შინ წავალ... გამიშვით,—ამბობდა აკახცახებულის ხმით მაშო და ისე საკოდავათ აქნევდა თავსა, თითქოს სადღაც დამალვას უპირებდნ.

— ლუნევმა ხმა გაძჰმინდა. ის მიხედა, რომ პავლეც კეთილად არ უყურებდა მის გაშმაგებას.

— რა იყო, რა გატირებს? — დაუყვირა გაბრაზებულმა ილიამ.— შენ ხომ არ გიყვიროდი... ან სად წაგებსვლება... მე კი-წავალ... საჭიროა... პავლე შენთან დარჩება... გაბო! თუ ვინიცობაა ტატიანა ვლასოვნა მოვიდეს... ეს ვიღა არის?

ეზოს კარებს ვიღაცა არახუნებდა. გაბო გაკვირვებული შეჩერებულიყო და ილიას შესკერძოდა.

— გააღე! — უბრძანა ილიამ.

კარებში გაბრიკოს და გამოჩნდა. რამდენიმე წუთი ქალი გაქვავებულსავით იდგა კარებში, თავი მაღლა აეწია და მობ უტულის თვალებით ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. წუთს შემდევ მის ულამაზო და ულაზათო სახეზე ზიზღი გამოიხატა, ილიას სალაში უპასუხოთ დასტოვა და ძმას მიუბრუნდა ციფის ხმით.

— გაბრიკო, ერთი წუთით კარში გამოდი...

ილია აეთოო. შეურაცხებამ იქამდის გააცეცხლა, რომ მოწოლილ სისხლისგან თვალები მთლიად დაეწვა.

— თქვენ რომ სალაში გაძლევენ, პასუხის მიცემა უნდა იცოდეთ, ბატონო,— თავ-დაჭერით, მაგრამ მაინც ბრაზით უთხრა ილიამ.

ქალმა უფრო მაღლა აიწია თავი და შუბლზედ კოპები შეიკრა. ტუჩებ მოკუმშულმა ერთი კიდევ გაზოში ილია თვალებით და არა უპასუხა-რა. გაბომაც მრისხანეთ შეხედა თავის ბატონს.

— თქვენ არც მთვრალებთან მოსულხართ და არც ქურდებთან,— განაგრძო აკახცახებულის ხმით ლუნევმა.— თქვენ პატივით გეგებიან... და როგორც განათლებული ქალი, თქვენც მოვალე ხართ პატივითვე გვიპასუხოთ...

— ნუ იპრანკები, სონა,—უკბათ წაილაპარაკა გაბრიკობ
შემრიგებელის ხმით, მოუახლოვდა დას და გვერდში ამოუდგა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ილია და გაბრიკოს და ერ-
ომანეთს შეჰყურებდნენ და თითქოს რაღასაც ელოდნენ. მა-
შო კუნკულში მიიჭუქნა. პავლე გაქვავებულსავით იდგა და
თვალებს უაზროთ ახამხამებდა.

— სთვი რამე, სონა,—მოუთმენლად წამოიძახა გაბრი-
კომ.—შენა გვონია, შენი წყენა უნდათ?—დაეკითხა დას და
შეუსაბამო ღიმილით დაუმატა.

— ისეთი უცნაურები არიან, რო!

დამ გაფთხილების ნიშნად ძმას ხელი მოსწია და ლუნევს
მიკმართა სასტიკათ:

— რა გნებავთ ჩემგან?

— არაფერი, მხოლოდ...

აქ კი კეთილი და ნათელი აზრი დაებადა ლუნევს. იმან
ქალისკენ გადასდგა ნაბიჯი და როგორც კი შეეძლო, ზრდი-
ლობიანად დაიწყო:

— ნება მომეციო... ე. უ. როგორც ჰედავთ—ჩევნ სამ-
ნი ვართ... სამთავე გაუნათლებელი და უზრდელები... თქვენ
განათლებული ადამიანი ბრძანდებით.

ილია სცდილობდა, რაც შეიძლებოდა. მალე გამოეთქვა
თვისი აზრი, მაგრამ ვერ ახერხდებდა. შავი თვალების სასტიკი
და სწორი გამომეტყველება ენას უბრძა და აზრს უთანტავდა,
ისინი შეურჩევლად მისჩერებოდნენ ილიას და თითქოს თავი-
დან იშორებდნენ... ქალს ნესტოები დაპბეროდა და ძმის ხელს
უაზროთ სრესავდა. ილიამ თვალები დაბლა დაჭხარა და დარ-
ცხვენით წაილულლუდა:

— ვერ მომიხერხებია, ვერ მითქვამს... თუ დრო გაქვთ...
პატარა ხანს დაბრძანდით...

ამ სიტყვებით ილიამ უკან გასდგა ფეხი და ქალს გასავ-
ლელი გზა დაუტოვა.

— გაბო, აქ მომიცადე პატარა ხანს,—უთხრა ქალმა და
ოთახში შევიდა. ლუნევმა სკამი მიაწოდა. ქალი ჩამოჯდა. პავ-

ლე მაღაზიაში გავიდა, შემკრთალი მაში კუნძულში იჭუპენებიდა; ლუნევი ორ ნაბიჯზედ იდგა და ვერასგზით ვერ მოეხერხინა ლაპარაკი.

— აბა? — დაიწყო ქალმა.

— აი, რაშია საქმე, — მძიმე ოხერით დაიწყო ლუნევმა. — გოგო, ე. ი. ეგ გოგო კი არა, ქმრანი ქალია... ბებერსა ჰყავს ცოლად... საცოდავს აწვალებს, სიცოცხლეს უმწარებს ნაცემი, ნატყეპი და ხორცებ დაგლეჯილი გამოჰქცევია... ჩემთან მოვიდა... თქვენ იქნება ცუდი რამეც გაივლეთ გულში? არაფერია, მერწმუნეთ...

ილიას ენა ებმოდა და სათქმელი სიტყვა ავიწყდებოდა, რადგან თან მაშის თავ-გადასავალი უნდოდა ეამბნა და თან ეჩქაროდა ამ საგნის შესახებ თავისი აზრიც გადაეცა. თავისი აზრების გადაცემა უფრო უნდოდა ილიას, ვიდრე სხვა რამის მბობა. ქალი შეცყურებდა და სახის გამომეტყველება თან და თან ულბილდებოდა, თუმცა თვალები საოცრად უელვარებდნენ.

— მესმის, — შეაწყვეტინა ილიას ლაპარაკი. — თქვენ არ იცით ეხლა რა ჰქნათ და როგორ უშველოთ? უპირველეს ყოვლისა ექიმს უნდა უჩეენოთ... შეამოწმოს... მე ნაცნობი ექიმი მყავს, — გინდათ მე წავიყვან? გაბო, აბა შეხედე რომელი საათია? მეთერთმეტეა? ჰო, სწორედ კარგიდრო ყოფილა. გაიქეც, გაბო, ეტლი მოიტანე... თქვენ კი გამაცანით თქვენი მეგობარი...

მაგრამ ილია ადგილიდგან აღარ იძროდა. ის არასგზით არ მოელოდა, თუ ამისთანა სასტიკი ქალი ასეთის ტკბილის ხმით ილაპარაკებდა. ქალის სახეშაც არა ნაკლებ გააკვირვა: სახის მუდმივი ამაყი გამომეტყველება მთლიად გამოეცვალა, ზრუნვისა და დახმარების მეტს ის აღარას გამოჰქატავდა ამ ჟამად და თუმცა ნესტოები უფრო დაებერნენ, სახეში მაინც რაღაც კარგი, თბილი და სასიმოვნო გრძნობა გამოსჭვაოდა, რაიც ილიას ადრე არასოდეს არ შეენიშნა ქალის სახეში.

ქალმა აღარ მოუციდა ილიას. მაშოს მიუახლოვდა და ნუ ლის ხმით რაღასაც ელაპარაკებოდა.

— ნუ სტირით, ჩემო კარგო, ნუ გეშინიანთ... ექიმი მშვენიერი კაცია, ის გაგშინჯავთ და მოწმობას მოგცემთ... მეტი არაფერი! მერმე ისევ აქ მოგიყვნთ... ნუ, ჩემო ძეირფასო, ნუღარა სტირით...

ლაპარაკის დროს ქალმა ხელები მხრებზედ შეაწყო მაშოს და ის იყო მოხვევნას უპირებდა, რომ ქალმა ოდნავ დაიკვნესა:

— ვაი... მტკიცა.

— რა იყო, რა დაგემართათ?

ლუნევი განზედ გამდგარიყო და ჩუმის ლიმილით ყურს უგდებდა.

— ეს რა უღმერთობაა! — შეჰქივლა გაშმაგებულმა ქალმა და მაშოს ჩამოშორდა. სახე გაჰქითორებულს, თვალებში ზარი და გაშმაგება უელავლნენ.

— ღმერთო, რარიგად არის ნაწამები...

— აი, თურმე როგორა ვცხოვრობთ! — შესძახა ლუნევმა და კვლავ აენთო. — ნახეთ? თუ ეგ არ კმარა, მეორესაც გაჩვენებთ, — აერ აიქ რომ ატუზულა! ნება მომეცით გაგაცნოთ: ჩემი ამხანაგი პავლე გრაჩვიო...

პავლე ნელის ნაბიჯით გამოვიდა დუქნიდან და ქალს უგულოთ ხელი გაუშეირა.

— მეღვედევისა, სოფია ნიკონოვნა, — წაილაპარაკა ქალმა და ახლად გაცნობილის დაღვრეშილ სახეს ჩაუკვირდა. — თქვენ ილია იაკოვლევიჩი ბრძანდებით, არა? — მიუბრუნდა ქალი ლუნევს.

— დიახ, — გამოცოცხლებული დაეთანხმა ილია, მაგრა მოუჭირა ხელი და განავრძო:

— აი... რახან ეგრეთი ბრძანებულხართ... ე. ი თუ ერთ საქმეს მოჰქიდეთ ხელი, — მეორესაც ნუ დაივიწყებთ! აქაც უბედურებაა...

ქალი დაკვირვებით უყურებდა ილიას ლამაზ, აღელვებულ სახეს და თან სცდილობდა ხელი როგორმე გაენთავი-



სუფლებინა, ილია კი. უაშბობდა ვერას თუ პავლეს თავ-გადა
სავალს, აღტაცებული ლაპარაკობდა და გრძნობდა, რომ გუ-
ლიდან რაღაც მძიმე ლოდი ეშვებოდა. დრო გამოშვებით ხელს
დაურჩევდა და განაგრძობდა:

— ლექსებსა სთხვზედა, და მერე როგორებს! ეხლა კი
მთლად ჩიცუუქა, დაიწვა... აგრეთვე ქალიც... თქვენა გონიათ...
თუ ისეთი იყო, გათავდა და მორჩა, ჰა? ნუ, ნუ იფიქრებთ
ეგრე! არც კეთილში და არც ცუდში ადამიანი მთლად არ
იხატება!

— როგორ?

— ე. ი თუ ცუდია კაცი—უსათუოდ კარგი მხარეც ექ-
ნება და თუ კარგია—არც ნაკლი აკლდება. ყველას ჭრელი
სული გვაქვს... ყველას!

— მაგას მშვენიერათ ამბობთ!—თავის ქნევით აქეზებდა
გიმნაზიაში მოსწავლე ქალი.—ეგ მეტად გუმანიური შეხედუ-
ლებაა! მაგრამ ხელი გამიშვით, ლამის მომტყდეს, ისე მტკიცა!

ილიამ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ქალი ყურს აღარ უგ-
დებდა, რადგან პავლეს დარიგებაში იყო გართული.

— სირცხვილია, როგორ შეიძლება? აქ მოქმედებაა საჭი-
რო და არა ყურების ჩამოყრა! მოქმედება ყოველთვისაა საჭი-
რო! ვექილი უნდა მოუძებნოთ, გესმით, ვექილი! მე გიპოვ-
ნით ვექილს, გესმით? და არც არა უშაგს-რა თქვენს ვერას,
რადგან გაამართლებენ... პატიოსან სიტყვას გაძლევთ, გაამართ-
ლებენ!

ქალს სახე გაუწითლდა, საფეთქლებზე თმები აეწეწა და
თვალები რაღაც არა-ჩვეულებრივის ცეცხლით აღეგზნა. მაშინ
გვერდით ამოსდგომოდა და ბავშვურის ნდობით შეჰყურებდა.
ლუნევი კი გამარჯვებული შეჰყურებდა პავლესა და მაშინ და
თითქოს ამაყობდა და ქალით თავი მოჰქონდა.

— თუ მართლა შეგიძლიანთ შეველა,—აცახუახებულის
ხმით დაიწყო პავლემ,—მიშველეთ რამე! ჩემს სიცოცხლეში
არ დავივიწყებ თქვენს გულკეთილობას... თუმცა არა მჯერა,

რომ კიდევ შეიძლებოდეს შველა, გამარჯვებაზე ფიქრი კიდლობოდა... მაინც მინდა...

— ხვალ შვიდ საათზედ მოხვალთ ჩემთან, არა? აი, გაბ-რიყო გაჩვენებთ, საცა ვცხოვრობ...

— მოვალ... სიტყვა ვერ მომიძებნია, რომ მადლობა გა-დაგიხადოთ.

— რა საჭიროა მადლობა!

— მაგრამ მე მაინც მესმის, რომ...

— მაგაზედ ლაპარაკს თავი დაფანებოთ! აღამიანნი მოდა-ლენი არიან გაჭირვების დროს ერთმანეთს დახმარება აღმოუ-ჩინონ.

— დიახ, აღმოუჩენენ დახმარებას! — დაცინვით ჩაუმატა ილიამ.

ქალი ფიცხლავ მობრუნდა მოლაპარაკესაკენ და რილაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გაბრიყომ; რომელიც ყველაზედ ფხიზ-ლად და გონივრად ჰკრძნობდა ამ ქამად თავსა, მუჯლუგუნი წაჭკრა და უთხრა:

— წადი რალა, ენაჭარტალავ!

— ჰო, მართლა! მაშო, ტანთ ჩაიცვით!

— მე აღარაფერი მაქვს ჩასაცმელი, — დარცხვენით წაი-ლაპარაკა მაშომ.

— ჰომი?... სულ ერთია! წავიდეთ... თქვენ ხომ შემოივ-ლით ჩენსკენ, ჰა? — დაეკითხა ქალი გრაჩევს. — მშვიდობით, ილია იაკოვლევიჩ!

ამხანაგებმა ხმა ამოუღებლივ და პატივის ცემით ჩამოართ-ვეს ხელი. ქალმა მაშოს ხელი ჩატკიდა და კარგებისკენ გასწია, მაგრამ ჯერ ხუთი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ ისევ მობრუნ-და, თავი მალლა გადიშია და ილიას მიუბრუნდა:

— მართლა, დამავიწყდა... მე არ მოგეხალმეთ... როცა მოველი... ეს სივირე გახლდათ ჩემი მხრით, ბოდიშს ვიხდი, გესმით?

ქალს სახე გაუშითლდა და თვალები დარცხვენით დაბლა დაჭარა. ილია შეჰყურებდა და გულში სანეტარო მუსიკის გუგუნი ესმოდა.

— ბოდიშს ვიხდი... ძლიერ! მე მეგონა ქეიფობენ მეთქი... სისულელე იყო ამისთანა ფიქრი, მაგრამ...

აქ ქალი უცებ გაჩერდა, თითქოს როცაც სიტყვა ჩაჰულა-ზაო.

— მაშინ კი... როცა მისაყვედურეთ, რატომ საღამს არ იძლევითო... მე მეგონა—თქვენში ბატონი ლაპარაკობს მეთქი... მეგონა, მაგრამ შევცდი! მეტად მოხარული ვარ! თურმე ადა-მიანურმა ლირსებამ გათქმევინათ ის სიტყვები.

უცებ კეთილი და ნათელი ღიმით გაუნათლდა სახე და თითქოს პირს იგემრიელებს თავის სიტყვებითაო, გულით და სიამოვნებით განაგრძო:

— ოჲ, რა კარგია, როცა ადამიანში კიდევ შეხვდები თავისს პიროვნების და ლირსების პატივისცემას!.. მეტად მოხა-რული ვარ, მეტად... უველაფერი ისე კარგად და მშვენიერად დაბოლოვდა.

სთქვა და როგორც განთიადის სხივებით განათებული პატარა ლეგა ღრუბელი, გაპქრა ღიმილით და მაშოც თან წაიყვანა. ამხანაგნი ალერსით შეჰყურებდნენ მიმავალ ქალს—ორთავეს სახე უბრწყინვდათ, თუმცა იმავე დროს, ცოტა არ იყოს, სასაცილონიც იყენენ. მეტე ლუნევმა ოთახს მიმოავლო თვალი და ამხანაგს მიუბრუნდა:

— რას იტყვი?

პალეტ ჩიუმათ ჩიიცინა

— აბა ეგა ყოფილა. — ახვრით განაგრძო ლუნევმა.— ნახე რა ჰქნა?..

— ქარიშხალსავით კი გაპჟანტა უველაფერი და!

— ნახე?—ალტაცებით ამბობდა ლუნევი და თან გაქანე-ბული ხუჭუჭა თმას იწერწავდა. — ბოდიშს როგორ იხდიდა? აი, რას ნიშნავს ნამდვილად განათლებული ადამიანი, რომელიც უვე-

ლას ერთგვარიად პატივსა სცემს.. მაგრამ არავის წინ კი ას მოხხრის ქედსა! გესმის?

— სწორე გითხრა, კარგი აღამიანი ყოფილა,—ღიმილით დაეთანხმა პავლე.—რამდენი ხანი დაჭყო ჩვენთან? თითქმის ერთი საათი... და ჩვენ კი ერთ წუთათ გვეჩვენა.

— ვარსკლავესით გაიკაშვაშა, ჰა!

— მაშ! უცბათ ყველაფერიც რომ გაარიგა—ყველას გზა უჩვენა და რჩევაც მისცა.

ლუნევი თავდავიწყებით იცინდა. იმას უხაროდა, რომ იმისთანა ამაყი ქალი ასეთი თავდაბალიდა ცოცხალი გამოდგა; გარდა ამისა თავისს თავის კმაყოფილიც იყო, რომ შესძლოდა შესაფარისად ეჭირა თავი.

— ეჭ!—შესძახა სინაულით ლუნევმა. — სულ არ დამავიწყდა... ი ბოდიშის მოხდით სულ დამიკარგა თავ-ტანი!

— რა დაგავიწყდა?—დაეკითხა პავლე.

— ხელზედ უნდა მეკოცნა... განათლებულ ხალხში მიღებულია თურმე, მეტს პატივისცემას ნიშნავს...

გაბრიკო მოწყენილი დაძრებოდა ოთხში.

— გაბო!—მიუბრუნდა ილია და მხარში მოჰკიდა ხელი. — რა ყოჩილი და გყოლია!

— ჴო, გულკეთილია!— დაეთანხმა მოწყალედ ბავშვი.— დღეს ვივაქრებთ თუ არა? თუ არა, ვიდლესასწაულოთ... მე მინდორში გავიქცეოდი!

— დღეს ვაჭრობა აღარ არის საჭირო! პავლე, წამო, ძმაო, ჩვენც ვისეირნოთ!

— მე პოლიციაში წავალ.— კვლავ პოილრუბლა პავლე. — იქნება მიჩვენონ... მაინც...

— მევი სასეირნოდ წავალ!

მხნემ და გახარებულმა ილიამ ნელის ნაბიჯით გასწია სასეირნოთ. გზაში სულ გაბრიკოს დაზედ ჰფიქრობდა და ნება-უნებურად თავისს ნაცნობებს აღრიდა. ცხადზედ უცხადესი იყო მისთვის, რომ ეს ქალი ყველაზედ უკეთესი იყო და ყველაზედ უკეთესადაც მოეპყრა მას. ხსოვნაში ქალის ბოდიშის

სიტყვები უტრიალებდნენ და მისი აღფრთოვანებული სახე
 და დაბერილი ნესტოები თვალ წინ უდგნენ...

„პირველიც როგორ მექუეოდა?“ — ღიმილით მოიგონა
 ილიამ და ღრმათ ჩაჰუიქრდა — რისგან იყო, რომ პირველი
 დღიდანვე ისე სასტიკათ და ამაყათ მექუეოდა, თუმცა სრუ-
 ლიად არ მიკრობდა და არცა გველაპარაკნა ჯერა?“

მის ირგვლივ სიცოცხლე სდულდა და გაღმოდიოდა. მო-
 სწავლენი სიცილით მიღიოდნენ, ბარგით თუ საქონლით და-
 ტვირთული ურმები ზღაზვნით მიჭრიალებდნენ, მსუბუქ ეტ-
 ლებს გრიალი გაჰქონდათ ქუჩების ქვაფენილზედ; ილიას წინ
 მათხოვარა მიიზღაზნებოდა და ხის ფეხით ფილაქას უწყალოდ
 არახუნებდა. ორ ტუსაღს მხრებზედ კუტი გაედოთ და ზედ და-
 კიდული ქვაბით რაღაც მიქვნდათ, მათ თან შეიარაღებული
 ყარაულები ახლდათ. ხელზედ მოვაჭრეს „ტაჩკით“ მსხალი მიჰ-
 ქანდა და მაღალის ხმით გაჰკიოდა:

— ტკბილი და გემრიელი მსხალი, კარგი მსხალი!..

უკან ენა-გაღმოგდებული პატარა ძალით მიუუნცულებ-
 და და ზარმაცად აქეთ-იქით იყურებოდა... ეტლების ხრიალი,
 რიღაცის ჩახი-ჩუხი, ყვირილი და ფეხთა ხმა საერთო გუგუნათ
 გაისმოდა. ჰაერი თბილი მტვრით გაელინთულიყო და ადამიანს
 ცხვირის ნესტოებს უღიტინებდა. სპეტაკ ზეცაში მზე მხიარულად
 მაკაშკაშებდა და თვის ცხელ სხივებს არაფერს აკლებდა ქვე-
 ყნად. ლუნევი სიამოვნებით შეძყურებდა ყველა ამას, რადგან
 უა ხანი იყო ამგვარი სიამოვნება აღარ გამოეცადნა. ყველაფერს
 რაღაც თავისიებური და წარმტაცი ელფერი ედო. აგერ კოხტა
 და ლამაზი გოგო კუნტრუშით საღღაც მიეშურება, სახეზედ
 სიჩქარით გამოწვეული აღმული ასდის და სათნოიანი თვალებით
 ისე მხიარულად და ნაზად შეძყურებს ილიას, თითქოს ეუბნება:

— „ოჲ, რა კარგი რამა ხაჩა-ო

ლუნევმაც ნება-უნებლიერ გაულიმა.

მეეტლეს ქუდი აუწევია, გვერდზედ გადაზნექილა და კბი-
 ლებ დაღრკენილი ვიღაც სქელ დედაკაცს ეუბნება:

— ცოტაა, ბატონო, ერთი შაურიც მოუმატეთ...



მაგრამ სახეზედვე ეტყობა, რომ სტყუის საძაგლი,—ქალ-
ბატუნი კაი ფასს უნდა აძლევდეს. მაღაზიიდან ხელში
ჩაიღნით პატრა ბიჭი გამორბის და გზა-გზა მიმავალ ხალხს
სწუწავს, ჩაიღნის სახურავს მხიარული გრიალი გააქვს. ქუჩაში
სიცხე პაპანაქება და საშინელი ქრიამულია და სასაფლაოს ძევლ
ცაცხვთა ხშირი ფოთოლნი ანდამატურის ძალით იზიდვენ
მიმავალს თვისს ჩრდილ ქვეშ. თეთრ გალავან შემორტყმუ-
ლი ძევლი სასაფლაო, თვისი ხშირი მცენარეებით მძლავრ
ტალღასავით ამართულა ზეცისკენ და ტალღის უმაღლესი
წერტილი ფოთოლთა მწვანე არშიით მორთულა. იქ, ზევით
ყოველი ფოთოლი მკაფიოდ მოსჩანს ცის ლავვარდ კამარაზედ,
ნაზად ირსევა და, თითქოს სღნება ჰაერშიო, ცახცახებს... მმ
საუცხოვო გვირგვინს მედიდურად დაჰყურებენ ეკკლესიის
მოპრეცენტოლე ოქროს ჯვრები და მათაც მზის სითბოთი და
სიცოცხლით გაუღენთილი სხივები შემორტყმიათ და ალერსია-
ნად თავს ევლებიან...

ლუნევი, შევიდა რა სასაფლაოს გალავანში, დინჯის ნაბიჯით უმთავრეს ხეივანს გაუდგა და მოელის გულით ჰყანას გვ-და ცაცხვთა ყვავილის სუნელებას. ხეებ შორის, მათ ტოტთა ჩრდილ ქვეშ მარმარილოსა და ნათალ კლდეთა ხავს მოკიდებული ძეგლები მართულიყვნენ. აქა-იქ, იღუმალ სიბნელეში ბედრანგათ ბრჭყალნავდნენ დაოქრული და დავარაყებული ჯვრები და დროთა ვითარებით გახუნებული ასოები - სირვაშლის ბუჩქნი, აკაციები, კუნელი და ხეყრუა თავისს ტოტებითა და მწვანით ამართულ ძეგლებს ჰფარავდნენ. ადგილ-ადგილ მწვანე ტალღათა შორის ლეგა ხის ჯვარი გამოჩნდებოდა, ნაზი ყლორტნი შემოსხვეოდნენ და ისე მჭიდროთ შემოჰკვროდნენ, თითქოს დახტობას უპირებენო. ახალგაზდა არყის თეთრი ლერები ხავერდსავით გამოსსჭაოდნენ მწვანე ქსოვილთა შორის; მორცხვნი და ლამაზნი, თითქოს ძალათი იმალებოდნენ ჩრდილში, რომ უფრო უკეთ გამოჩნდილიყვნენ. მოაჯირ შემორტყმული მწვანე გორაკები ფერად - ფერადი ყვავილებით იქრელებულიყვნენ, მყუდრო სიჩქმეში კრაზანა ზუზუნებდა, ორი



თეთრი პეპელი ჰაერში დანავარდობდა... და მუმლნი ჰუსტმაცაცა
როდ დასცურავდნენ ჰაერში... ყველგან, ყოველ ნაბიჯზედ
სინათლისკენ მიეშურებოდნენ ბალახ-ბულახი, ბუჩქნი, თუ ყვა-
ვილნი და სევდის მომგვრელ ძეგლებს ჰმალავდნენ. უკანასკნე-
ლი ბალახი თუ ბუჩქი ზრდისა და აღყვავების სურვილით იყვ-
ნენ გამსჭვალულნიდა სინათლისა თუ ჰაერის ყლაპებს ესწრა-
ფოდნენ, რომ მსუქანი ნიადაგის წვენი ყვავილებად, სუნე-
ლებად და სილამაზეთ გადაექციათ, გადაექციათ, რომ ადაშიანის
გული თუ თვალი უფრო სახსებით დაეტკბოთ. სიცოცხლე
ყველგან იმარჯვებს და ყველის დასჯაბნის!..

ლუნევს ესიამოვნებოდა ამ გაყუჩებულ სიჩუმეში სეირ-
ნობა და სცდილობდა უფრო ღრმათ ეყნოსა ცაცხვთა და
ყვავილთა სასიამო სუნი. ილიაშიც სიმშვიდე და სიჩუმე გამე-
ფებულიყვნენ,—ის ეხლა ისვენებდა სულით და აღარაფერზე
ჰაფიქრობდა, რადგან მარტოობის სიამოვნება კაი ხანი იყო,
რაც აღარ ეგემნა.

უმთავრეს ხეივანს მალე გადუხვია ილიამ, ვიწრო ბილიკს
დაადგა და ძეგლების ზედ წარწერებს ჰკითხულობდა.

„აქ განისვენებს მონა ღვთისა ბონიფატია“, — წაიკითხა
ილიამ და გაიღიმა: ეს სახელი სასაცილოთ ეჩვენა. ბონიფა-
ტის ნაშის უზარმაზარი პიტალო კლდე ადგა. იმის მეზობლად
ჰეტრე ბაბუშკინი განისვენებდა, ოცდა რვა წლისა...

„ახალგაზდა ყოფილა,“ — გაიფიქრა ილიამ.

— თეთრ მარმარილოს ძეგლზე ამოიკითხა:

„ერთი ყვავილი ქვეყნად დაგვაკლდა,

მაგრამ სანაცვლოთ — ზეცა გამდიდრდა“.

ლუნევი დაუფიქრდა ამ ორ სტრიქონს და რაღაც გულის
გამგმირი აზრი იგრძნო მათში, მაგრამ უცბათ, თითქო ვიღაცამ
ხელი ჰქია გულშიო, წაიბორძიკა და თვალები დაჰხუჭა. მაგრამ
დახუჭული თვალებითაც აშკარათ ჰქედავდა მის შემშეოთებელ
წარწერას. მიხაკის ფერ ქვაზედ ოქროს ვარაყით ამოქსებული
ასოები თითქოს სამუდამოთ ჩარჩნენ ხსოვნაში:



„აქ განისვენებს გვამი მეორე გილდის გაჭრის ვასილი გავრილიჩ პოლუეკტოვისა“...

რამდენიმე წუთის შემდეგ ილიას უკვე თავისი შიშისა შეეშინდა, ფიცხლავ გაახილა თვალები და გატრუნულ-გაჩუ-
მებულ ბუჩქებს ეჭვის თვალით ჩაატერდა... არავინ მოსჩანდა,
მხოლოდ შორს სადღაც პანაშვილს იხდიდნენ. გარინდებულ
პაერში მთავრის წერილა ხმა გისმოდა.

— უფლისა მიმართ ვილო...კოთ...

ბოხი, თითქოს რილათიც უკმაყოფილო, ხმა უპასუხებდა.

— ၁၂။ ၃၃၀... ၅၁၁၆၇!

და მას საკურიკლოებრივის იდენტიფიცირებისთვის გამოიყენებოდა.

ნაკერჩხლის ღერზედ მიყრდნობილ ლუნებს თავი მაღლა
გადაექინდრა და თავისივე ხელით მოკლულის საფლავს და-
ყურებდა. თავი მაგრა მიეჭირა ხისთვის და ჭუდი კეფაზედ
მოჰქეოდა. შებლი კოპებით დანაოცებოდა, ზედა ტუჩი შე-
სამჩნევად უთროთდა და თეთრ კბილებს უჩენდა ხელები
ლრმათ ჩაეწყო „პიღეაკის“ ჯიბებში და ფეხები მიწისოვის
მიებჯინა.

„პირველი ცოლი“, — გაიფიქრა ლუნევმა. მან ეს ტვინის
იმ პატარა ნაწილით გაიფიქრა, რომელიც ძალა-დატანებულის
მუშაობისაგან თავისეუფალი ჰქონდა იმ უამიდ. ილია მთლად
მოეცა პოლუკტოვის მოგონებას, — მან ნათლად გითვალის-
წინა პირველი შეხვედრა, მერე როგორ ახრჩობდა და გონება
დაკარგული მოხუცი ფურთხით როგორ ულბობდა ხელებს
მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, ლუნევი არც შიშ და არც
სინიდისის ქენჯნასა ჰკრჩნობდა, — მხოლოდ ზიზღით შემყუ-
რებდა შავ აკლამას და გულის ტკივილის და სიმძიმის მეტს



თავისს თავს არას ატყობდა. მხოლოდ ეს იყო, ხმა ამოულებისა
ლივ და ბრაზ-მორეული ეუბნებოდა ვაკარს:

— შენი, შენი გულისთვის დავიმახინჯე ცხოვრება, შე
წყეულო და ბოროტო ძალონ!.. ტარატაროზო! როგორ უნდა
ვიცხოვრო ეხლა? სამუდამოთ მომთვარე და მომთხაპნე შენის
საძაგლი სისხლით...

თითქმ ჩაქუჩით ურაკუნებენო, ისე ისმოდა მასში: „შენი,
შენი გულისთვის!..“

ილიას უნდოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეხმარა და
ხმა მაღლა შეჭხახა ეს სამი სიტყვა, ისე ხმა მაღლა, რომ ყვე
ლას გაეგონა. ისეთი ძლიერი იყო მასში ამის სურვილი,
რომ ძლიერ-ლა იოკებდა თავს. კრიქა მოჭერილი და თვალებ
დაჭუეტილი, თავრეტ დასხმულსავით იყურებოდა და თავისს
ცხოვრების შესახები ფიქრები ცეცხლსავით ედებოდნენ მის აზრ-
გონებას. ილიას წინ პოლუეტოვის პატარა, მაგრამ გველური
სახე დასცურავდა; იქვე მის გვერდით სტროგანნის გაშველე-
პილი და წითელ წარბა თავი, პეტრუხის ქმაყოფილებით საესე
ცხვირპირი, ტუტუცი კირიკი, ჭილარა, ჯუკა და წვრილ თვა-
ლება ხრენოვი მოსხანდნენ, ერთი სიტყვით, თვალწინ თითქ-
მის ყველა ნაცნობები გამოეცხადნენ. ყურებში რაღაც აზა-
ჩვეულებრივი შხული ესმოდა და ეგონა ყველანი მე შემომ-
ხვევიან, მავიწროებენ და შეუდრეკლად ჩემკენ მოდიანო.

ილია უცბათ ხეს ჩამოშორდა და ქუდი ძირს დაუარდა.
ქუდის ასალებათ დახრილს მაინც ნაპარ-ნაძარუკის მიმღების
ძეგლისთვის თვალი ვერ მოეშორებინა. ილიას სულ უგუბდე-
ბოდა, სახე სისხლით გაეტენა და თვალები მეტის დაშტერე-
ბით სტკომდა. ბოლოს ძლიერ ჩამოაშორა თვალი, მოაჯირს
მაუხლოვდა, ერთ რკინას ჩაავლო ხელი და საფლავს გესლი-
ანათ შეაფურთხა... როცა ჩამოშორდა და გზას გაუდგა, მიწას
ისეთის ძალით და გაშმაგებით არტყავდა ფეხებს, რომ კაცს
ეგონებოდა, ჯავრი თუ სჭირს და რამის ტკენას უპირებსო!..

ლუნევს შინ წასვლა აღარ უნდოდა; გულზედ რაღაც
დასწოლოდა ლოდსავით და ცივი, ძნელიდ ასატანი გესლი



გულლვიძეს უღრღნიდა. ილია ნელის ნაბიჯით მიდიოდა, არავის უყურებდა, არაფერი აინტერესებდა და არც თუ რამეზედ ჰყიქრობდა. გაიარა ერთი ქუჩა, ანგარიშ მიუცემლად მეორეს გადაუხვია, გაიარა ცოტა კიდევ და მაშინ კი მიხვდა, რომ პეტრუხა ფილიმონოვის დუქანზე შორს აღარ იყო, ამ დროს იაკობიც მოაგონდა. როცა პეტრუხას ჭისკარს დაუსწორდა, ითიქრა, ჯე შესვლა უსათუოდ საჭიროა, თუმცა შესვლის სურვილი კი სრულიად არა ჰქონია. კიბეზედ რომ მიდიოდა, პეტრუხას ხმა შემოესმა:

— მოიგონეთ თქვენი ღმერთი, შეიბრალეთ ჩემი გვერდი...

ლუნევი ღია კარებში შეჩერდა; მტვრისა და თამბაქოს ლრუბლებში დახლს იქით ძლიერ-ლა მოსხიანდა იაკობი. თბი გადავარცხნილი და მოკლე სახლებიანი სერთუკით, იაკობი ერთს ფაცი-ფუცში და ვაი-ვაგლაბში იყო — ჩაიდნებში ჩიისა ჰყრიდა, შექრის ნატეხებს უთვლიდა, არაყს ასხამდა და დახლის ყუთებს შეწევ-გამოწევით არახუნებდა. მოსამსახურები მიირბენდნენ, „მარკებს“ გადუყრიდნენ და ჰყიუროდნენ:

— ნახვერი ბოთლი! წყვილი ლუდი! უზალთუნის შემწვარი ხორცი!

— როგორ გამოცდილა! — გაიფიქრა იაკობის ფაცი-ფუცის მაყურებელმა ილიამ.

— ნუ გეშინიან, ამ ათ შაურს არ შევარჩენ! — ხმა მაღლა და გაჯავრებული ჰყვიროდა ვიღაც.

— ამ! — სიამოვნებით შეჰკივლა იაკობმა, მოჰკრა თუ არა ლუნევს თვალი, მაგრამ იმ წუთსვე უკან კარგისსკენ მიიხედა. შეუბლი თფლისაგან სველი ჰქონდა და ყვითელი ლოყები წითელი ლაქებით ავსებოდა. ჩჩქარებით ჩამოართვა ილიას ხელი და აღარ უშვებდა, ხმელი ხველა კი ლაპარაკის ნების აღარ იძლევდა.

— როგორა სცხოვრობ? — დაეკითხა ძალდატანებულის ლიმილით ლუნევი.

— აი... ვვაჭრობ...

— ჩაგაბეს?

— რას იხამ!

იაკობს მხრები ჩამოშვებოდა და თითქოს ტანთ უფრო დაჲჭერებოდა.

— რამდენი ხანია არ მინახავხარ! — ეუბნებოდა იაკობი და კეთილის, მაგრამ ნალვლიანის თვალებით შეჲყურებდა ილიას. — პატარა ვილაპარაკოთ... კაიღროს მოხველ, მამაც აქ არ არის... იცი რა: შენ აი, იქ შედი... მე დედინაცვალს ვთხოვ ცოტა ხანს დახლს მოუდგეს.

იაკობმა მამის კარები ოდნავ შეაღო და პატივისცემით შესძახა:

— დედა!.. ერთი წუთით გამობრძანდით...

შევიდა თუ არა ილია იმ ოთახში, რომელშიაც ოდესალა თითონ სცხოვრობდა, დაკვირვებით მიათვალ-მოათვალიერა: კედლებზე გაკრული ქალალდი გამწვარტლულიყო, ორი საწოლის მაგიერ ქალა ერთი-და იდგა და კედლებზე წიგნებით სასეა თახჩა ეკიდა მხოლოდ. იმ ადგიოზე, საცა უშინ ილიას ეძინა ხოლმე, რალაც ახმახი და უხამუშო ყუთი იდგა.

— აი, გავთავისუფლდი ერთი სათით! — შემოვიდა და მხიარულად გამოაცხადა იაკობმა. მერე კარები გადარაზა და ილიას მიუბრუნდა. — ჩიას არ დალევ? კარგი... ივანე, — ჩია მოიტა! — დაიკვირა იაკობმა და საშინელი ხველა აუტყდა. ჩაბეჭირებულ იაკობს თავი ჩაექინდრა, ხელებით კედელს მიძღვნოდა და ისე გადახრილიყო წელში, თითქოს გულიდა რილა-ცის ამოგდებას აპირებს.

— კარგა აქრიტინებ! — უთხრა ლუნევმა.

— ვჰქნები... ა, რა მიხარიან, რომ კიდევა გხეოდავ... როგორ გამოცვლილხარ... გადიდკაცებულხარ... როგორა სცხოვრობ?

— მე რა? — ვერ მიუგო პირდაპირ ლუნევმა. — ვსცხოვ-რობ... შენ, შენ როგორლა ხარ?..

ლუნევს სრულიად არ უნდოდა თავისს ამბის მბობა და არც თუ ლაპარაკის სურვილი ჰქონდა. ის მხოლოდ იაკობს თვალიერებდა და ებრალებოდა ამხანაგი, ასე შეწუხებულს და

დაუძლებულს რომ ჰედავდა. თუმცა ეს სიპრალული ციფრ
და უშინაარსო იყო.

— მე, ჩემი ძმა... ვითმენ ჩემ ცხოვრებას, როგორც
არის... — ნახევარის ხმით აუწყა იაკობმა.

— გამოგწოვა გამაპ სისხლი, ჰა?

-- არც თითონ ადგია ეხლა კარგი დღე, ისეთ ჭახრაკებ-
ში მოჰყდა, რომ...

— ახია იმაზედ!

— ჩვენსა ეხლა ყველა: ბატონი დედინაცვალია! იმისი
სიტყვა — კანონია!

„ରୁଦ୍ର ପତ୍ରକୁ ମୁହଁର ଜ୍ଵଳିବା ଏବଂ ଜ୍ଵଳିବା,
ଜ୍ଵଳିବାରେ କୋ ପ୍ରଥମ ଧାରୀଙ୍କଣି ହେଲାକି?“

მკაფიოდ აყოლებდა პერტიშვა თავისს „მუზიკას“

— ଏହା କୁଣ୍ଡଳିର ପାଦରେ ପାଦରେ ପାଦରେ ପାଦରେ

— ესა? ფისგარმონია. მამამ მყიყდა ოც და ხუთ მანეთად. აი, ივარჯიშე და როცა ისწავლი დაკვრას, სამას მანეთიანს გიყიდი, დაგიდგამ დუქანში და მუშტრისთვის დაუკრაა ხოლმეო, თორებ სხვა რა ხეირი მაქას შენგნითო... სწორედ კრგა მოუსაზრებია. ყველა სამიკიტნოში არღანია და ჩვენ კი ჯერ არა გვაქვს. მეც მესიამოვნება დაკვრა სწორე გითხრა...

— Յօ, սածացըլո! — Տուրունութ Բամոնտես լոյնցը զմա.

— რადა, რას ერჩი? განა მართლა სრულიად უსარგებლო
კაცი არა ვარ იმისთვის?

ილიამ მკაცრად გადახედა და ბრაზ-მორეული მიუბრუნდა.

— იცი რა გითხრა? მამა შენს ურჩიე — როცა მოკვდები, დუქანში გამათრიე და მაყურებლებს თითო შაური მაინც გა- დაახდეინ ფქო. ეგეც შენი სარგებლობა...

იაკობმა დარცხვენით გაიცინა და ისევ ხველის მოჰყავა. როგორც ეტყობოდა, ხველი ცოტას არ აწუხებდა, რაღაც ხან გულზედ იტაცებდა გაშმაგებული ხელისა და ხან ყელზედ.

პერფიშეა კი ვიღაცაზედ მიუთხრობდა მსმენელთ, აჩქარებული:

„მარწეას უღელთვის ის ინახავდა,
 უარს ღრცს კუჭისა არ გაიძღობდა.
 „ცალიერ კუჭისა კვნესა გაჭრნდა,
 „შაგრამ, სახაცვდოდ, სუთა ხომ ჭრნდა?!

— ეჭ... ცხონებავ! — დაუმატა პერფიშეამ გაზეპირებულ სიტყვებს და ბუზიკამ სიმღერის მხიარულ სიტყვებს მშეოთვა-
 რე ხმები დააყარა.

— მამიშენის გერს როგორ შეეწყე? — დაეკითხა ილია, როცა იაკობი ხველისგან განთავისუფლდა. გალურჯებულმა და სულ შეხუთულმა იაკობმა თავი ასწია და ძლიერ გასაგონათ მიუგო:

— ჩვენთან არა სცხოვრობს: მთავრობა ნებას არ აძლევს... იქ სამიკიტნოაო... მაინც... არა უშავს-რა! ეს არის მხოლოდ ბატონობს და თავი მოაქვს... ხანდახან კი შემოივლის ხოლ-მე თავისს დედასთან, როცა ფული დასჭირდება. ძალიან უჭირს ხოლმე ფული!

იაკობმა ხმა დაიდაბლა და ნაღვლიანად განაგრძო:

— ის წიგნი გახსოვს? ის? წამართვა... იშვიათი რამ არის და თავისს წონა ფულადა ჰლირსო. წაილო... ვეხვეწე დამიტოვე მეთქი, მაგრამ როდი ჰქნა! არ დამიჯერა.

ილიამ ხმა-მაღლა გადიხარხარა. მერე ამხანაგნი ჩაის სმას შეუდგნენ. კედლებზე გაკრული ქალალი დამსკდარიყო და ნაჭვრეტებში სამიკიტნოდან სხვა-და-სხვა ხმები თუ სუნი თა-ვისუფლად მოსცურავდნენ. ვიღაცის აღელვებული ხმა სამიკიტ-ნოს ხმაურობას სულ მთლად ჰქნარავდა.

— მიტრ ნიკალია! — გაისმოდა ღუქანში. — ნუ გადააკე-
 თებ ჩემ პატიოსან სიტყვებს ეშმაკურად, თორებ!

— ერთ ისტორიას ვკითხულობ ამ ეამად, — ამბობდა ია-
 კობი, — სათაურით უიულია, ანუ ციხე მოდზინის ხვრელები...
 კარგი რამ არის!.. შენ როგორ-ლა ხარ ამ მხრივ?

— ეშმაქმა წაიღოს შენი ხვრელები! მე თითონ ხვრელების და გადასაცი... — პირქუშად მიუგო იღიამ.

- იაკობმა მონაწილეობით გადახედა ამხანაგს და დაეკითხა:
- რა იყო, შენი საქმეც უფლათ ხომ არ მიდის?

ლუნევმა არა უპასუხა-რა. ის იმაზე ჰერქობდა — უამბო მა-ზოს ამბავი თუ არა? მაგრამ იაკობმა თითონ დაარღვია სიჩუმე და წყნარის ხმით დიაწყო:

— სულ მუდა! ჯავრობ, კაპასობ, თითქოს ვიღასაც ემდუ-რი... ჩემის აზრით, ძალიან სცდები, იმიტომ რომ ხალხი... არავის მიუძღვის მაგაში ბრალი! თითონ ცხოვრებაა ეგრე მო-წყობილი... ხალხმა ხომ არ მოაწყო... ჯერ ხალხიც არ იყო, რომ ცხოვრება ეგრე იყო გაჩენილი და ეხლაც ეგრე მიმდი-ნარეობს...

ლუნევი ჩაისა სვამდა ხმა-გაქმენდილი.

— ჯეროვანი ყველას ეგება, მერწმუნე! მაგალითად, ვინ-და, მამა-ჩემი აიღე... მართალი უნდა ითქვას. ადამიანის მტარ-ვალი და მწამებელია! მაგრამ ავერ, საიდლანაც გამოტყვრა ფექლა ტიმოფევენა და ჩაიგდო ფეხევეშ! ეხლა იმისი ცხოვ-რება ისეთია, რომ ღმერთმა ყოველი ქრისტიანი დაიფაროს! ლოთობასაც კი მიჰყო ხელი დარდით. . მერე რა დიდი ხანია, რაც ჯვარი დაიწერეს? აგრეთვე ყოველ ადამიანს ყოველი ცუდი საქციელისთვის რომელიმე ფექლა ტიმოფევენა ელის...

ილიას მოსწყინდა ყურის გდება, — მან მოუთმენლად გასწია ლანგარზედ ჭიქა და თავისთვისვე მოულოდნელად დაეკითხა:

— შენ რალას ელი ეხლა?

— საიდან? — დაეკითხა ნელის ხმით იაკობი და თვა-ლები დაჭირტა.

— აი... წინ... ცხოვრებისაგან შენ რალას ელი?

იაკობმა ხმა ამოუღებლივ თავი დაჰუნა და ჩაჰუნებლა.

— სოქვი რალა! — ნახევარის ხმით გაუმეორა ილიამ კითხვა. გულში რალაც მოუსვენრობას ჰერქნობდა და სამიკიტნოდან წასვლა ეჩქარებოდა.

— რას უნდა ველოდე? — ჩუმათვე და თავ-აუღებლივ და იწყო იაკობმა. — რის მოლოდინი... მოვკედები და გათავდება ყველა. დიდი ხნის სიცოცხლე რომ არა მაქვს, ეს ცხადია ჩემ-თვის...

აქ თავი ასწია და ჩუმის, კმაყოფილების ლიმილით ტან-ჯულ სახეზე, განაგრძო:

— ცის ფერ-სიზმრებს ვხედავ ამ ბოლოს დროს... გეს-მის — თითქო ყველაფერი ცისფერიაო... მარტო ზეცა კი არა, მიწაც, ხეებიც, ყვავილიც და ბალაბ-ბულახიც — ყველაფერი! სიჩუმე საშინელი! თითქო აღარაფერი არსებობდეს ქვეყანად, ისეა ყველა გარინდებული და გაყუჩებული. ყველაფერს ცის ფერი ადევს. მიღიხარ თავისუფლად, გაუთავებლივ და არც იღალები... არც გესმის — ხარ საღმე თუ არა? ისე კარგად და მსუბუქად ჰგრძნობ თავსა... ცისფერ სიზმრებს სიკვდილის წინ ჰხედავენ ხოლმე.

— მშვიდობით! — შეაწყვეტინა ლუნევმა და ფეხზე წა-მოხტა.

— სად მიეჩქარები? დაჯექ პატარა ხანს!

— არა, მშვიდობით!

იაკობიც წამოდგა.

— კარგი... წაღი!

ლუნევმა ჭახრავსავით მოუჭირა იაკობის ცხელ ხელს ხელი და ხმა ამოუღებლივ ჩააშტერდა ამხანაგს. მან თითონ არ იცოდა რა ეთქვა გამოთხოვების დროს ამხანაგისთვის. რამის თქმის სურვილი კი ისე ძლიერი ჰქონდა, რომ გულიც კი უკვნესოდა და საოცრად უცემდა.

— როგორ იყურები? — ლიმილით დაკითხა იაკობი.

— მაპატიე, ძმაო... — ძლიეს წაილულლუღა ლუნევმა და თავი უნუგეშოდ ჩაპერდა.

— რა უნდა გაპატიო?

— ისე... მაპატიე...

— მე ხომ მღვდელი არა ვარ? — ჩუმის სიცილით დაკითხა იაკობი. — დაიცა, დამავიწყდა, მაშო მეთქი...

— რაო?

— ისიც თურმე ცუდათა სცხოვრობს...

— ჰო, მეც გავიგონებ...

— როგორც ეტყობა, უველას ერთი ბედი გვქონია... არც
შენა ხარ, — როგორც ვხედავ, — კაი დღეში, ჰა?

იაკობი ლაპარაკობდა, ძლიერ შესანიშნად ილიმებოდა
და ხმაც თუ სიტყვებიც უსიცოცხლო და უფერული ჰქონდა...
ლუნევმა ხელი გაუნთავისუფლა, — იაკობის ხელი სუსტათ და
უნუგეშოდ დაეშვა.

— ეგრე, იაშა, მაპატიე...

— ღმერთი გაპატიებს! მოდი ხოლმე...

ილიამ ალარა უთხრა-რა, ისე გავიდა.

ქუჩაში უცბათ გუნება გამოეცვალა და თავისუფლად იმო-
ისუნთქა. ის ცხადათა ჰქედავდა, რომ იაკობს დიდი ხნის სი-
ცოცხლე ალარა ჰქონდა და მალე გამოესალმებოდა წუთის-
ფერს, ეს ფიქრი გულ-ღვიძლს უძლვრევდა და ვიღაცის სიმ-
ძულვარეს და მტრულ გრძნობას უბადავდა გულში. იაკობი არ
ებრალებოდა, რადგან უწინაც ვერას გზით ვერ წარმოედგინა
ეს პირდაპირი და ჩუმი ყმაწვილი როგორ იცხოვრებდა ქვეყნად?
ილია დიდი ხანია ისე უყურებდა იაკობს, როგორც ცხოვრე-
ბიდან მოსაფხვრელ ასალაგმავ არსებას. იმას მხოლოდ ის აწუ-
ხებდა: რისთვის აწამეს ეს ყოვლიდ შესაბრალისი და უწყინარი
ადამიანი და რისთვის მოუსწრავეს სიცოცხლეო? ამ აზრით
ბრაზი და გესლი ცხოვრებისადმი უფრო ეზრდებოდა და უდიდ-
დებოდა გულში.

იმ ღამეს ილიამ ველარ დაიძინა, ოთახში, მიუხედავათ იმი-
სა, რომ ფანჯარა ლია ჰქონდა, საშინლად ცხელიოდა. ილია
ეზოში გავიდა და გალავნის ძირში თელის ხეს გაუგორდა. ზურ-
გზედ მწოლარე, ის დაკვირვებით შეჰყურებდა კაშკაშა ზეცას
და რასაც მეტს აკვირდებოდა, უფრო მეტს ვარსკვლავს ამჩ-
ნევდა. სამოთხის გზა ვერცხლებრ ბზინავდა და კიდით კიდემ-
დე გადაჭიმული სასიამოთ ჰბზინავდა, — ხის ფოთლებიდგან მი-
სი ცქერა სასიამოვნოც იყო და სევდის მომგვრელიც. ზეცა

საცა არავინაა, ასეა მორთულ მოკაზმული და... ჩვენი ქვეყანა კი? თვალებ მობჟუტულს ეგონა, ხის ტოტები და ფოთლები ნელ-ნელა შშორდებიან და ზეცისკენ მიიწევენო. მოელვარე ვარსკვლავებით დამშვენებულ ზეცის ტრედის ფერ ხავერდზედ ხის ფოთოლთა შავი არშია ვიღაცის ხელებს წააგავდა, თითქოს ვიღაცას გაუშვერია და ზეცას ეპოტინებაო. ილიას ამხანაგის ცისფერი სიზმრები მოაგონდნენ და იაკობიც ცისფერი, მსუბუქი და გამჭვირვალი წარმოუდგა. მას თვალებიც ცისფერი და ვარსკვლავებსავით კაშკაშა და კეთილი ჰქონდა... აგერ: ცოცხლობდა ადამიანი, რომელსაც მხოლოდ იმიტომ მოუწამლეს სიცოცხლე, რომ კეთილი და მშვიდი იყო.. მტარვალნი კი ცხოვრებენ, როგორც უნდათ, და კიდევ კაი ხანსაც იცოცხლებენ...

(შემდეგი იქნება)



მეცნი ლიტი

(დასასრული) *)

კენტი და ხუმარა არ მიატოვებენ ლირს გაჭირვების დრო-
 საც; ერთი მიმართავს ლირის მხსნელს — კორდელიას, მეორე
 თავის ახელჯობით ცდილობს, დაიცას მეფე სრულის დაცე-
 მისაგან. ორივე იმ დროის საუკეთესო შეიღებია. თუ შევა-
 დარებთ მათ ედმუნდს და მსგავსს პირებს, რასაკვირველია, უკა-
 ნასკნელების სრულს წინამდეგობას წარმოადგენენ ზნებრი-
 ვის მხრით; მაგრამ საზოგადოთ ისინი არ არიან სულ სხვა
 არსებანი. მათ ძალუბთ თავის ბუნებრივის მისწრაფებათა და-
 მორჩილება; თავის მეფისადმი სიყვარულით და ერთგულობით
 არცვენენ ლირის ქალიშვილებს. განრისხული კენტი რვიწყებს
 შეურაცხყოფას და მწუხარებას და ძველებურათ ემსახურება
 თავის გაძვენებულს ბატონს. ხუმარა დაცინვით შეაქებს მას და
 თავის არახჩინს მიართმევს საჩუქრათ ერთგულ სამსახურისა-
 თვის — იმ კაცს, რომელმაც ყოველივე დიდება დაჰკარგა და
 დაღატაკდა. თვითონ თავს არ ანგებებს მეფეს: მეტის მწუხა-
 რებისაგან გამხდარი, ძალდატანებით ასრულებს თავისს როლს,
 ხუმარის არაკებით და შაირებით იკლიგს თავის მწუხარე-
 ბას. მაგრამ კენტიც და ხუმარაც თავის დროის ნამდვილი
 შეიღები არიან: უნებურათ ხელს უწყობენ ლირის სინი-
 დისის ქენჯნას, მის მაგიერ რომ დაამშვიდონ, და უფრო

*) იხ. „მოამბის“ 1 № 1903 წ.



მეტს ტანჯვას მიაყენებენ, ვიდრე დაიხსნიან გაჭირვებდასაც უკანონო
ის მათრახები, რომელთაც გადაპრატყვის ხუმარა ლირის უგნუ-
რობას, თავიდანვე გადაცდებიან ხუმრობის საზღვარს; მის მა-
გიერ, რომ გაართოს, ხუმარა სწორედ იმ ფიქრებს მოჰვერის
ლირს, რომლებიც ცეკვაზედ უფრო სტანჯავენ მას; მაშინაც
კი დასკინის ხუმარა ლირს, როდესაც უკანასკნელი ქალიშვი-
ლებისაგან გაძევებული უდაბნოში დაეხეტება ქარიშხალის დროს.
თუმცა ხუმარას სიტყვები ძალიან კარგია ესტეტურ მიზნისა-
თვის, რადგან მათის შემწეობით ლირის სულიერი ტანჯვა ნა-
მეტან ძლიერათ არ მოქმედობს მაყურებელზე, მაგრამ თუ გან-
ვითილავთ მათ ფსიხოლოგიურათ, სრულიათ შეუფერებელნი
არიან, რადგან არ უმსუბუქებენ ლირს ზძიმე ტვირთს. ეგვე-
უნდა ვსთქვათ კენტის გულწრფელობაზე. მისი მართალი სიან-
ჩხლე ლირის წინაამდევ პირველ სცენაში გვიხატავს მას ერთ-
გულ მსახურათ, ვაგრამ ამავე მიზეზით უფრო გაფიცხდება
და აღელდება თვითონება მეფე. კენტის კეთილშობილური ხა-
სიათი ძლიერ ბრწყინვას, როდესაც შევადარებთ ისვალდს, ამ
ფლიდ და გაიძვერა მოსამსახურებს; მეტათ აშკარა ხდება კენტის
ერთგულობა და სიმართლე. მაგრამ ამასთანავე ისიც ემჩნევა,
რომ სიმამაცე მეტი აქვს, ვიდრე გამჭრიახობა და მისი
სამართლიანი გულმოსულობა იმგვარათვე გადამეტებულია, რო-
გორც ლირის უსამართლო გაფიცხება, და თავის გულმოსუ-
ლობით კიდევ უფრო აუარესებს იმ ცუდს განწყობილებას,
რომელიც არსებობს ლირსა და მის ქალიშვილებს შორის.
კენტი მხნედ და დაუღალავად ემსახურება მარტოთ დარჩენილ
მეფეს, საკუთარს თავსაც გაშირიავს მისთვის და ბოლოს კიდეც
კვდება ნამეტანის ერთგულობისაგან; მაგრამ ცეკვაზერით ამით
კენტი ვერ ამხნევებს და ამალლებს სულიერათ მოხუცებულს
მეფეს, მარტო თუნდ იმიტომ, რომ ლირმა არ იცის კენტის
ვინაობა. ამგვარათ ერთათერთ მხსნელად და სიგიჟისაგან გამ-
კურნებელიათ ლირს დარჩენია მხოლოთ კორდელია. მაგრამ
ვიდრე ამ საგანს შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვას ვიტყვით

გლოსტერის შესახებ, რომ პიესის დასასრულს ერთმანეთს ფუნქციურობა ვუპირდაპიროთ ორი ანალოგიური შემთხვევა.

კეთილმა, წყნარმა, მშვიდმა, სუსტმა, ცრუმორწმუნე, არა დიდი კუუის პატრონმა გლოსტერმა თვითონ მიაყენა თავის-თავს უბედურება ისე, როგორც თვითონ ლირმა მოიმზადა თავისი უბედურება. გლოსტერს ჰყავს უკანონო შვილი, რომ-ლის ხელით უნდა დაისაჯოს მრუშობისათვის. ეჭვი არ არის, ცუდათ აღზარდა და ცუდათ ეპყრობოდა უკანონო შვილს და ამით მიზეზი მისცა მას, წინააღმდეგომოდა მამას. ცხრა წელიწადი მოშორებული ყავდა და ეხლაც უნდა, გაგზავნოს შორს; რცხვე-ნია თავის უკანონო შვილის და მას არ ჰყარავს სხვებთან და არც ედმუნდთან. ედმუნდი თავის მზაკვრობას ცველაზედ უწინარეს მიმართავს გლოსტერის უფროსის, კანონიერის, შვილის ედგარის წინააღმდეგ; მაგრამ მალე ამ მზაკვრობის მსხვერპლი შეიქნება მამაც, რომელიც უგუნურათ დახმარებასაც კი უწევს ედმუნდს. ედმუნდში შექსპირმა გაიმეორა რიჩარდ III-ის და იაგოს უმთავრესი თვისებები; მხოლოთ ედმუნდი დაახსიათა გაკვრით, თითქმის იმიტომ, რომ ეს ხასიათი ცველასათვის უკვე ნაცნობი იყო. შექსპირმა მიანიჭა ედმუნდს გარეგანი კეთილ-სახეობა, რომელიც მისის უსინიდისობისათვის (როგორც ბე-კონმა სთქვა) იგივეა, რაც მანიჯისათვის ლამაზი ტანისამოსი. ედმუნდი რიჩარდსავით განზრახ ბოროტი და სასტიკია, მხო-ლოთ რიჩარდი ბოროტია და სასტიკი თავის უსახობისა გამო, ედმუნდი კი იმიტომ, რომ გაჯავრებულია, რათა ვარ უკანონო შვილი და ოჯახში პირველობა რათ ეკუთვნის ედგარს. როგორც რიჩარდი, ედმუნდი მიისწრავფის ტახტისაკვენ (თუმცა არ აშბოს ამას), რომელიც მოსჩანს შორს; აი ამიტომ ღუ-პაეს ჯერ საკუთარს ოჯახს; მერე მოურიდებლათ და უსირ-ცხილოთ დაუახლოვდება ლირის უფროს ქალიშვილებს და ოუბაეს მათს ოჯახებს; ბოლოს გონერალას თანხმობით ღუპაეს კორდელიასა და ლირსაც. ასეთ დიდ პატივმოყვარეობასთან ედ-მუნდი იაგოს ციფის გონებას პატრონია და ანგარიშის დამჭერი კაცი, იაგოსავით თავისუფლათ და რეალისტურათ სჯის, ყოველ

საშუალებას ხშარობს, რაც მისთვის გამოსაღევარია, იაგოსავით
 ფარისეველია და სულელათ სოვლის ყველას, ვინც არ ფარი-
 სევლობს, ყველაფერ ეშმაკობაში დახელოვნებულია და უცებ
 გადაჯუცეს საშუალებას მიზნათ, თუ ამას მოითხოვს. გარე-
 მოება. ჯერ უნდა მოატყვილოს მამა ედგართან გამოლა-
 პარაკებით, მაგრამ რომ დაინახავს ედგარის გულუბრუკვილო-
 ბას, უმჯობესათ თვლის, ედგარს გააგონოს მისი და მამის საუ-
 ბარი; ბოლოს სარგებლობს კორნვალის მოსვლით და ედგარს
 იძულებს, სახლიდან გაიქცეს. როგორც აქ, ისე სხვაგან ყო-
 ველთვის დარწმუნებულია და ისე მოქმედობს, სრულებით არ
 ცდილობს, დაპუაროს - თავისი გაიძვერობა. ნამეტან უსირცხ-
 ვილოთ გადასცემს კორნვალს შემდეგ თავის მამის საფრანგეთ-
 თან დაახლოვების საიდუმლოს, მხოლოთ იმიტომ, რომ თავი
 განითავისუფლოს მოხუცისაგან. მერე ამგვარათვე მხნეთ ემსა-
 ხურება ბრიტანიის, როგორც ჯაშუში და როგორც მეომარი
 და თვით ალბანი იძულებულია შეაქოს იგი. მაგრამ შემდეგ
 ნამეტან გამედიდურდება გამარჯვების გამო; გაბედავს წინა-
 აღმდეგობა გაუწიოს სიმართლეს და სამართლინობას, წინ
 აღუდება ღვთის სამსჯავროს და კიდეც იღუპება თავის ძმის
 შურის მგებლის მახვილისაგან. სიკვდილის ეამს მასში გაიღ-
 ვიძებს საამო გრძნობა, რომ იგი მაინც უყვარდათ და უცებ
 სიბრალული დაებადება ლირსა და კორდელიისადმი, მხოლოდ
 გარეგან მოგონების გამო და სრულიათ არა იმიტომ, რომ
 ამას მოითხოვდეს მისი არსება. ედმუნდი კვდება ისე, როგორც
 ლირის ქალიშვილებიც, გაუსწორებელი და ცოდვა-მოუნანიე-
 ბელი. აი, ასეთის შვილის მახეში გაება მოხუცი გლოსტერი;
 მის ჩაგონებით წაარიცა სამკვიდრო კეთილშობილს ედგარს,
 როგორც ლირმა წაართვა კორდელიის, და მის მოკვლასაც კი
 განიზრახავს. სამაგიეროთ სრულიათ დაენდობა ედმუნდს, რო-
 მელიც გასცემს და დალუპავს

გლოსტერის სცენაზე დაბრმავება არც ჩვენ შეგვიძლია
 გავიმართლოთ, მაგრამ შექსპირი ამის შემდეგ მალე აკმაყოფი-
 ლებს ჩვენს საფუძვლიანს წყრომას მით, რომ უბრალო, უსახელო

და უცნობი მოსამსახურე აქვე შურს აგებს დაბრმავებელს, თუმცა გლოსტერის დაბრმავება თავის თავათ წინდაწინვე განზრახული ჰქონდა შექსპირს და იგი ძლიერ იმოქმედებდა მა შინაც, რომ სცენის გარეთ მომხდარიყო. გლოსტერი თვითონ ამჰობს, ვბორძიკობდი, თვალ ხილული რომ ვიყავიო; და ედგარი განგების სასჯელს ხედავს იმაში, რომ გლოსტერს თვალებათ დაუჯდა ის დაფარული ბნელი ადგილი, სადაც ედმუნდს მიანიჭა სიცოცხლე. და აი მთხოვარა და ბრძა გლოსტერი ლირსავით დაეხეტება აქეთ იქთ; იგი დაჟყავს, როგორც ლირი, განდევნილს შეიღს. ორივეს სასოწარკვეთილება ერთნაირია, თუმცა ერთისა და მეორესიც სულ სხვა-და-სხვა მიმართულებას მიიღებს. როგორც ლირი, გლოსტერიც თავის გაჭირვებაში მოიგონებს დატაკებს და ქადაგობს, რომ მთელი ქონება ღარიბებს უნდა გავუნაწილოთო, რასაც არ ფიქრობდა მაშინ, როდესაც თვითონ შეძლებული იყო. „და მდიდარმა, რომელიც განცხრომითა არის, ამბობს გლოსტერი: და განცხრომაში არად იგდებს ცის განკითხვასა, ჰსცადოს, გამოგლოს ცისა წყრომა, ცისა სასჯელი. მაშინ ნამეტანს თვისას იგი სხვას გადასცემდა და მით ყოველსა თვის სამყოფი მიეცემოდა და მოისპოდა კაცთ წარმწყმედი სილარიბეცა“. როგორც ლირი, გლოსტერიც ზნეობრივ სასოწარკვეთილებაში ვარდება ქვეყნის შესახებ, და როგორც ლირი შეაქებს ბოროტის გამარჯვებას, ისე იგი გამოსთქვამს შემდეგს საშინელს აზრს: „ჩვენ ღმერთებისათვის იგივე ვართ, რაც ბუზები ბავშვებისათვის; ღმერთები გვისპობენ სიცოცხლეს ხუმრობისათვის“. ჯერ კიდევ დაბრძავებამდის, როდესაც გლოსტერს ტანჯავდა ლირისა და საკუთარი მწუხარება, იგი უწოდებდა თავის თავს თითქმის გიეს. შემდეგ კი, როდესაც ხედავდა ლირის მდგომარეობას, იმას ნატრულობდა, რომ თვითონაც ლირის ყოფაში ყოფილიყო, რათა ამით განშორებოდა მწუხარების ფიქრებს. მაგრამ იგი უფრო რო რბილის და ელასტიურის ბუნებისა იყო და თავის მოკვდა სწადდა, მაშინ როდესაც ლირს შურის ძიება სწყუროდა და აზრადაც არ მოსვლია თავის მოკველა. თავის მოკველით

გლოსტერს უნდა დასძლიოს ბედის წერა და განთავისუფლდეს მისის კლანკებისაგან. მხოლოთ ამის ნებას არ აძლევს ედგარი, რომელიც შეიქნება მისი სასოწარკვეთილი სულის მკურნალი, მისი მფარველი—ანგელოზი, როგორც კორდელია ლირისა-თვის.

აქ დროა შევეხოთ უკვე იმ გმირებს, რომელიც დაუპირდაპირა შექსპირმა ამ საშინელს თაობას, რომელზედაც ვლაპარაკობდით ამდენხანს. ეს გმირები შეგვარიგებენ კაცობრიობასთან და გამოგვიყვანენ ბარბაროსულ საუკუნის წრიდან. ჩვენ ვხედავთ ედგარს, ლირის ნათლულს (შექსპირის დაავიწყდა აქ, რომ მოქმედება წარმოებს კერპთაყვანის მცემლობის დროს), უბოროტო და გულწრფელ ადამიანს, რომელიც იმდენათ მართალია, რომ ეჭვიც კი არ ებადება სხვის სიმართლის შესახებაც; ვხედავთ, რომ მას არ აქვთ არც აღლუვებული სისხლი, არც რაიმე ვნება, რომელსაც შეუპყრია სხვები. მა-მასავით რბილის ხასიათისაა, მაგრამ მასთანვე მტკიცეა და განვითარებული ნიჭის პატრონი. ედგარს უცბათ უბედურება შეემთხვევა, როგორც ლირს და მერე მის მამას, მას განდევნიან უდანაშაულოთ, ხედავს, რომ გაქცევა აღარ შეუძლია, მისი სიცოცხლე ხიფათშია ჩავარდნილი, რაღან ყველა ნავთ-სადგური შეკრულია მისთვის და მისი სურათი გაგზავნილია ყველგან, რომ იცნონ და შეიძყრონ, და იგი იძულებულია მიიღოს უპატრონო მთხოვარის სახე, ხედავს ყველაფერს ამას და ადვილათ ითვისებს ახალს მდგომარეობას, შეიმოსება ერთ იმ ბეთლემელ გლოხათაგანათ, რომელიც ბლომათ დაეხეტებოდნენ მაშინ ინგლისში. პირველი გამოსვლისათანავე ედგარი გვატყობინებს, რომ ბოროტმა სულმა ქარიშხალში გამატარა, ცეცხლში და ზღვაშიო, თავქვეშ დანა დამიდვა, მომატანა ბა-წარი და მპატიუებდა მოშხამულ საჭმელზეო, ამ სულმა ჩამა-გონა, რომ ოთხოჯიან ხილხე გამევლოო. ამით ედგარი იმას გვეუბნება, რომ თავის მოკვლის ფიქრებით იყო შეკურნბილი ისე, როგორც შემდეგ მამა მისი. ამ თვისებისა და მოგონე-ბული სიგიფისა გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ წინ

ჰამლეტია, კეთილი სული, რომელიც მზათაა, უსამართლობის მისამართის მისთვის. მაგრამ ნამდევილათ ედგარი სრულებით ასეთი არ არის. ეს ჯანსაღი ახალგაზდა არ არის ავადმყოფი—სანტიმენტალური არსება. როგორც კი დაინახავს ლირის უბედურებას, მოიქცევა ისე, როგორც შევილი ახალი დროისა: ძალლონებს შემოიკრებს და მზათაა, აიტანოს თავისი, უფრო პატარი მწუხარება, როგორც შეპუერის ძლიერს ადამიანს. მუდამ ფხიზლათ არის და როგორც ნამდვილი მესავე თვალ-ყურა ადევნებს თავის დროის ქარიშხალს და მღელვარებას. მაგრამ მას უფრო საშინელი განსაცდელი მოელის: შეეყრება თავის დაბრმავებულს მამას, რომელსაც მუხთლათ მოეპყრა ედმუნდი. მხოლოთ ამ ამბის გამოც არ დაეცემა სულით და პირიქით კიდევ უფრო მეტს სიმტკიცეს და სიმაგრეს მოიპოვებს ამ გაჭირვების დროს. ისიც იყო, ამბობდა, არ მეშინია ბედის ცვალებადობისა, რადგან ყველაფერი დავკარგე და მარტო იმედებით ვცხოვრობო, და ამის შემდეგ უცებ შეხვდება მამას და კიდეც უფრო უბედური შეიქნება, ვიდრე იყო. იმ ტანჯულს ადამიანს რომ უცქერის, თვითონ პასიურიათ ტანჯულ ადამიანისაგან გარდაიქცევა თავის მოყვასის აქტიურ დამხმარებლათ, თუმცა მეტის მწუხარებისაგან ვერ შველის თავის თავს. შეიქნება თავის მამისათვის იმათ, რაც იყვნენ კენტი, ხუმარა და კორდელია ლირისათვის: ყველაფერი მარტო იგია. მამისათვის კენტია, რადგან სხეის ტანისამოსში გამოწყობილ, ერთგულ მოსამსახურეთ ემსახურება. მასთან ხუმარაცაა, რადგან ხუმრიბით უნდა გაართოს გლოსტერი და შეუმსუბუქოს მწუხარება. მამისათვის იგივეც არის, რაც ლირისათვის კორდელია, რადგან სულიერი ექიმია მისი და განაკურნებს სასოწარკვეთილებისაგან. ედგარი მრავალ - ფეროვანი და ოდისესებური ნიჭის პატრონია. ედგარი ერთსა და იმავე დროს ტანჯული ადამიანიც არის და გმირიც, გამბედავი და ფრთხილიც; მისი პიროვნება თანდათან იზრდება. ედგარის როლის თამაშისათვის საჭიროა, რომ მოთამაშე აქტიორი იყოს თავით ფეხამდე. მან უნდა შეასრულოს შვიდი სხვა და სხვა როლი



მინც, ერთი მეორის შემდეგ. ჯერ იგი ედგარია; მერე შემდეგ როდესაც მამის გაჭირებული მდგომარეობა შეიცყრობს, თავდავიწყებას მიეცემა და რამდენჯერმე გამოდის თავის როლიდან. შემდეგ ზღვის პირის მცხოვრებია, როდესაც გლოსტერს ჰგონია, რომ კლდიდან გადმოვარდა; შემდეგ ლირისა და გლოსტერის ერთმანეთთან შეხვედრისა ხელახლა გარდაიქცევა გლახათ და კარის კაცთან კი სოფლელის როლს თამაშობს; ედმუნდთან შეტაკების დროს რაინდია და ამის შემდეგ კვლავ ედგარი. ყველა ამ როლში იგი მეტათ მოხერხებულია და ფრთხილი. საბრალო თომასთან პირველ შეხვედრის დროს გლოსტერი მოიგონებს თავის ედგარს, ამიტომ ედგარი-თომა უფრო გამოიცვლის ხმას და სახეს, ისე, როგორც ყოველობის, როდესაც განსაცდელი მოელის. მაგრამ ყველაფერი ეს ჰამლეტსავით შიშისა და გაცხარებისაგან კი არ მოსდის: ჩვენ ვხედავთ, რომ ედგარი თავს დააღწევს უდიდეს მწუხარებას-მამის გვამს, ლირის უკანასკნლ სულთა ბრძოლის, შეებრძოლება ედმუნდს და კიდევ იმარჯვებს. არასოდეს არ ეციმა სულით განსაცდელის დროს, სხვის ტანისამოსში გამოწყობილი დიდს სამსახურს უწევს მამას, მისი დარაჯია და გამკურნებელი მისის სულისა. მარტოთ დარჩენილს მოხუც ბრმას კლდიდან გადმოვარდნა უნდა, ედგარი ძირს ჩამოიყვანს. გლოსტერს ჰგონია, რომ უკვე ჩამოვარდა, მაგრამ ედგარი დაარწმუნებს, რომ სასწაულმა გადაარჩინა იგი სიკვდილს, რომ ბოროტსულს უნდოდა მისი დალუპვა, რომ ყოვლათ წმინდა ღმერთებმა ააცდინეს სიკვდილს. გლოსტერს ძლიერ გაახარებს ეს ამბავი. ამის შემდეგ მზათ არის მოთმინებით აიტანოს თავისი მწუხარება, ვიდრე თვით მწუხარება არ ეტყვის: „კმიათ! მოკვდით!“ გაიგებს ლირის გაჭირებულ მდგომარეობას, დაეცემა მიწაზე და ევედრება ღმერთებს, წაილეთ ჩემი სული, რომ კვლავ არ ჩაგარდე განსაცდელში და არ განვიზრახო თავის მოკვლაო. „კეთილი ლოცვაა ეგ, მამა!“ ეუბნება ედგარი ღატაკის როლში, რომელიც თავის თავის შესახებაც ამბობს, რომ მეც დამამშვიდა ბედმაო. შემოვა გონერილის კარის კაცი და სიკვ-



დილს ემუქრება გლოსტერს; გლოსტერი სიამოვნებით მიეგე-
ბება სიკვდილის მიახლოვებას, როგორც ღმერთებისაგან მონი-
კებულს მაღლს; მაგრამ ედგარი დაიხსნის სიკვდილისაგან. ორი-
ვენი უახლოვდებიან ბრძოლის ველს. ლირს და კორდელის
დატყვევებენ; გლოსტერს ერთხელ კიდევ ეყარგება თავისი
უკანასკნელი იმედი და შზათ არის დარჩეს, და სიკვდილს მიე-
გებოს. „კიდევ ავ ფიქრს არ გარდეკიდე!.. ჭირს რად უტყ-
დები? ზოგჯერ უკულმა, ზოგჯერ წალმა ბედი ტრიალებს,—
ორივეს კაცი უნდა დახვდეს გულმაგრა ხოლმე“. ახლაც სიმარ
თლეს ხედავს გლოსტერი ედგარის სიტყვებში. და როდესაც
ედგარი ეუბნება თავის ვინაობას, მოუყვება თავის თავ-გადა-
სავალს, გლოსტერის დაუძლურებული გული სკდება მწუხა
რებასა და სიხარულთან ბრძოლით. მაგრამ კვდება ღიმილით
და დამშვიდებული. კეთილშობილი კენტი ესალმება სიცოც-
ხლებს, რომ ხედავს მკვდარს გლოსტერს და წინანდელს ედ-
გარს; ედგარის ტანჯვათა ამბავი დააუძლურებს აღმანის მთა-
ვარს და ადამიანობის სხივი ჩააშუქებს ედმუნდის სულში. ჩვენც
მკითხველები და მაყურებლები ვშორდებით ამ მრავალ-გვარ
ტანჯვას შერიგებულნი.

ეს სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო მაღლდება,
როდესაც ვუცქერით კორდელის სახეს და მის მდგომარეობას.
ეს ერთი უდიადესი ქმნილებათაგანია შექსპირისა, რომელიც
ძნელია გასაგებათ, მაგრამ მასთანავე ძლიერ აშვარია და მარ-
ტივი კეშმარიტ გრძნობისათვის. ნურასოდეს ნუ მოჰკიდებს ამ
როლს ხელს ის მსახიობი, რომელიც დაჩვეულია სათეატრო
როლებს „თამაშს“. მისტრის ბარჩი, რომელიც თამაშობდა
კორდელის გარჩიკის დროს, სასტიკის კრიტიკოსის ლიხტენ-
ბერგის სიტყვებით, იყო არა-ქვეყნიური სილამაზის ქალი,
წყნარი და უმანკო, გულკეთილი და მასში არ მოიპოვებოდა
არაფერი არც სატირული და არც გმირული. თუ ამ როლი
სათვის ძნელი საპოვნელია ძლიერი და მრავალ-ფეროვნის
ნიჭის პატრონი მსახიობი, ყოველს შემთხვევაში უფრო შესა-
ფერი იქნებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც მოკლებული იქ-



ნებიდა ყოველგვარს პრეტენზიას და თეატრალურ მანქანებით არ წაახდენდა იმ უმანკოების და სიყვარულის შთაბეჭდილებას, რომელიც უნდა იქონიოს მაყურებელზე კორდელიამ. ლირი სიკვდილის წინ რამდენიმე სიტყვით შევენიერათ ახასიათებს კორდელის მშვენიერს და ქალურ არსებას: „იმის ხმა იყო მუდმივი წყარი, ტკბილი, ნარნარი... მისებრი ხმა ქალთათვისა საუნჯე არის“. უფრო მდიდარია გულით, ვიდრე სიტყვით, მას არ ეხერხება სხვებსავით იმის დაპირება, რის შესრულებას არ ჰქოქობს; რაც განზრახული აქვს, აუცილებლივ გააკეთებს. რაც შეეხება მის დების პირფერობას და მრავალს სიტყვიანობას, კორდელია არ მიმართავდა ამას რადგან სულ მეტათ მიაჩნია; ეს ეწინაამღვება მის სიმართლის მოყვარეობას; განსაკუთრებით კი მიტომ, რომ მოკლებულია ანგარებას, რომლისათვის მისი დები მჭერმეტყველნი შეიქნებიან. მის ქალურ მორცხვობას და გაუბედაობასაც აქვს გავლენა, რომ პირველ სცენაში ენა ებმის და ვერ ამბობს იმ უბედურ სიტყვას, რომლითაც გადაწყდება მისი ბედი. ბუნებრივი გაუბედაობა, რომლის გამო ვერ ლაპარაკობს დიდის კრების წინაშე, სიმართლით აღსავს სული, რომელიც უბრძანებს, რომ ნახევარი სიყვარული თავის ქმარს დაუტოვოს — ხელს უწყობენ მის მოკლე პასუხს, მაგრამ ამის უმთავრესი მიზეზია ზიზღი დებისადმი, რომელიც ვერ მოიკლა შემდეგაც. მის წყნარ ბუნების რძეში თავისნება ლირის ნაღველის წვეთიც არის გარეული, და ამ მეტათ ნაზის თვისებით შექსპირმა დაუკავშირა იყი თავის დროს და ოჯახს. არ შეიძლება მისი უარყოფა, რომ პირველი გამოსვლისთანავე კორდელიას მოუფიქრებლობა და ცოტაოდენი გაფიცხება ემჩნევა, თუმცა ამ გაფიცხებას კეთილშობილური მიზეზი აქვს. როდესაც მამა შეურაცხყოფს და შეაჩვენებს მას, როდესაც საფრანგოს შეფერა დააფასებს მის კეთილშობილებას, ამ თბილის ცვარის ზედგავლენით, რომელიც მოჰყვება მამის ყინვასავით ცივს სიძულვილს, მისი გული გადაიშლება და ისე მაღლ მოიპოვებს ქრის სიყვარულს, როგორც მაღლ მოიპოვა მამის სიძულვილი. შემ-

დღე ნათლიათ გვიმტკიცებს, თუ რა ღრმათ და სერიოზულად უყურებდა თავის მოვალეობას მამის წინაშე; გვიმტკიცებს იმასაც, რომ არასოდეს არ ლაპარაკობს წინდაწინ იმის შესახებ, რის გაკეთებაც სურს. თავიდანვე ატყობს, თუ რაც მოხდება, საფრანგეთში მისელისთანავე დაიჭირს კავშირს კენტიან და ჯაშუშებს ჰგზავნის თავის დებთან. გაიგებს „სამარტვინო საქვეებს“, თუ როგორ იყო გაგდებული მამა სახლიდან ქარიშხალის დროს, და აქვე შეგვიძლია ჩინიხედოთ მის წმინდა და შვევნიერ სულში. „ჩემის მტრის ძალასაც, ამბობს იგი: მაკბენარს იმ ბრდლებინავს ღამეს კარს გავუღებდი, ჩემს კერასთან მივცემდი ბინასო.“ აქ იგი იმგვარივე არსებაა, როგორათაც და-გვიხარა შექსპირმა „პერიკლე“-ში წმინდა და კეთილი მარინე. როდესაც მიიღო ამ სამწუხარო ამბის წერილები, ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან; მოინდომა მწუხარების დაძლევა, მაგრამ მწუხარებამ დასძლია იგი. აშენთებული იყო, მაგრამ არა გულმოსულობით და გაფიცებით, არამეთ მოუთმენლობისა და მზრუნველობის გამო; ერთსა და იმავე დროს იგი იყო მზეც და წვიმაც; მისმა ღიმილმა თითქოს არა იცოდა რა არც ცრემლების და არც სამწუხარო ამბების შესახებ. ამ წუთიდან ერთად-ერთი ფიქრი აქვს — დაიხსნას მამა და ალუდგინოს ტახტი. შვილური სიყვარული ახლა ძალის იჩენს მოქმედებაში, ისე როგორც ხმას არ იღებდა წინათ, როდესაც მხოლოდ სიტყვებს თხოულობდენ მაგრამ აქ მეორეთ იჩენს მოუფიქრებლობას, რის გამო შეიქნება წამებული მამისადმი სიყვარულისათვის, ისე, როგორც წინათ დაიტანჯა სიმართლის სიყვარულისათვის. ამ გულუბრყვილობით, ამ ბუნებრივ გრძნობებით გატაცებით იგი ძლიერ ემსგავსება დეზდემონას. წინათ, როდესაც დარწმუნებული იყო, რომ სამართლიანათ იქცევოდა, არ ფიქრობდა, რომ აკეთებდა იმაზე ცოტას, რამდენიც უნდა გაეკეთებინა თავის, თუნდა დაბრმავებულ, მამისათვის; ეხლა კი იმას არ ფიქრობს, თუ რამდენათ მეტს აკეთებს, ვიდრე საჭიროა; სრულიათ არ ზრუნავს იმისათვის, რომ თუ სხვა გზით იმოქმედებს, სულ სხვა შადევი იქნება. ამ პიესაში შექსპირი განსაკუთ



რეპითი ყურადღებას აქცევს ზნეობრივ სამართლიანობას და მთამბე თითქოს გვეკითხება: რითი მართლდება კორდელიის სიკვდილი? ედგარს ხომ უკეთესი ბედი ეწვია, და ედგარმაც ხომ იგივე მორქედა მამისათვის, რაც კორდელიამ ლირისათვის. მაგრამ სწორეთ ეს გარემოება, ეს სხვა და სხვანარი ბოლო ცხად ჰყოფს ჩვენთვის პოეტის განზრახვას. სწორეთ თავის ბრძნულის წინდახედულობით და შორს - გამჭვრეტელობით ედგარი სულ სხვა ადამიანია, ვიდრე კორდელია. მისი საშუალება ყოველთვის კარგათ შეეფერება მიზანს; ეგვე არ ითქმის კორდელიის მოქმედების შესახებ. თავს დაესხმის ინგლისს საფრანგეთის ჯარებით, რომ ტახტი დაუბრუნოს მამას. ერთათ ერთი პასუხისმგებელი ამ საქართველისათვის არის თვითონ. შეუწყვეტელის ცრემლებით იძულებს ქმარს ჯარების მოცემას. ქმარი დიდა, მნიშვნელობას არ აძლევს ამ საქმეს და არც მიყვება კარდელის ინგლისში (სტრივენს და ტიკს არ უნდოდათ ამის გაგება, თუმცა შექსპირის განზრახვა აშკარაა აქ); იგი ამ დროს სულ სხვა სახელმწიფო საქმეს აკეთებს. კორდელიისათვის სრულებით არ არის საჭირო, დაგვარწმუნოს, რომ ამაყ პატივმოყვარეობისათვის არ აუღია იარაღი ხელში; ჩვენ გვჯერა ეს; მაგრამ არ ეუბნება ამ გარემოებას იმას, ვისთვისაც უნდა ეთქვა, სახელდობრ ალბანიის მთავარს. ერთი რამ ამოძრავებს კორდელიას: შვილური სიყვარული მაისიადმი. როდესაც იპოვნის მამას დუვრში, ჯარებს თავის მარშალს ჩააბარებს, რაიც კიდევ უფრო საეჭვოთ ხდის მის შესვეას სახელმწიფოში, რომელიც ისეც განადგურებული იყო ომებით და განსაცდელში ჩავარდნილი. ერთმანეთის მტრები და მოწინააღმდეგე ქვისლები ერთათ წინააღმდეგებიან კორდელიის შემოსევას: კეთილშობილი ალბანი შეუერთდება საზიზდარ ედმუნდს. მაგრამ ალბანიც უფრო წინდახედულია, ვიდრე კორდელია. წაეკიდება გონერილას და ედმუნდს და კორნვალიის მთავრის სიკვდილისთანავე განიზრახვას, მარტო ჩაიგდოს მთელი სახელმწიფო ხელში გამარჯვებისა და კორდელიას და ლირის განდევნის შემდეგ. ყოველს შემთხვევაში იგი პირდაპირ უცხადებს მო



წინაღმდეგებს, რომ მისის შეხედულობით ფრანგებთან ომი და ლირის წინაღმდეგ ბრძოლა სულ სხვა-და-სხვაა. კორდელია კი არავის არ ეუბნება ასეთს განზრახვას. ომიო, აღბანი ამბობს, შემქება მე იმიტომ, რომ საფრანგეთი შემოესია ინგლისს და არა იმიტომ, რომ საფრანგეთი მეფეს იცავსო. მზათ არის გულკეთილათ მოეპყრის ლირს, და სხვა ტყვეებსაც იმისა და გვარად, თუ რა ლირსებისანი არიან და რამდენათ საშიშნი არ არიან მისთვის. ყველაფერი რომ აეხსნა კორდელის აღბანის მთავრისათვის, ომი მოისპობოდა და სხვა შედეგი მოჰყვებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა კორდელის თავისებურის ხასიათის გამო. მისი უკანასკნელი შეყდომა იმგვარივეა, როგორც პირველი: მას არ უყვარს იმის გამოთქმა, რაც თავისთავათ იგულისხმიერება; ყველაზე უფრო სუსტათ გამოხატავს იმას, რითაც ყველაზე უფრო ხავსეა მისი გული. ვიდრე კორდელი ცოცხალი იყო და ომობდა, აღბანის მთავარს ეშინოდა მისი, ვაი თუ მთელი ბრიტანია საფრანგეთს დაუმორჩილოს; მაგრამ ასეთს ფიქრს—რომ საფრანგეთის ჯარი დარჩებოდა გამარჯვებული, ასეთის აზრის ნასახსაც არ გაიტარებდა თავში შექსპირის პატრიოტიზმი. კორდელია იღუპება თავის ბედისაგან, ისე როგორც დეზდემონა შეიქნება მსხვერპლი თავის ბუნებისა; მაგრამ მისის სიკვდილის გარემოებანი უფრო შემარიგებელი თვისებისანი არიან. იგი დამარტებულია ბრძოლის ველზე, მხოლოთ მან მოიპოვა უფრო მაღალი გამარჯვება, რომელიც იყო ერთათ ერთი მისი საგანი: განკურნა შამა და მოუპოვა სიწმინდე. ფეხს შემოდგამს ინგლისში ღრმა მადლობით გამსჭვალული კენტისადმი, რომელმაც დაითარა მამა მისი, და ყოველგვარს სიმდიდრეს პირდება იმ ექიმს, რომელიც მოარჩენს ლირს: თავიდანვე გვიმტკიცებს ეს, რომ კორდელის ერთათ ერთი ფიქრი აქვს მამის დახსნა, და სრულებით არას პირის საკუთარ თავის შესახებ. ლირს ესმის მისი მოსვლა, მაგრამ ღრმა სირცხვილისა გამო არ უნდა მისი ნახვა. მაგრამ ლირის წინაშე სდგას მისი ქალი შვილურის სიყვარულით და გრძნობებით აღსავსე, ლაპარაკის წყურვილით გა-



ტაცებული. ლირი გაიღვიძეს, შიში და სიხარული შეიძლება კორდელიას ეხლაც კერ მოუნახია სიტყვა. გამოლვიძებული ლირი ლაპარაკობს, თუმცა დაბნეულით, მაგრამ მისი სიტყვები არა. მოკლებული აზრს. ამბობს, რომ სირცხვილისა გამო იტანჯება და გრძნობები, რომლებიც ეხლა მოიპოვა, თითქოს მას არ ეკუთვნის. მაგრამ, აი, კარგათ იცნობს თავის ქალს და მუხლებზე დაეცემა მის წინაშე, და ისეთს წყნარს და მშეიდ გუნჯებაზე დადგება, რომელიც არაჩვეულებრივია მისთვის და გასაკვირველი. განა მოიპოვება პოეზიაში რამე უფრო გულის გამგმირავი და უფრო შემაძრწუნებელი, უფრო სცენური, ვალრე არის სცენა, როდესაც ლირი იცნობს კორდელიას? ლიხტენბერგი აღიარებს, რომ ამ სცენის მოვონება დამავიწყდება მხოლოთ სიკვდილთან ერთათო. ჩემის აზრით, მარტო ამ სცენას შეუძლია გამოისყიდოს მთელი სიმწარე ტრაგედიის შინაარსისა. საზოგადოთ მთელს დრამატიულს წერილობაში არ მოიპოვება არაფერი მსგავსი ლირის მეოთხე მოქმედებისა. როდესაც კორდელია ლირთან ერთათ ტყვეთ ჩაუვარდება ხელში ედმუნდს, ძალა უნებურათ უნდა აღიაროს, რომ თავის უკეთეს განზრახვისათვის უნდა განიცადოს უარესი ბედი; პირადათ თვითონ კარგათ ღონისებით სთვლის თავის თაეს, რომ გაუძლოს ყოველგვარს განსაცდელს. მამას ეკითხება, ხომ არ ვინახულოთ დებიო? შეიძლება, ჭმის შედეგი ყოფილიყო ორივეს გადაარჩენა; მაგრამ ლირი ბედისებრია იმით, რომ კვლავ მოიპოვა კორდელია, და ენატრება განმარტოებული სატუსალო, როგორც საოთხე. შინაგანი ცხოვრება დაიკერს გარეგანი ცხოვრებას ადგილს; წინანდელი თვისებები უკანასკნელ წუთამდის შერჩება ლირს, და წყევა და კრულვს გაუგზავნის ეხლაც შვილებს და შემდეგ კვლავ დაუბრუნდება უცებ წინანდელი ღონე და მოჰკლავს ჯალათს, რომელმაც კორდელია ჩამოახსი. ლირი რომ გამარჯვებული და ცოცხალი დარჩენილიყო, შერის ძიების წყურვილი არ მოასვენებდა, და ამის გამო იგი მოკლებული იქნებოდა ჩვენს თანაგრძობას და ვერ მოიპოვებდა იმ მშეიდობიანობას, რომელიც პოეტს უნდა,

მოუპოვოს მას. კორდელიის სიკვდილი ძალათ შეაკვებს ლირული განვითარების მიზანს. ის წყევა, რომლითაც შეაჩვენა ოდესლაც კორდელია, იმბობდა: „საფლავისა ქვა ნეტა ისე გამიმსუბუქდეს, როგორც აღვილათ გულით ჩემით შენ განგარინე“. და ეს წყევა შესრულდება, როგორც კი უბრუნებს კორდელიას უკან თავის გულს. კორდელიის გვამის წინაშე სხვა კველაფერი ცალიერი ხმაა მარტო, რომელიც არც კი ესმს მის ყურებს: კენტის ნახვა, ქალიშვილებს სიკვდილი, ძველი უფლების დაბრუნება, არაფერი არ ახარებს უკვე. თან გაჰყვება თავის ქალიშვილს და კენტის და (უნდა ესთქვათ) ჩვენდა სასიამოვნოთ თავისუფლდება ამ სასტიკის ქვეყნის ყოველ გვარ ტანჯვისაგან. განწმენდილის სულის სილრმიდან უთხრა კორდელიის: „მაგ შენს მსხვერპლს ზეცით თვეთონ ღმერთნი გუნდრუკ აქმევენ“. ლირმა აღიარა კორდელია მოწამეთ, მხსნელათ და უკეთეს დროთა წინამორბედათ. ასე ესმოდა შექსპირს კორდელიის სიკვდილი! თუ კორდელია იღუპება ერთის მხრით თავის მიზეზით, მეორე მხრით ამავე დროს იგი არის მსხვერპლი თავის დროის და წრისა. „შენ გყავს ქალი, ნათქვამია პიესაში, იგი დაიხსნის ქვეყანას იმ წყევისაგან, რომელიც გამოიწვიეს სხვა ქალიშვილებმა“. საზოგადოთ იმ ანგელოზის მსგავს არსებათათვის, რომელთაც ჩვენ შევხდებით შექსპირის პიესებში, იმ წმინდა ბავშვთათვის, რომელნიც უდანაშაულოთ იღუპებიან განგებისაგან, სიკვდილი—მხოლოთ სამშობლოში, სახლში დაბრუნებაა; აგრეთვე კორდელიისათვის სრულებით არ შეადგენს სიკვდილი უბედურებას, ამ სიკვდილით იგი იცავს, და სისხლით აღბეჭდავს თავის შეილურ სიყვარულს. რაც კენტმა თავიდანვე გამოთქვა, იმას ასრულებს ეხლა ნამდვილათ კორდელიასთან ერთათ: არც ერთი და არც მეორე არ ერიდება სიკვდილს, თუ კი ამით შეიძლება ლირის გადარჩენა.

ამ გვარათ „მეფე ლირში“ დახატულია ტრაგიკული ბოლო მთელის საუკუნისა, მთელის სისხლის მოყვარე თაობისა. ალბანიის მთავარი ეუბნება გონერილას: „ღმერთები რომ ხილულ

მტანჯველ სულებს არ ჰგზავნილნენ ამ ბოროტებათათვის, ბრძ-
 მიანები ერთმანეთს დაუწყებდნენ წვალებას, როგორც ჯოჯო-
 ხეთის ვეშაპნი“. მართლაც ღმერთები შურს იძიებენ იმით,
 რომ მთელი თაობა თვითონ სპობს თავის თავს; კორნვალის
 მთავარი შეიქნება მსხვერპლი თავის სიფიცხია, ლირის ქალი-
 შვილები იღუპებიან ან თავის - მოკვლით, ან ერთმანეთს
 ხოცევენ; ედმუნდს მოჰკლავს მისგან დევნილი ძმა, გლოსტერი
 და ლირი იღუპებიან საკუთარის დანაშაულობისაგან. როდე-
 საც ლირს შემთაქვს ხელებზე კორდელის გვამი, კენტი და
 ედგარი ჰერჩნობენ სასტიკის ზეციერის სამსჯავროს სამართლის
 შესრულებას და ეკითხებიან თავის თავს, ხომ არ დადგა
 უკანასკნელის განკითხვის დღე, ეს ხომარ არის ნიშნები ამ ქაფ-
 ყნის აღსასრულისაო? მთელს თაობას, რომელიც მოქმედობდა
 ჩვენს წინაშე, ვხედავთ ეხლა მკვდარს; მხოლოდ კეთილშო-
 ბილნი წინამორბედნი მომავლისა — ალბანიის მთავარი და ედ-
 გარი გადაარჩებიან ამ დროის საშინელებათ, რომელთაც, რო-
 გორც ნათქვამია ტრაგედიის დასასრულ, არ განიცდის ახალი
 თავიობა. ეს იმიტომ, რომ ამასთანავე სულიერათ განიკურნა
 მთელი ხანა. ჩვენ დავინახეთ, რომ გლოსტერმა აღიარა ღმერ-
 თების არსებობა; ლირი კი, რომელმაც საშინელ ქარიშხალინ
 ღამეში დაივიწყა ღმერთებს სახელი, სიხარულით ხედავს, რომ
 მის ქალის საქმებს ზეცით გუნდრუქს უკმევენ ღმერთები.
 ედგარი აღიარებს, რომ ზეციერი მართლმსაჯულობა აღ-
 რულდა მამასა და ძმასა ზედა; კენტი სიხარულით უკუაგ-
 დებს უკელაფერს იმა ქვეყნიურს; თვით ედმუნდის გულში
 შეაშუქებს სხივი რაღაც „უკეთესისა“; კორდელია დასძლევს
 ბედს და კვდება, როგორც შემარიგებელი მსხვერპლი. ძვე-
 ლის ძველი დროიდან და საშუალო საუკონებიდან ჩვენამ-
 დის მთაღწია დიდებულმა ეპიკურმა ამბებმა: ტრადელების
 საგამ და ნიბელუნგებმა, სადაც ამგვარათვე აღწერილია ვე-
 ლურ თაობათა დალუპვა, რომელთა აღგილს დაიჭრენ
 უფრო ზეობრივი შვილები; ამ პოემებში ტანტალისებურ
 საშინელებით აღსავსე ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ისეთს პი-



რებს, როგორიც არიან იფიგენია და პენელოპა, რომელნიც უკეთეს მომავალს; აგეთია აქაც კორდელია. ამ ძველი დროის ტრაგიკულ ეპოსებს შეედრება მხოლოდ ეს ეპიკური ტრაგედია. დრამას არა აქვს იმდენი იდგილი, რომ დაგვიხატოს მთელი თაობათა და ხალხების ბრძოლა; იგი იძულებულია, შეუფერდოს საგანი ამა თუ იმ ოჯახის ცხოვრებას მხოლოდ. ჩვენ ვხედავთ, რომ მართლაც ვიწრო ფარგალში დახატულია ამის მსგავსი ცხოვრება. „მეფე ლირით“ შექსპირი დაუხახლოვდა სახალხო ეპიკურ პოეზიის სურათებს: მხოლოდ ეპოსში ეს სურათები საუკუნოებით შემუშავდა, შექსპირმა კი დახატა იგივე ერთის ნაწარმოებით. არის ტოტელს რომ ღირსებოდა ამ პიესის ნახვა, მეტის სამართლით შეძლებდა გამოეთქვა თავისი აზრი ტრაგედიის შესახებ,—რომ ტრაგედიას ნაკლების საშუალებით შეუძლია მიაღწიოს ეპოსის დიადს მიზანს. შეიძლება შექსპირს წაკითხულიც ჰქონდა იმ დროს პომიროსის პოემები, მაგრამ აზრიათაც არ მოსვლია დრამის საშუალებით გასჯიბრებოდა დიდებულ მითებს. თუ აგეთი გამოვიდა „მეფე ლირი“, იმიტომ, რომ უფრო და უფრო მაღალის აზრის შეიქმნა შექსპირი ტრაგედიის დანიშნულების შესახებ. თვითონ სრულებით არ ჰყიქრობდა, თუ მის ტრაგედიას ეპოსებს შეადარებდენ, როგორც არ მოელოდა იმასაც, რომ მისი პამლეტი შეიქმნებოდა სარკე მომავალ თაობათათვის. თუ როდისმე ჩვენის გენიოსის პოეტის გაუგებარმა ინსტინქტმა შეჰქმნა რამე უფრო მაღალი, ვიდრე მისმა შეენებულმა და წინდახედულმა გონებამ, ასეთის ინსტინქტის ძალის ყველაზე მეტათ ვხედავთ აქ. და თუ რა ძლიერ მოქმედობდა ეს ინსტინქტი უდიადეს დრამატურგში, შეგვიძლია გავიგოთ, როდესაც შევუდარებთ „ლირს“ „ციმბელინს“. საკვირველია ისიც, რომ სხენებულ პოემებთან ერთათ საბერძნეთმა და გერმანიამ დაიცვეს სხვა პოემებიც, ოჯახის ცხოვრებიდან, უფრო შემარიგებელის „ზინაარსისანი, სახელდობრ „ოდისეა“, „ილიადასთან“ და გუდრუნი ნიბელუნგებთან. ოდისეასა და გუდრუნში, ორივეში ერთი და იგივე ტემაა: ცოლის ან საცოლოს ერთგულება, რომელიც

დაჯილდოებული შეიქნება ბევრის ტანჯვისა და განსაცდელის შემდეგ. საყურადღებოა, რომ ამგვარივე საგანი აქვს აღებული იმოჯენის ამბავს (კიმბელინს), რომელიც არამც თუ შინაარსით, არამეთ გარეგანი ფორმითაც იმგვარივე წინაამდეგი და დამატებითი ნაწარმოებია „ლირისათვის“, როგორიც არის ოდისეა ილიადასთვის. ესთქვათ, რომ ეს შემთხვევაა, შემთხვევაა ამ სამი პოეტიურის ნაწარმოების პარალელიზმი; მაინც არ შეგვიძლია, არ აღვიაროთ, რომ ეს იმ იშვიათი და ლრმა აზრიან შემთხვევითაგანია, რომელიც უყვარს ხანდახან ისტორიას; ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის ეს შემთხვევითი მოვლენა.

ԺԱԿՈՎԵԼԻՒ ԲԱԺԻԱՆԵ

Ա. Ճաճամֆյեռնա.

1. Ի՞ցե՞ն գլուխ զայշը օգհետաք յ. თապանվուղուս-մոյր ճա-
 ծցվելուն յանձնեց թյուղու վիճա գրուու յարուղու-պետական մա-
 սու գուղանու յաջաշերուղու 1646 վլամաք հուստում թյուղու մայ-
 լուղու մարումուտցուս, յ. ո. մանուկ, հուղուսաւ յանձնեց չէր առ
 ուղու ճամացածուղու. զայշը օգհետաք թյ XII սայսպահու սոմես-
 հած նատահամնու յարուղու պետական, Chronique arménienne-
 նու Շյբանուղու.

Ֆորացու յարուանդուս յաջամֆյերս ճա մյուրուս մտահամելու
 սայմառած Շյուրպահուատ „յարուղու պետական“. Եսպահուս յարուան-
 դու պատունահածուսա տայ յայուցիւտեսուղութու վյուրուսա ճա տահամնուս
 յամու մատ ամրեցուատ ևսուցու ճա յայուրպահուատ Շյմացու սայսպա-
 հած նաելուցու:

Ք. Ենակութեանուան: Chron-arm. մարամուս յաժնանցուան:

ՄոռՄ	ՑոռՑ	ՑոռՑ
արՄակ	արծակ	արծակ
արլա՛մուր	արլածուր	արլածուր
մոծուցան	մո՛մուցան	մո՛մուցան
Մածուր	Ցածուր	Ցածուր
յանձներ	յանձներ	յանձներ
ճա	սե...	

*) ու. «մասմա» № 4, 1903 վլուսա.



მსრეოი შეცდომა მომხდარა იმიტომ, რომ ხუცურაა წერილს ქართლის ცხოვრებაში გადამწერსა თუ მთარგმნელს შეცლიათ მსგავსი ასოები,

ხუცური	და	მხედრული
ა	ა	ა
ც	ც	ც
შ	შ	შ
ქ	ქ	ქ

ამისთანა შერყვნა და სიმახინჯე მართლწერის მხრივ მარიამის ვარიანტში ბევრია.

2. შართ. ცხოვრებით მირიან მეფის მეუღლე დელოფალი ნანა იყო ბერძენი. ერთ ადგილის მემატიანის მიერ წერებულა რომ ამ დელოფლის ბიძა „ხუარა სნეული იყო“-ო. ღროთა განშავლობაში ეს ფრაზა გადასხვავერებულა, სნეული ხუარა ხუარასნედად (ხვარასნელი) გადაქცეულა!

მს სიყალბე გამოირკვა მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმოჩნდა მეთე საუკუნეში გადაწერილი შატბერდის კრებული. ამ კრებულში შეტანილი ქრონიკა მოქცევა-ქართლისად პირდაპირ ამბობს, რომ „ხუარა სნეულ იყო“*) და ნინომ გაჰქურნაო. (გვ. 36)

ბ. შემმუშავებელნი.

1. მართლის ცხოვრების პირვანდელს ნაწერს გადაასხვა-ფერებდნენ და ადგილ ადგილ განაახლებდნენ ქრისტომატიებისა და კრებულების შემადგენელნიც, რომ ადგილი გასავები გამხდარიყო მოსწავლეთათვის და ერისა, რომელსაც ამ ძველად ნაწერებს უკითხავდნენ მღვდელნი ეკლესიებში. რომ ეს ასრე

*) ქართ: ცხოვრ-ბა (გვ. 84): „მოგვი იგი მთავარი სპარსი სახე-ლით ჩვარასნელი იყო“. იგივე ქართლ. მოქცევით (გვ. 36): „მო-გვი მთავარი სპარსი ხუარა სნეულ-იყო... იყო მთავარი იგი დედის ძმა-ნანასი დედოფლისად“

იყო, ამას ცხად ჰყოფს შედარება ოთხის გარიანტის მოთხოვნა-
ბისა შესახებ მცხეთის ჯვარის აღმართვისა.

ქარ. ცხ.	მარ. გარდანტი	შატბ.	ქრებულია	მე-X-XI საუკ-
(გვ. 99)	(გვ. 103)	(მე-X-ს)	ქრებულია*)	

უოველმან ქარ-	უოველმან ქარ-	უოველმან ქართლმან	უოველმან ქა-
თლმან დღეინ-	თლმან დღეინ-	ვაღრე დღენდელად	რთლმან ვაღ-
დელად დღედ-	დელად დღედ-	დღედმდე და ვაღრე	რე დღენდელ-
მდე	მდე	უკუნისამდე	ად დღედმდე

და იუთ რათდექნი-	**)	და იუთ რათდექნი-	და იუთ რათ-
სამე დღისა შემ-		სამე შემისა შემდ-	დენისამე შა-
დგომად მარტვ-		გომად მარტვალისა	მასა შემდგ-
ალსა უკანისა		უკუნა	ომად მარტვ-
			ალისა უკუნა

იხილეს სასწაულა		იხილეს სასწაული	დღესა თთხუ-
დადად საშინელი		დღიდ და საშინელი	აბათსა იხი-
დღესა თთხშაბათსა		დღესა თთხშაბათსა	ლეს საპარე-
			ლებად დიდი
			და საშანელი
			სასწაული.

აქა ესე რა სვეტი	აქა ესე რა სუ-	აქა ესერა სვეტი	და აქა ესერა სუ-
ერთი ნათლასა	ეტი ერთი...	ნათლისა სახედ	ეტი ნათლასა
სასედ ჭუარისა		ჭუარისად დგა	სასედ ჭუარისა
დგა ჭუარისა მას		ზედა ჭუარისა	დადგა ზედა ჭუ-
ზედა		მას	არსა მას

და ათორმეტნი გა		და ათორმეტნი ან-	და ათორმეტნი
ასკულაკნი სახედ		გელოზნი დაბკრ-	ანგელოსნი და-

*) „აღმართება ჯვარისა“ (ჩელნაწ., № 144) დავბეჭდეთ „იკერია-
ში“ (1898, № 185, 190, 191)

**) ცარიელი ადგილი ნიშავს, რომ ვარიანტშიაც ისეა, ვით ქი-
ცხოვრებაში.



გურგუნისა გარემ- გვირგვინია-
ოს მისა სა . . .

გუნებული იუნეს გრძელებულ
გარემოს მისა; იუნეს
ეპრევე სახედ ათ-
თოშეტნი გარსკუ-
ლავინი დაგურგუ-
ნებულ იუნეს

სოლო ბორცუ ი-
იგი ჭუარისა
ჭმეოდა სახედ
სულნელად

სოლო ბორცუ ი-
იგი ჭუარისა
ჭმეოდა სახედ
სურნელად

სოლო ბორცუ ი-
იგი ჭურისა უ-
ცახელდ*) ჭუმოდა
სულნელად

და ხედვეს
სასწაულს ამას
უოველი და
მრავალი უღ-
რმთოთაგანი
ზიაქცეს და
ნათელს იღეს
მას დღეს შინა.

და ვითარ ჭედვ-
იდეს სასწაულ-
სა შას, მრავალი ნი-
უღმრთოთაგანი
მრავალი და
ნათელს იღებ-
დეს და ადამენებდეს
ეპლესიათა

და ეფედი სე-
გიდეს სასწაულს-
მას, მრავალი ნი-
ოდთოთა განი
მრავალი და
ნათელს იღებ-
დეს და ადამენებ-
დეს ეპლესიათა

სოლო ქრისტენენი
უფროს მორწმუნე
იქმნებოდეს და ადა-
დებდეს დმიერთსა

სოლო მორწმუ-
ნენი უფროს გა-
ნმორწყიცებოდეს
და ადადებდეს
დმიერთსა

სოლო მორწმუ-
ნენი უფროს გა-
ნმორწყიცებოდეს
და ადადებდეს
დმიერთსა

შერე კეალად
იხილეს სხეად
სასწაული ჭუ-
არისად: ვითარ-

შერმე კეა-
ლად იხი-
ლეს სხეა-
დ . . .

და შერმე კეალად
იხილეს სხეად სას-
სხეად სასწაული-
ას ჭუარისად:

და შერმე ის-ლოს
სხეად სასწაული-
ას ჭუარისა ჭუ-
არისად: ვითარ-

*) აյ ც-დ ქცეულა თ-ანი პირველი სიტყვისა (ერ. ၂) და ს-ანი
მეორე სიტყვისა (ს ახე). ზეაღარე: მაძს—მადს—მაც (ვალად მაძს, მაძევს,
მადევს); გვერდს—ინგ. გვერც (ახლოს)=მესრ. გუერც (სამი ქრონ., 89).
ამავე კანონისა გამო: ათსამეტი=ათუმეტი=უმეტი (პ-ნი ყველგან
გამოტოვებულია: (პ) თერმეტი, (პ) თორმეტი, (პ) ცამეტი).

რა ცეცხლი დგა
თ ქსა ზედა მისია
შეიძლ წილად მზიას
უბრწყინვალესი

... . გითარცა ცეცხლი
დგა და გითარცა
ალი გეზებოდა
ზედა თავსა ჯუა-
რისია სამგზის
მზიას უბრწყინ-
ვალესი

ცეცხლი დგა და
გითარცა ალი აღა-
ბებოდა ზედა
თავსა ჯუარისია
შედგებოდა მზიას
უბრწყინვალესი

გითარცა სახმილიას
საბრწყელი ად გ-
ლენ, ეპრე სახედ
ანგელოსი დეთი-
სანი ადგიდოდეს
და გარდამოვიდო-
დეს მას ზედა

ზედა დაად-
გრამას ვით-
არცა საქმი-
ლისა ვალი
და გადიდებად,
... . ეგრც სახედ იეთ:
ადგიდოდეს ანგე-
ლოზი და გარ-
დამოვიდოდეს ზე-
და პარიოდსასა
ჯუარისა

და გითარცა საკუ-
მილიას რა ნაბერ-
წელი ადგილი ძლ-
იერად, ეგრც სა-
ხედ ანგელოზი ა-
დგიდოდეს და გა-
რდამოვიდოდეს
პატიოსისა ჯუა-
რისა

სოლო ბორცვი იგი
ჯუარისა იმეროდა
ძლიერად და გი-
თარცა სასწაული
იგი დასტრებოდა,
ეგრეთე ძრვა იგი
დასტრებოდა

სოლო ბო-
რცვი ფურისა ისარებ
... . და ძლიერად და
უოველი შეუენა
იძრებოდა და მთა-
თა და ბორცვთა და
დელეთა არმერი
სულელებისა და
ალიდოდა ცამდე
და კლდენი შეა-
შესრულდეს და სუ-
ლელებად დიდა-
ლი შეფეინებოდა
უოველი შეუენასა
და ესე არა ზედა-
მთათ იყო და არ-
ცა თანა წარსევლით,
არამედ მუშაორ ქაშ
და კმანი დიდი

სოლო ბორცვი იგი
ჯურისა და იზილუ-
ებდა ძლიერად და
უოველი შეუენა
იძრებოდა და მთა-
თა და ბორცვთა
და დელეთა არ-
მედი სისლისა
სულელებისა ალ-
კიდოდა, კლდენი
შეიმუშროდეს და
სულელებად დი-
ლი შეფეინებოდა
უოველი ზედა
შეუენასა და ესე
არა ზედამთათ
იყო, არცა თანა
წრტაცებით, არა-
მედ მუშაორ ქაშ

(აკლა)

ისმოდეს და ეთ-
ველი იგი ერთ
ჭედებიდა მას და
ესმოდა თხრად იგი
კალაბისად
ემანი დიდი გაფო-
რისა და ესმოდა
რიცხა იგი გაფო-
რისა და მას

გითარცა იხილეს
სასწაული იგი,
დაუკრძა ეფექტ-
თა კურსად და
უმეტესად ადიდ-
ებდეს ღმერთსა

შეშინდეს და დაუკრ-
ძა ფრიად, შიშით და
ძრწოლით თავების
სცემდეს პატიოსანსა
ჯურსა და სისარულითა
დიდითა ადიდებდეს
ღმერთსა

შეშინდეს და უკრძა
ფრიად. სიღვამ იგი
განუკრძებოდა, შიშით
და ძრწოლით თავების
სცემდეს პატიოსანსა
ჯურსა და სისარულითა
დიდითა აკურთხევდეს
და ადიდებდეს ღმერთსა

და ვითარცა
იქმნებოდეს სა-
სწაული იგი
წლითი წლად და
უფელი იგი ერთ
ხედებს, შიშით
და ძრწოლით მო-
გიდოდეს თავება-
ნისცემად გულს-
მოდგინედ

და იუთ რაოდენისამე
ჟამისა შემდგომად გითა-
რცა სასწაული და სიღ-
ვამი დასცხერებოდეს ებ-
რევე ძრვანი იგი დიდ
დიდი და საშინელი
დაკასცხერეს და შემდგ-
ომად ამისა სხეანი შრა-
ვალი სასწაული და ნი-
ში იქმნებოდეს ზედა
პატიოსანსა ჯურსა ზე-
ცოთ გარდამო და ჭედ-
გიზა უფელი ერთ და
შიშით და ძრწოლით
მიყდენედ თავებანისცე-
მად გულსმოდგინედ პა-
ტიოსანსა ჯურსა და
სისარულით ადიდებედ
ღმერთსა

და იუთ რავდენისამე ჟა-
მისა შემდგომად, გითა-
რცა სასწაული იგი და
სიღვამი დასცხერებო-
დეს, ეპრეცა ძრვად იგი
დიდი და საშინელი და-
კასცხერებოდა და შემ-
დგომად ამისა სხეანი
შრავალი სასწაული იქ-
მნებოდეს პატიოსანსა
ჯურისა ზედა ზეცოთ
გარდამო და სხეანი მას
უფელი იგი ერთ და
შიშით და ძრწოლით
მიყდენედ და თავების
ცემედ გულსმოდგინედ
პატიოსანსა ჯურსა და
წარვიდიან სისარულით
და ადიდებედ ღმერთსა.

შას ქამისა რეგის ძესა
მეფისასა ესვა ურმა
მცირე წელი, და
იყო სხეულ და მიწევ-
ნებ იყო სიკუდილად,
და იგი ღვდებ მხოლო
ესვა შათ

მ.ს ქამისა იუდ ვინძე
გაცი ერთი მაშაბი
ღუთისა, რომელსა
ერქუა რევ, ძო შეფი-
სა, და იყო მო რე-
ვისა სხეულ და მი-
წევნებ სიკუდილ

შას ქამისა იუდ ვინძე
გაცი ერთი შთმაში
მღვთისა და მსახუ-
რი ქრისტესი, რომ-
ელსა სახელი ერქუა
რევ, ძე შეფისა და
იყო ძე რევისი სხე-
ულ და მიწევნებ იყო
იგი სიკუდილ

მოიდო და დადგა იგი
წინაშე ჭარისა წმი-
დისა და ცრემლით თო-
სოვდა

რამეთუ იგი სოლო
მარტით ესუა: მოი-
დო იგი და დადგილ
წინაშე პატიოსნისა
ჭარისა და ცრემლით
თოსოვდა მისკან:

რამეთუ იგი სოლო
მარტით ესუა მას.
მოიდო იგი და დადგილ
წინაშე პატიოსნისა
ჭარისა და ცრემლით
თოსოვდა მისკან:

უგეთუ მომიბოძო
ურმა ესე ცოცხალი,
აღგაშენო კუბა
საუდლად შენდა

ებეუთუ მომიბოძო
ურმად ესე, გუმბადი
აღგაშენო საუდლებად
შენდა.

უგეთუ მომიბოძოს
ურმად ესე ჩემი,
გუნბადი აღგაშენო
საუდლად შენდა.

და მუნთქესვე განი-
გურნა ურმა იგი და
განეგურნებული და გან-
ცოდნებული წარი-
უგასა

და ვათარცა იგი მწა-
რედ და უწევინდ ტა-
რდა წინაშე პატიო-
სნისა ჭარისა, მუნ-
ქესვე განიგურნა ურმად
იგი და სისარელითა
დიდითა წარიუგანა და
აღიდებდა დშერისა
და პატიოსნისა ჭარისა

და ვითარცა იგი მწა-
რედ და უწევინდ
ტარდა პატიოსნის
ჭარის წინაშე, მუნ-
ქესვე განიგურნა ურმა
იგი მისი და სისა-
რელითა დიდითა წა-
რიუგანა ურმად იგი
მისი განეგურნებული
და განცოდნებული
და აღიდებდა დშერთ-
სა.

...მაერითგან უფრო
მოვიდოდეს უფეხინი
უძლურნი და სხეულ-

...და მიერითგან უფ-
როხს და და უშემტეს
მოვიდოდეს სხეული

... მიერ ქამითგან
უფროს სოლო და
უშემტეს მოვიდოდეს

ნი, განიკურნებოდეს	მრავალზი და უძღურ-	სწეული მრავალზი
დასიხარულით ადიდებ-	ნი და განიკურნებო-	და უძღური და განი-
დეს ჭუარსა წმიდასა	დეს და სიხარულითა	კურნებოდეს და სიხა-
ქრისტესა	ადიდებდეს დმირთსა	რულით ადიდებდეს
	და შატითსანსა ჭუარსა	შატითსანსა ჭუარსა

შედარება გვიჩვენებს, რომ ოუმცა ვარინტი № 144 გადაწერილია მე X—XI საუკუნეები, გარნა მას უფრო ძველი ფორმები დაუცავს, ვიდრე დანაშთენს ვარიანტებს, მისი ძველი ფორმები გაუმარტივებიათ, შეუმოკლებიათ. მაგალითები:

№ 144

შატი. ქრებ.

მორამიქცა	რაჟაშს მოიქცა
მასწავეს	გუასწავეს (მა==გუა)
ხედავნ	ხელვიდა
თაყუანისცემედ	თავყუანისცემედ
და მეყსეულად აღდგა	და მეყს აღდგა მეფე
მეფე იგი სიხარულით და	იგი და ყოველმან ერმან
ყოველი ერი მისთანა,	იხილეს სახე იგი
მივიდეს ხილვად ნიშისა მის	ჯუარისად მის და
ჯუარისა და ში იხილეს	უკკრდა ფრიად
სახე იგი ჯურისად	
მის უკკრდა ფრიად	

ხედავნ, მივღენედ, თავუანისცემედ... ქართ. ცხოვრება ში გადაქცეული ხედვდეს-ად, მივიღოდეს-ად, თაყვანისცემად და სხ.

2. აი კიდევ ერთი ადგილი როგორ შეურყვნია მატიანის შემმუშავებელს, ადგილი, რომელიც ყოფილა დამყარებული ერის გადმოცემაზე, რომ ქვეყანა გეშაზე დაურდნობდათ და მისი განძრევა მიწის ძვრის მოავლენსო.

Əsərəsənə (əzə. 85)

ଜ୍ୟୋତିଶ୍ରୀ ପାତ୍ରମହାନ୍ତିର (୩୩. ୩୮)

...იძრინ ქვეყანად სიმძაფ-
რითა და ჰიბინ გეხისტეხანი
და ყოველსა მთასა (?) ეგზე-
ბინ გულისწყრომითა მათი-
თა; ანუ ოდეს შეიძრას ყო-
ველი ქვეყანა ვიღრემდის
დაირლვიონ მთან და მყარნი
კლდენი და ქვანი.

იძგრინ ქუეყანად სიმძაფრითა
მისითა და რბილდიან მეხისტე-
ხანი კუალსა მისსა, ეგზებინ
ცეცხლნი გულიშვილმითა მი-
სითა, ანუ ოდეს შეიძრის ვე-
ჟაპი ივი ლიდი, რომელ არს
ზღუასა შინა და შემჩნეს ყოვე-
ლი ქუეყანად ვიდრემდის და-
ირლვან მთანი მყარნი და კლდენი.

როგორც ვხედავთ, კეთილმსახურ შემმუშავებელს მატიანილგან გმოუდევნია ყოველივე, რაც ბუნების ძალით ხდება და არა ლოთის ბრძანებითა და ძლიერებით

8. „နှုန်းတွေ့ကျပ်စာ“ ပြော-စောင်းဆောင်ရွက်ခဲ့သူများ၏

შართლის ცხოვრების ძველს ნაწილში, ზოგიერთგან, მე-
ფობა ამა თუ იმ ხელმწიფისა არეულია, წინა-უკმო გადატანილ—
გადმოტანილია. ვის შეეძლო მოქედინა ასეთი არევ-დარევა,
თუ არა მკაზმავს და ანუ ვისმე წინდაუხედავს გადამწერს?! მა-
გალითებიც გვაქვს. შატბერდის კრებული და მეათე საუკუნის
საგალოობელი მკაზმავს რვეულების არევით აუკინძავს. გამოუ-
ცდელს კაცს რომ ამ ძეგლებიდამ გადაეღო პირი ისე, რო-
გორც აკინძულია, ახალს წიგნში და მისგან გადაწერილებში
დიდი ანახრონიზმები იქნებოდა. შეიძლება ესრო მოსვლოდეს
ქართლის-ცხოვრების ძველს ნაწილსაც, რომლის სათანადოდ
შესწორება დღეს მნელი იღარ არის, რადგან, ჩვენს წყაროებს
გარდა, ხელო-გვაქვს ბერძენ-რომაელ მწერლების ნამბობიც
ჩვენის მეფეების შესახებ.

1. მეცნა არტიგი (ქართ. მოქცევით არაძი) ქართლის ცხოვრებითაც ცხოვრობ. იმ უამს, როდესაც პონტოს მეცნა მიტრიდატ დიდი ებრძოდა რომაელებს (120—63 წ.). და

როდესაც პლუტარხისა, აპპიანისა და ფლორის მოწმობით ივერიაში მეფობდა ორთხების Arthoces.

პრიკი შეიძლება იყოს იმავე დროის რომელიმე მეფე ქართველთ თემისა, კოლხიდისა ანუ ალბანიის. ამ ალბანიის მაშინდელ მეფეებს ერქვათ: ორისტარქოს (გან, 166), Orhozes (იქვე, 172), Orosiēzēs (იქვე, 165), Horoses (იქვე, 172), Orodes (იქვე, 192).

2. შრისტეს დაბადების საუკუნის მეფობანი არეულია, თუმცა და ამ საუკუნის ქართველთ ისტორია ჩვენს წყაროებშიაც და ბერძნულ—რომაულებშიაც, საზოგადოდ, ერთნაირია. მოგვყავს მოკლედ ესეცა და ის მოთხრობაც.

3. პარველი საუკუნე

ქართლის-ცხოვრებით

პარველი საუკუნე

ტაციონი (გან 115-123 173 და სხ.)

ასტყდა ომი პართელთა, ქართველთა და სომებთა შორის. სპასალარმა სუმბატ ბიგრიტიანმა მოჰკლა სომებთ მეფე იარვანდი და მოკლულის ძმა არტაშატი (არტაშანი) გაამეფა. ქართველებმა მოიწვიეს ოვნი, ლევნი, პაჭანიკი, ძურძუქნი, ღიდონი და ჯიქნი, შეესივნენ სომხეთს, ლაარბიეს შირაკაუნი და ვანანდი შაპრევანამდე და ბასიანამდე და დიდის ნაშოვრით დაბრუნდნენ კამბეჩანს.*)

მარდი სუმბატ დაეწიათ და დაამარცხათ. ქართველები ამის შემდეგაც არ ეხსნენ

შართველთა და სომებთ ურთიერთ შორის ბრძოლამ გამოიწვია დიდი ლელვა პართელთა და რომელთ შორის. იმპერატორი ტიბერიოს (14—37) ივერთა და ალბანელთ მეფეებს აქეზებდა პართის მეფე არტაბანისთვის აეტენათ ომი. ივერიაში მეფობდნენ მიტრიდატი და ფარსმანი, ძენი მიტრიდატისა. ამათ შეისმინეს ტიბერიოსის სიტყა. გააღეს კასპიის კარები, მოიწვიეს სკვითნი და მიესივნენ არტაბანს, რომელსაც სომხეთი დაეჭირა. სკვითებმა გააოხრეს ეს მხარე და დაბრუნდნენ. იმპერატორმა ხელისხლა მიუსია-

*) კამბეჩანი=კამბეჩანი=სტრაბონის *კამბეჩენი*

სომხეთს: ორბევლნენ მას მა-
რადის და ოხრებლნენ.

შართველების წინააღმდეგ
ამხედრლნენ პართის მეფე
არტაბანი და სუმბატი, გარნა
ივინი ორც კი შემოსული-
ყვნენ საქართველოში, რომ
ასტყდა ომი საბერძნეთსა
(რომსა) და სპარსეთს შორის
და ორტაბანი, რომელსაც
ქართველებმა ოლუთქვეს მშვი-
დობა, დაბრუნდა, რომ მიე-
მხროს სპარსელებს.

ქართველები მალე ისევ
შეებრძოლნენ ორტაბანს, რო-
მელმაც მტრების წინააღმდეგ
თვისი შეილი ზარენი გამოა-
ლაშქრა. ქართველებმა დაა-
მარცხეს პართველნი, ზარენი
შეიპყრეს და დარიალანში
დაამშუცვდის. ოსები ქართვე-
ლების მომხრენი იყვნენ.

ამის შემდეგ მესამე წელს
გამოილაშქრეს სუმბატმა და
ბატონი შვილებმა ორტავაზმა
და ტიგრანმა. ქართველებმა
და ოსებმა ზარენი მისცეს და
იგინი დაბრუნდნენ. გამეფ-
დნენ არმაზს ფარსმან - ქვე-
ლი და მცხეთას მირდატ, ძე-
ნი ამაზასპისა და დეროკისა.
მირდატი ბოროტი კაცი
იყო და სპარსელებს მიემხრო,
ფარსმანი ქველი იყო, ახო-
ვანი, ძლიერი, კეთილი, და
დაამარცხა მირდატი. ფარსმა-
ნის მშელელი და მწე იყო
მისი ახოვანი სპასპეტი ფარ-

მიტრიდატი სომხეთს. ფარსმა-
ნიც მისი შემწე იყო. ორშავი
მოჭკლეს 35 წელს, ქართველებ-
მა აიღეს ორტაქშატი.

პართის მეფე არტაბანმა ქარ-
თველების წინააღმდეგ გაგზავნა
თვისი შეილო ოროდი. ფარსმა-
ნმა მოიწვია სარმატნი და მოე-
მზადა საბრძოლიდ. „აქ გმირე-
ბია, იქ დავლოო“, ეუბნებოდა
ლაშქარს მეფე. რწამს გამოჩნ-
და ოროდი, მეფე ელვასავით
მიუხდა, ცხენი დაატაკა, პარ-
თელნი იძლივნენ. ამის შემდეგ
გამოილაშქრა თვით ორტაბანმა,
გარნა შეიტყო-რა, რომ რომა-
ელნი შეესივნენ შუამდინარესო,
დასტოვა სომხეთი, საცა გამეფ-
და მიტრიდატი, ძმა ფარსმანი-
სა.

პართელთ მიიწვიეს ვარდა-
ნი, კაცი გამჭრიახი. მიტრიდატს
შველოდნენ რომაელნი და მის
ძმას მეფე ფარსმანს რადამისტი,
კაცი ფრიად მოხერხებული.

რადამისტი შეებრძოლა თვისი
ბიძას მიტრიდატს, დაამარცხა,
წაახრჩო და გამეფდა სომხეთში,
გარნა რომაელებმა მოსთხოვეს
ფარსმანს გამოეყვანა სომხეთი-
დამ რადამისტი.

52 წელს პართის მეფე მო-
ნდომა სომხეთის ტახტზე დაე-
სო თვისი ძმა ტირიდატი. გარ-
ნა ეს ვერ შესძლო. სომეხთ გა-
მოაძვევს რადამისტი, რომელიც
მოჰკლა (59 წ.) მისმავე მამამ
ფარსმანმა.

ნავაზი. სპარსელებმა მიიბი-
რეს მეფის შზარეული და მთა-
წამვლინეს. ფარსმანი რომ
მოკვდა, მირდატმა ისევ დაი-
ჭირა თავისი წილი სამეფო.

ფარსმანის ძე აღამი წავი-
და სომხეთს. რომაელნი და
სომეხნი დაეცნენ მირდატს
და მოჰკლეს ადამის შემღებ
გამეფუდა მისი ძმა ფარსმან
(ქართლის მოქცევით: მირ-
დატ)

75 წელს ვესპასიანე ივერთ
მეფე მიტრიდატს, ფარსმანისა
და იამაზდის ძეს, რომაელთა
ერის მეგობარს, უშენებს ციხეს.

მსგავსება მოთხრობათა, ზოგიერთ წვრიმალებს გარდა,
შესამჩნევია. შესანიშნავი აქ ის არის, რომ, როგორც ჩვენი
შატრიანეც მოგვითხრობს, მაშინ საქართველო მართლაც ორ
სამეფოდ ყოფილი გაყოფილი და არმაზის მხრისას სომხეთიც
სჭრია.

ამ სახით, ვხედავთ, რომ ჩვენს მეფეებს 1-ლს საუკუნეში
უმეფნიათ ამ რიგიდ:

მიტრიდატ*) I (14 წლამდე ქრ. შ.

მიტრიდატი II, ფარსმან*) I

მიტრიდატ III, რაღამისტ († 59 წ.)

ფარსმან II

*) მიტრიდატ ანუ მითრადატ სპარსულადა და ქართულად იგივე
მირდატია.

**) ტიბერიოს თანამედროვენი იყვნენ დიონ-კასიუსით (გან, 178).
ტიბერიოს 14-დან 37 წლამდე მეფობდა.

დ. ფარსემან II და მე მისი ამაზასში

შთიღდამ ჩამოვიდა დიდი ჯარი ოსთა. მცხეთიდამ მათ წინააღმდეგ გავიდა 30,000 მეომარი. ოვსნი წარიქციეს. ფარსმანის ძე ამზასპი წაეჩეუბა თავის დიდებულებს და სომხებს. წაედავნენ მას მეგრელი, კლარჯეთის ხუთინი მთავარნი და სომხენი. ამათ შემწედ მოიწვიეს რომაელნიც. ამზასპი დაამარცხეს, მოჰკლეს.

ფარსმანი, მეფე ივერთა, დიონ კასიუს თქმით (გან, 173), იწვევს ალანებს ანუ მასაგეტებს და უსევს პართელებს. რომაელთა შოშისა გამო ვერ შეესივნენ სომხეთსა და კათბაღუკას. პართელებმა, სცნეს-რა ვერაგობა ფარსმანისა, რომს წარგზავნეს ელჩები და უჩივლეს მას; გარნა ფარსმანი თვით წავიდა რომს თავის ცოლითურთ. იქ გაიმართლა თავი იმპერატორი არჩიანესა და სენატის წინაშე; მას მამულები მოუმატეს და დიდი პატივი სცეს რომში და ნება დართვს კაპიტოლიაში მსხვერპლი შეეწირა; ბელლონის ტაძარში აღუმართეს ანდაღმა 138 წელს.

იმპერატორი ადრიანე (117 — 138 ა. ც) ერთს შეფეს ისეთს პატივს არა სცემდა, ვითარცა ივერთა მეფეს და არც არავის იმდენს საჩუქრებს აძლევდა, რაზდენსაც ამ მეფეს. ქართველ მეფეს მრავალ სხვა საჩუქრთა გარდა, გამოუგზავნა სპილო და 500 კაცი მცველად. ფარსმანისაგნაც მიიღო ძღვნები და, სხვათა შორის, ქლამიდი.

ფარსმანი რომ მივიდა რომს უფრო ანტონინე პის ულოლიავებდა, ვიდრე ადრიანეს. ანტონინე პიმ ლაზთა მეფედ დანიშნა პაკორი (ბაკური?)



საქართველოში იყო რამდენიმე მეფე, რომელთაც ბატუმი
რი ერქვათ. პაკორი, დანიშნული ლაზთა მეფედ ანტონინე პი-
ოს მიერ (138—161), ალბად, იყო ბაკური, რომელიც ვა-
ხუშტის ქორონიკონით მეფობდა 231-დამ 246 წლამდე.

1. მე-23-ე მეფედ ითვლება ასპაგური, ეგ მირდატისა, და
ვახუშტის გამოთვლით მისი მეფობა ხვდება 262—265 წლებს.
მატიანეს თქმით, სპარსეთში ამ დროს მეფობდა ქასრე არდა-
შირიო.

მს სულ ანახონიზმებია. ამ დროს სპარსეთში მეფობდა
საფორ I (240—271).

შერძენთა მწერლები ამბობენ, რომ ივერიაში ასპაგური
და მასთან ერთად სავრომაკი მეფობდნენ საფორ II დიდის უაშს
(309—380) და იგინი საქართველოში ხელმწიფებდნენ 368—
374 წლებში.*)

შექველია, გადამწერსა და შემმუშავებელს საფორ I და
საფორ II აურევია და რადგან ასპაგური საფორის უაშს იყო,
ამიტომ აღარ გამოურკვევია, თუ რომელის საფორის დროს
მეფობდა და საფორ I-ის თანამედროვედ ჩაუთვლია.

რომ ეს ასრე უნდა ყოფილიყო, მტკიცდება იმავე ვა-
ხუშტის მოწმობით, რომელიც მე-23-ე მეფედ სოფლის ასპა-
გურის თანა-მეფეობს სავრომაკს=საურმაგს (გეოგრაფია, გვ.
292) და მითაც, რომ ქართლის მოქაევად მირიან მეფეს,
კითომდა ასფაგურის სიძეს, სოფლის ლევისძედ და არა სპარსთა
მეფისა.

2. დევი, მამა მირიანისა, ალბად, იყო რევი, რომლის
მეფობა ვახუშტით ხვდება 186—213 წლებს.

ამ შემთხვევაში, მირიანი ქრისტიანულს აზრებს საკმაოდ
შეითვისებდა თავის მამის ლევისაგანაც (რევისაგან), რადგან
ამას „მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესი
სმენოდა და აქუნდა რამე სიყვარული ქრისტესი“.

3. მირიანის მემკვიდრეა ბაჭყარდ, ხოლო რუფინი, მწე-
რალი მე-IV საუკ. დასაწყისისა, ამბობს, რომ საქართველოს

*) გან, 185, 187.



მოქცევის ამბავი მიამბო ივერით მეფისძემ ბაკურმაო, ფრიად სანდაკარ კაცმაო.

ბაკურის შემდეგ ტახტზე აღვიდა მისი შვილი მირდატ (—მერიბან ბერძენ-რომაველ მწერლებისა). მერიბან ცოცხალი იყო 361 წელსაც (გან, 181).

4. შემდგომ მირდატისა (მერიბანისა?) მეფობდა გარაზ-ბაკური (379—393 წ. ვახუშტის ქორონიკონით). გარნა ესრეთი ქორონოლოგია რომ შეუფერებელია ვარაზ ბაკურის მეფობისათვის, სჩანს ამავე მეფის და მის ძის მურგანოზის ცხოვრებით.

ამათი „ცხოვრება“ გვეუბნება (ქ. ცხ., 103): „იმპერატ. თეოდოსი მცირე (414—450) და სპარსთა ყაენი წაიჩნებნენ სომხეთის გულისთვის და ომის დაწყების წინად იმპერატორმა მოსთხოვა გ.-ბაკურს მისი მოკავშირე ყოფილიყო და მზევლად გაეგზავნა მისთვის საკუთარი ძე, მურგანოზი. და მეფემაც გაუგზავნა იმპერატორს თავის 12 წლის ვაჟი, მურგანოზი და მასთან მრავალი სეფეწულნი. მეფის ძე დიდის დიდებით მიიღეს კოსტანტინეპოლიში თეოდოსიმ და მისმა მეუღლემ ევდეკიამ. მურგანოზი იქვე აღიზარდა, მერე წავიდა იერუსალიმს, ბევრი იღვაწა და შეიქმნა მაიუმის ეპისკოპოსად.*)

შოველივე ეს მსოფლიო ისტორიით იყო 414—431 წლებში, ვინაოთგან ომი თეოდოსისა და ყაენს ბარაშს შორის დასრულდა დაახლოებით 431 წელს.**)

ჩვენს ავტორებს კი თეოდოსი მცირე თეოდოსი დადგის უამს გადუყვანიათ და მისი მეფობის წლები ვ.-ბაკურის მეფობის წლებადაც ჩაუთვლიათ:

თეოდოსი დიდი 379—395.

ვარაზ-ბაკურ 379—393 (?)

5. მე-30-ე მეფედ სწერია მირდატი,***) გარნა ქართლის-მოქცევით ეს მე-30-ე მეფობა უკავია თრდატს. გარდა ამისა,

*) H. Mapp. Житие Петра ивера (правосл. пал. сбор., ч. XII, გამოც. 2)

**) ე. გიბბონი, 531—533.

***) ვახუშტით მეფობდა 408-დამ 4:0 წლამდე.



ამ მირდატის ცხოვრებაში გვხვდება არაბული სახელები — უძაბრიანება რაბ, ბალდალი; მირდატი ამ ბალდალში ტყვედ წაიყვანესო და აწამესო.

ბალდალი გააშენა აღ-მანსურმა 750 წელს. მაშასადამე, ამ წლის მირდატს ვერ წაიყვანდნენ „არაბნი“ „ბალდალი“.

მირდატის ცხოვრებაში მოხსენებული უბ-არაბი, ვინ იცის, იყო ის აბუ-არაბი, რომელიც ერია არაბთა პირველს გამოლაშერებაში მეფის მირისა და იმპერატ. კოსტანტინე პოლინატის (668—685) უმს. „მირდატი“, იქნება, თვით მირია, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრეს არაბებმა ბრძოლის დროს.

რომ ყველა ამათ მეფობის უამი არეულია, ეს სჩანს იქიდამაც, რომ მირიანის წინადაც მეფობენ ბაკური, მირდატი და ასფაგურ და შემდეგაც კიდევ ბაკურ, მირდაც და ბაკურ (ვარაზბაკურ). ვარაზბაკურად ჩვენ მიგვაჩნია ასფაგური *), ხოლო ყველა ამათ მეფობის რიგი ასრუთა უნდა ყოფილიყო: ბაკური (ბაკორი)—რევ (ლევ) მართალი, მირიანი, ბაკური, მირდატი, ასფაგური და სავრომაკი ერთად; ფარსმან, მირდატ.

0. ვახტანგ გორგასალი (446—499 ვახუშტით).

რომ ვახტანგს ამ დროს (446—499) არ უმეფნია, ცხადად სჩანს თვით ამავე მეფის „ცხოვრებიდან“ და აგრეთვე სხვა და სხვა წყაროებიდამ.

1. ვახტანგ გორგასალი იყო, საბერძნეთზედ გალაშერების წინად, 22 წლისა (ქ. ცხ., 121)... და მირიანის აქეთ გასულიყო 157 წელიწადი. რახან მირიანი † 342 წელს და 342 † 157 შეადგენს 499 წელს, ამიტომ ვახტანგი ამ დროს მოკვდარი კი არა, როგორც იმტკიცებს ვახუშტი, არამედ ჯერ ისევ 22 წლის ვაშკაცი ყოფილა.

2. 499 წელს ვახტანგი ყოფილა 22 წლისა, მაშასადამე დაბადებულა 477 წელს (499—22).

*) ვარას-ბაკური — (ვარას) — ფაგური (იხ. ქვემო მნიშვნელობა სიტყვისა „ბაკური“).

3. როდესაც ვახტანგი 60 წლისა სრულდებოდა, ქალა კონსაკი მომიკვდაო, ტფილისის შენება იწყო წინანდელ სოფლის ტფილისის ადგილას. ამ შენებაში იყო გართული მეფე, როდესაც ყაენმა ხოსრომ ეღნი გამოუგზავნა და შემოუთვალია, მამა მომიკვდაო, ტახტზე მე ავედიო, საბერძნეთზედ ლაშქრობას ვაპირებ, უნდა დამეხმაროო. მეფემ უვარი შეუთვალია. ხოსრო საქართველოს დასარბევად წამოვიდა. უჯარმის ბრძოლაში ვახტანგი დასჭრეს და ამ კრილობით მოკვდა.

რომელი იყო ეს ხოსრო?

ოსეთზედ გალაშქრების შემდეგ ვახტანგის „ცხოვრებაში“ მოხსენებულია ოთხი გარდაცვლილი ყაენი და ერთიც ახლად გამეფებული (ქ. ცხ., 133—146). ესენი იყვნენ:

ორმუზდ III და მისი მამა ფირუზი († 488)

ბალატი ანუ ბალაში (488—491)

ძობად I (491—531)

ხოსრო I (531 13 სეკდ.—579)

შველა ამ ცნობებით სჩანს, რომ ვახტანგი მომკვდარა ხოსრო I-ის უამს, დაახლოევებით 537 წელს ($477 + 60 = 537$).

4. რომ მართლაც ვახტანგი მკვდარი არ ყოფილა 499 წელს, ეს მტკიცდება კიდევ მით, რომ კათალიკოსი მან დაადგინა „მირანდისაგნ 170 წელს“ ($342 + 170 = 512$).

ვახტანგ გორგასალი ანუ გურგასალი არის, რასაცირველია იგივე ბერძნ-რომაელ მწერლების ივერთა მეფე გურგენი, რაიც ცხადდება ქართლის-ცხოვრების ქორონიკონითაც და ხსენებულ უცხოელ მწერალთა ცნობებითაც.

შედარებანი.

გურგენი

ბურგენი სპარსების შიშით
მიდის საბერძნეთს და იქ შოება 8 წელიწადი (521—527).

გურგასალი

ბორგასალი 8 წელიწადი საბერძნეთის და „ინდოეთის“ ომშია და ამ დროს საქართველოში მეფობს მისი შვილი დაჩი (შეად. თეატიოს)



როდესაც ივერთა დიდებულნი და მათი მეფე გურგენ, რომაელებს მიემხრნენ, სპარსელებმ ამდროდგან უფლებაჩა მოართვეს ამოერჩიათ თავისოფის მეფე (გან, II, 17).

„შინადგან მოაკლდა მეფე უფლებობის მიზანისათვის, მით უამითგან უფლება ეცყრა ქართლისა აზნაურთა, არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგან. მას უამსა მცხეთა ათხელდებოდა და ოცილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალა განდიდებოდა. სპარსთა დაეპყრა სომხითი, ქართლი და ასფურაგანი“ (ქ. ცხ., 163). ქართველნი მეფეს ითხოვდნენ ბერძენთა ხელმწიფისაგან (იქვე).

ამ დროს (იუსტინიანეს ეპოქა) ევროპა შეაძრწუნა ლელეამ, რომელმაც გააცნო დასავლეთი თურქთა სახელს. ამათ დაიპყრეს ბევრი ქვეყნები და სპარსეთსაც მუქარა შესთვალეს... (გიბბონ, 18, 481). ამ ბაგრატოზთა გამოჩენამ მეგობრობა ჩამოაგდო იუსტინიანესა და ხოსროს შორის („საუკუნო ზავი“ დასდეს ურთი ერთ შორის).

სპარსეთში მოპხდა დიდი ლელვა, ვინაითგან მას შეესიათურქთა მეფე. ხოსრომ დასტოვა საქართველო და რანი და სწრაფად წავიდა სპარსეთსა მაშინ ზემო ქართლისა და ქვემო ქართლის ერისთავებმა იმპერატორისაგან ითხოვეს მეფე და მან გამოგზავნა კლარჯეთ-ჯავახეთის მმართველი გურამი, გორგასლის ძის მირდარის დის წული. იგი ალიარეს მეფედ 575 წელს (ქ. ცხ., 161).

ბერძენ—რომაელების კოლხიდის თემი კადარძენე (იხ. კიპერტის რუკები) არის იგივე ქართველთ კლარჯეთი; აქედგან მოვიდა ვავრამი ბაგრატიონი (570—600) და, ალბად, ამავე ვარს ეკუთვნოდნენ ცნობილი გუბაძეები გიმარჯელის და დიდი შემწეობასაც აძლევდნენ იმპერიას, როდესაც

ამ ბაგრატიონ „ერისთავების“ (ბიზანტიურ წყაროებით— მეფე გუბაძეების), კლარჯეთის მმართველების, ძალა დიდი იყო და დიდს შემწეობასაც აძლევდნენ იმპერიას, როდესაც

ეს სახელმწიფო ეომებოდა სპარსეთს და არა თუ 570 წლამდე, არამედ შემდეგაც, როდესაც არაბი გამოჩნდნენ.

რომ ვახტანგი დიდის კუუის მეფე იყო, ეჭვს გარეშეა, აბობოქრებულ დიდ ბუმბერაზებს, ბიზანტიისა და სპარსეთს, სამეფო არ ჩაიყლაპინა, სცილლასა და ხარიბდას შორის მშეი-დობიანად გამოატარა და ნება არ მისცა მტრებს გაეყოთ საქარ-თველოც ისე, როგორც ამის წინად ბიზანტიიამა და სპარ-სეთმა გაიყვეს სომხეთი.

აქ ვათავებთ ანახრონიზმების შესახებ ლაპარაკს. შემდეგი ღროის მეფეების „ცხოვრების“ ემოწმებიან ამ მეფეების მიერ მოქრილი ფული, ცნობები ბიზანტიური, არაბული, სომხური და ქართული.

დ. ქართლის ცხოვრების დამბეჭდველი

პირველი ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“, როგორც თავშივე ვთქვით, გამოუცია მ. ბროსეს, მეორე კი დაუბეჭდია დ. ჩუბინაშვილს

მართლის ცხოვრებაში მის გამომცემლებს შეუტანიათ ვახტანგის შრომის ისტორიული ნაწილიც. ჩვენ უკვე ვიცით („მოამბე“, 1902, № III), რანაირის შეცდომებით და დამახინ-ჯებით დაუბეჭდიათ ეს შესანიშნავი შრომა ვახტანგისა, რანა-ირად აურევიათ ქორონიკონები, გადაუსხვაფერებიათ ავტო-რის აზრი აქა იქ და სხ.

თუმცა ჩვენ ხელთ არა გვაქვს დაბეჭდილის „ქართლის ცხოვრების“ პირველის ნაწილის დედანი—ხელთნაწერი, გარნა თეოთ დაბეჭდილის საზოგადო განხილვაც ნებას გვაძლევს გან-ვსაჯოთ, რა ნაირად გამოცემულია ქართველთ მატიანის ეს ნაწილიც.

დედანშიაც რომ ყოფილიყო ისეთი შეცდომები, ვით ბულგადებული გულგდებულის მაგიერ, ხევარასნედი „ხევარა სნეულ იყო“ს მაგიერ, მათი შემჩნევა არ უნდა გასძნელობო-

და გამომცემელს და იგინი უნდა აღენიშნა შენიშვნებში. ჩვენ აქ ამისთანა შეცდომების აღნუსხვაზედ არ შევჩერდებით.

დღეს ჩვენს ხელში მყოფ წყაროების შემწეობით წავაჭ-
ყდით იმისთანა შეცდომებს, რომელთაც მხოლოდ გამომცემ-
ლის დაუდევრობით თუ გაუგებრობით გაურყვნიათ მემატია-
ნის ნაწერი.

1. ქართ. ცხოვრების 190 გვერდზე და Hist. de la
géorg“.-ის 265 გვერდზე ბროსეს დაუბეჭდია ქორონიკონი
შლ და მას უძლვნის შემდეგ შენიშვნას: „თარილი უცნაურია,
ვინაითგან შესდგება ორის ციფრისაგან—80 და 30, გარნა
რაიმე მნიშვნელობა მაინც ექნება.“

მარიამის ვარიანტში შლ-ს მაგიერ ზის კლ, რომელიც
უდრის 830 წელს.

2. ქართ. ცხოვრების 176 გვ. და Hist....-ის 241 გვ. ბროსე
ბეჭდავს უაზრო სიტყვას ფიუალთა ანუ ფიუალთა და სცდილობს
მის ახსნას (შენიშ. 4). გარნა შეცდომა მარტივია. დავით და
კოსტანტინე მთავრების „ცხოვრებაში“, ფიყალთას მაგიერ
წევალთა სწერია, და რომ ასეთი ვარიანტებიც არ გვქონდა,
მაინც შეგვეძლო, თვით ქ. ცხოვრების ნაწერის აზრით, მიმ-
ხვდარ ვიყავით, რა უნდა წერებულ იყო დედანში—ფიყალთა
თუ წყალთა.

მომყვავს აქ ის ნაწყვეტი, საცა „ფიყალთა“ გვხვდება, მით
უმეტეს, რომ ესვე ნაწყვეტი ჩაითვლება ნიმუშიდაც უუძველეს
დროის ქართულ ენისა.

ქ. ცხოვრება (გვ. 176)

დავითის და ქასტანტინეს წხა-
გრება (სამოხე, გვ. 328)

...უნები და ეტლები მდინა-
რისა კიდესა, რომელსა ჰქვი-
ან ცხენის წყალი. და იქმ-
ნებს სასწაულნი ზეგარდამო,

ჰუნები და ეტლები მდინარის
კიდესა, რომელსა ჰქვან ცხენის
წყალი. და იქმნებს სასწაულნი
ზეგარდამო ქუხილნი ელვანი და

ქუხილნი და ელგანი და ხარ-
შაკი ბლუარისა*), წვმანი მრა-
გაღნი და სასტიკნი და გვემ-
ნა იგინი სატლითა სისხლი-
სათა. განაღო პირი ქვეყანა-
ნან და ომიაცენნა სიმრავ-
ლენი ფაქტოთხნა და ზღვა
იქმნა ქვეყანა კმელი.

სეტყუნი და წვმანი მმაფინი და
სასტიკნი და განაღო პირი ქუმ-
ყანამან და ომიაცენნა სიმრავ-
ლენი წეაღთხნა და ზღვა იქმნა
ქვეყანა კმელი.

რომ ბროსემ გლახად იცოდა ქართული ენა და, საზო-
გადოდ, უხამსოდ თარგმნა ქართული მატიანე, ეს ეკვს გარე
შეა, თუ Hist. de la Géorgienne-ს შედარებით მის დედანთან.
აი კიდევ ერთი მაგალითი:

ქართლის ცხოვრება

თარგმანი ბროსესი

(გვ. 260)

(Hist. de la G., p. 377)

და თუარა, ქართულითა სპი-
თა ვერცარა ოლექსანდრე იქმო-
და კარგსა, და თუმცა დავითს
სპარსთა მეფობა ჰქონებოდა ანუ
ბერძენთა და ჰრომთა ძალი ანუ
სხუათა დიდთა სამეფოთა, მა
შინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი
და სხვათა ქებულთან!

Or, tout Alexandre qu'il
était, sans ses soldats Géor-
giens, il n'eût rien fait de bon.
Maitre de la monarchie per-
sane, disposant des forces
de la Grèce, de Rome ou des
autres grands empires, on eût
vu ce qu'auraient accompli
David et ses héros.

ბროსეს თარგმანის თარგმანი: თვით ოლექსანდრე (მაკე-
დონელი) უქართველო მეომრებოდ ვერას კარგს იზამდა...

თარგმანი სულ სხვაა და მისი ქართული დედანი სხვა!

მემარიანეს ამის თქმა უნდა (ქ. ც. 260): ოლექსანდრე
მაკედონელმა შეიერთა ძალნი ბერძენთა, იტალიელთა და ევ-

*.) ბლუარისა: უ-ბრჯგუ გამომცემელს დაუსობს, თორებ მე-VII
XVIII საუკუნეებდე უბრჯგუთი დაწერილი წიგნები ჩვენ არ გვინახავს.

როპელთა და მხოლოდ ამგვარად გაძლიერებულმა დაიპყრი ეფვიპტე, დაამარცხა დარიოზი და ინდოეთის მეფე პიროსი, გარნა თუ ამ მაკიდონელს, ვითარცა დაეით აღმაშენებელს, ებრძოლა მარტო ქართველთა ლაშქრით, ისიც დიდს ვერას იზამდა; გარნა თუ დავითსაც, ქართველ ლაშქრის გარდა, დაეჭირა სპარსეთი, ჰერონებოდა ძალა ბერძენთა, რომაელთა და სხვა სახელმწიფოთა, მაშინ ნახავდით, რა დიდს საქმეებს შეასრულებდა ეს ჩვენი გმირი დავითიცა და რაგვარად სახელს მოიხვევდა ესეცაო.

ბრძოსეს ვერ გაურჩევია სიტყვა თუარა (თუარემ=თორემ =თუარა) სიტყვისაგან „თუ არა“ და უთარგმნია ფრაზა: „და თუ არა ქართველითა სპითა, ვერცარა ალექსანდრე იქმოდა კარგსა...“ და უნდა კი ეთარგმნა ფრაზა: „და თუარა, ქართველითა სპითა ვერცარა ალექსანდრე იქმოდა კარგსა...“

მ. ეპლი ჩანამატი

შომყავს აქ ყალბი ჩანამატი „ქართლის ცხოვრების“ სათაურს; ამ ჩანამატში, უმთავრესად, სახელი გაუტეხა ჩვენს მატიანეს, რომელიც მეცნიერებმა მიიჩნიეს ბუნდოფან ქმნილებად ვახტანგ VI-ისა.

ამ რას ამბობს ეს ჩანამატი (ქ. ცხ., 1, გვ. 15):

„შტირსანთ და დიდებულნთ ქართველნთ, უაშთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება კარევენილიუთ: რომელიმე—მწერალთა შეკრდა რომელიმე—უაშთა ვითარებისაგან არღარა წერებულიყო; ხლა მესუთემან(?) ვასტანგ, ძემან დეონისამან და ძმისწელმან სახელოვნის კიდევისამან, შეგრძნოს მეცნიერნი კაცნი და მთიკენა საცა რამ ქართლის ცხოვრებები შოგნა და გრძალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეპბლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს და რომელი კანოუნილ იყო, კანიართეს, და სხრაცა წერალნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხვრებისაგან გამოიხვენეს, და ესრულ ადაწერინეს.“

შს ჩანამატი, როგორც მოწმობს თვით ბროსე (ქ. ცხ., გვ. 15, შენიშ. 1) წარწერილია აქ არა მატიანის გადამწერისაგან, არამედ სხვა ხელით და სხვა მელნით. გარდა ამისა, ჩანამატის შინაარსიღან სჩანს, რომ თვით ვახტანგს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მატიანის გასწორებაში; ეს ცოტაა კიდევ, ჩვენ ვიცით ისიც, რაც კა ვახტანგ მე VI-ეს და არა მეხუთეს, როგორც ჩანამატშია, შეუქმნია და შეუსრულებად მთელს თავის სიცოცხლეში.

ჩვენ ხელთ გვაქვს ისეთი ძეგლი, რომელსაც, გინდა თუ არა, უნდა დაუუჯეროთ, რადგან ეს ძეგლი შექმნილია თვით ვახტანგ მეფისაგან. ჩვენ ვამბობთ მის მიერ შედგენილ ძეგლ-წერის შესახებ, რომელშიაც მას ჩამოუთვლია და აუნუსხავს ყველა ის, რაც გაუკეთებია და მოუღვაწნია ამ ქვეყნად.

აი, თვით ეს ძეგლწერა (ეპიტაფია), რომელიც მას, უკველია, დაუწერია უბრწყინვალეს მეფების—დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და სხ. სახსოვრის მიბაძვით.

შე, უმცირესშიან ძმათაგან,
ვახტანგმან სახედებულად,
ვჭრმენ თოხწევდ მცხეთა, ურბნისი
სადგურ-კამარა გაებულად,
ტფილისს სიონი ხედახლა
შევძერწე ქანდაკებულად,
ჩემთვისცა სახლი სარკისა,
შიგ ლხინი მოწონებულად;
სტამბა მოვიდე ვლახეთით,
ვაშრავლე წიგნთა შეჭანი;
ქციის რუ ხუნანს წავიდე,
გადმითად მოვრწევ ვეჭანი,
მაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე,
შიგ თევზი ჩავჭრი უვეჭანი;
ესე შთა მოვინადირე,
გხორე ირეში, მგეჭანი.

სამართლის წიგნი დაფშერე—
 მსჯელს არ უნდა ცილდოს,
 ვეფხის ტყაოსნის თარგმნობა,
 სხვა წერილთ არ გსოქვა ცილდოს,
 ჩემთანა მუთფთა ჭაბუქთა
 უქმნია კარგა ზრდილობა.
 ბოლოს მიმიღდ სოფელშიან
 სიმდიღრე, მეფეთ შვილობა.

მეფე, რომელიც ღვაწლად ითვლის „სარკის სახლში ლხინს“, „მთაზე ნაღირობას და მგელთა და ირემთა ხოცას“, ნუ თუ არ მოიხსენებდა ძეგლის წერაში იმისთანა დიდს, პირველ ხარისხოვანს საქმეს, ვითარიც არის მთელის ქართველთა მოდგმის მატიანის შედგენა, თუ გინდ მისი შემოკრება, შესწორება, აღწერინება?!

მაშინდელს დროს ყველა ჩია და ქონდრის კაცი დაზიანებულს კედელზე თუ ერთ-ორ ქვას მოამაგრებდა, დიდებულ ტაძრის კედელს თუ გალესავდა ან კარებს შეაბამდა, თავის თავს ადმაშენებელად აცხადებდა. თუ ვინმე, ვინდ ყოფილიყო მამულისა და ერის მოღალატე, ვითარცა შაჰიული და ალექსანდრე ამილახორები, თუ ერთს, ორს საღმე შორი— შორ იტყოდა და შეაწყობდა, თავი დიდად მოჰქონდა და შთამომავლობას ავალებდა „ლოცვასა შინა მომიხსენებდეთ ამის დაწმერსო“.

მაბობთ, თუ ქართლის ცხოვრების, „შედგენაში“ ან „შესწორებაში“ ვისმე მონაწილეობა მიეღო, ან თუ ვისმე თავს შეედო საქართველოს ქრონიკების შეკრება, ქართლის ცხოვრების შექვება, უეპველად მოიხსენებდა ამას სადმე და თუ თვითონ არა, სხვები მაინც აღნიშნავდნენ, მავანმა და მავან მეცნიერებმა ჩვენი მატიანე შეავსეს, შეაკეთესო.

ჩვენ გვაქვს სრული შეძლება დავრწმუნდეთ, რომ ვახტანგს არ შეუდგენია ქართლის ცხოვრება.

ვახტანგის მეგობარი, ისტორიკოსი სენია ჩხეიძე გვაძლევს ყველა წვლილს ამ მეფის ცხოვრებიდამ და ხმასაც არ იღებს ქართლის ცხოვრების შესახებ.

დღეს ჩვენ გვაქვს ქართ. ცხოვრების ვარიანტი, მართამის ქართ. ცხოვრება, გადაწერილი ვინმე გიორგის მიერ 1646 წლამდე. ე. ი. იმ დროს, როცესაც ვახტანგი ჯერ არ გაჩენილიყო.

თვით ბროსებმაც კი ბოლოს გამოაცხადა (როდესაც შეადარა ერთმანეთს ქ. ცხოვრების ვარიანტები), რომ ქართლის ცხოვრებას ამიერთოთგან გახტანგს ადარ მიგაწერო.

ვერ წამოგვიდგენია, ან კი როგორ უნდა მიეწერათ ერთის კაცისთვის, გინდ მთელის კრებულისთვის, შედგენა დიდის მატიანისა, რომელიც შეიცავდა მრავალს ქრონიკებს, დაწერილს, სხვა და სხვა დროს, ხან ძელის და ხან, შედარებით ახალის ენით!

ასრე რომ ვამბობთ, ამით სრულიადაც უფარს არ ვყოფთ, რომ ზემორე მოყვანილი ყალბი ჩანამტი ვერ გაჩნდებოდა იმ დედანში, რომელზედაც დამყარდა დაბეჭდილი ქართული მატიანეო.

უახლოეს მიზეზად ყალბის ჩანამტის ჩაწერისა იმ დედნის სათაურს იქნებოდა ვახუშტის სიტყვები, რომლის აზრი სათანადოდ ვერ გაუგია ყალბ მქნელს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართული მატიანე იყოფება ორ დიდ ნაწილადო, რომ პირველი ნაწილი შეიცავს საქართველოს ისტორიას 1469 წლამდე და მეორე 1469 წლითვან 1800 წლამდე. ეს მეორე ნაწილი იწყობა ვახუშტის მიერ შედგენილ ვრცელ ქრონიკით და ამ ქრონიკას წინ მიუძღვის იმავე ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიაც იგი იძიებს ქორონიკონებს გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროისას.

პრეულ-დარეულ ქორონიკონების განმართვის და განრჩევისთვის წარმოვსთქვათ გიორგი ბრწყინვალიდამ ვიდრე ჩვენამდეო, ამბობს ვახუშტი და შემდეგ განაგრძობს:

„ხოლო აღუწერით ცხოვრებაცა სიხელითა დევგანის ძის შეფის გატრანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ, განა თუმცა ბრძანებითა შისითა არს, არამედ მას თვით არღმარა განუხილავს ვითარება შისი. ვინათგან სწერს ბაგრატიონთ ნათესაბა. შთამიმაჭ-ლობასა შინა სხვას ქართნიკონებასა, რომელია ჩვენი აქ წერილის ქორონიკონებისაგან არიან. ხოლო ცხოვრებასა შინა წერს ბრწევნ-გადეს გიორგის თავდადებულის ძედ (ქ.-ცხ., გვ. 2)

„ჩვენი ესე ქმნელი და აღწერილი უფლებით ქრისტიანითა ქმნელ არაან, რომელია დღესაც იპოვების და იხილვების შეძიებე-ლისაგან, და ვითარება გვისილავს, ეგრეთც ჩაგვირთავს ქრისტეს აქეთი და ქართული, რომელი არს ხეთასიანი (ე. ი. 532 წელი=კიონგ-ლოსი) ბრწყინვალის გიორგილამ ვიღრე ქრისტესა ჩდმე-მდე.

„ხოლო უბეთუ უმჯობესი და უჭიშმარიტესი ჰეთეცს განმე გო-ნიერიან და განიხილას ესეცა და იგი და იგი უბეთილესად აღუწნ-დეს, არა არს ქმნილი ესე ჩვენი დამაუენებელი უმჯობესისა თქვენისა. გარნა ისმინე და გულისხმავ ადმოჩენა, უწევბულებანი და შემგზაფ-სებულად შისა ჯერ იყავნ ქმნელი თქვენი. ხოლო ჩვენი შრომა ესე ამისთვის იყო: ვინადგან შეფის გახტანგის სახელით იღეწე-რათ და ვიხილეთ ესეოდენი წინააღმდეგნი და უსწორებლობა-ნი, ესენი ვანგასწორეთ და განვამართდეთ მოწმობითა ზეით თქმუ-ლითა, რათა არა ვინ თქვას მხალევლმან ამისმან შეურაცხება რამე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარეცა აღვსწერეთ: ვინათგან ნათესაბის ქართნიკონს სწორეს სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცოდილ არს“ (გვ. 10).

ვახუშტის აზრი ცხადია. მეფეს განზრახვა ჰქონდა გიორ-გი ბრწყინვალის შემდგომ დროის და ბაგრატიონების ცხოვრე-ბათა ქორონიკონები გაეწყოო, გააწყეს კიდევცა მის სახე-ლით, გარნა ჩვენ რომ განვიხილეთ, ეს გაწყობილი უმართლო აღმოჩნდათ და ამიტომ ვიკისრეთ ეს შრომაო, ვისაც არ მოგე-წონებათ, თვითონ შეადგინეთო, რადგან წყაროები ყველგან იპოვება და იხილვებათ.

პალბის მქნელს ყოველივე ეს ვერ გაუგია და თვით დი-დის მატიანის სათაურს ჩაუკოსებია ცნობილი ჩანამატი. თუ

ვახტანგს მართლაც მატიანე ესწორებინა, მასში ქორონიკონებსაც, რომლის გაწყობა მას სურდა, შეიტანდა, გარნა ასრეთს გაწყობილობას ქორონიკონებისას ამ მატიანეში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერსად.

მართლის ცხოვრების (1-ლის ნაწილის) სხვა და სხვა ადგილს ატყვია ვიღისიც მუშაობა, გარნა არა სჩანს, რომ ამგვარ მუშაკად ყოფილიყოს ან ვახტანგი ან ვინმე მისი დროის „მეცნიერთაგანი“. ეს რომ ასრე ყოფილიყო, ძველი მატიანის ენას უეჭველად დაეტყობოდა ნიშან-წყალი მე XVIII საუკუნის დასაწყისის ენისა, თუნდა მაგალ., სქესების გასარჩევად შემოლებულ ფორმებისა, რომელმაც მკვიდრი ბინა მოიპოვა თვით სულხან საბას ლექსიკონში. უფრო სარწმუნოა, ამგვარ მუშაკებად იქნებოდნენ ძეველი დროისცე შემმუშავებელნი, გადამწერნი და შემომკრებნი ქართლის - ცხოვრების წყაროებისა, მაგალ. ანტონი მროველი, ბერი, არსენი, ნინოს ცხოვრების აუქსონნი და სხვა.

ჩანამატის ავტორი მართალია მხოლოდ იქ, საცა ამბობს, რომ დროთა განმავლობაში ქართლის ცხოვრება გარყენილიყო გაღდამწერთაგანო. ეს სიტყვები უმეტესად ყოვლისა თვით ამ ყალბის მქნელს შეეფერება, ვინაითგან არსად იმდენი ყალბ ქმნილი ადგილები არ არის, რამდენიც მისსავე უქართლის ცხოვრებაშიც. შეადარე:

ქართ. ცხოვრება

(რუმიან ცეკვის ხელნაწერი)

პირველად ვახსენოთ
ესრეთ: რამეთუ ქართ-
ველთა და სომეხთა ჰყავ-
დათ ერთი მამა

ქართლის იყო ყოველთა
ზედა უხუცეს და უმთავრეს
და ესრეთ პატივს ცემდ-
ნენ ძმინი მისნი, ვითარცა
მფლობელსა თვისსა

ყალბ მქნედის ქ. ცხოვ.

(ბროსეს გამოცემული)

პირველად ვახსენოთ
ესრეთ: რამეთუ სომეხთა
და ქართველთა ჰყავდათ
ერთი მამა

შვიდთავე გმირთა
ზედან იყო გამგებელ
და უფალ ჰაოს და
ესე ყოველნი იყვნეს
მორჩილ ჰაოსისა

ქართლოსიანთა ენა იყო
მხოლოდ ქართული
აქამომდე, რომელსა
ზრახვიდნეს, ხოლო ოდეს

შემოკრბეს ესე ურიცხვნი
ნათესავნი ქართლსა შინა,
მაშინ ქართველთაც გარე-
ვნეს ენა თვისი და იმათ ყო-
ველთა ნათესავთაგან შეიქ-
მნა ენა მორთული

გარეუნილებანი ბროსეს მიერ გამოცემულ ქართლის ცხოვრების
1-ლს ნაწილში განსაცვიფროა, თვით საქციელი ქართველთ მატი-
ანის ტექსტის გამრეცხნელისა საგმობია და ღირსია მძულვარებისა.

ერის მატიანე არის მისი წმინდა წიგნი და მის გამოცე-
მაც მღვდელმოქმედებასავით უნდა შესრულებულიყო...

არ შევვიძლიან არ უვსაყველუროთ ბროსეს, რომ იგი,
შეუდგა რა ქართულ მატიანის გამოცემას, დაამყარა იგი გარ-
ყვნილ ვარიანტის ტექსტზე და მით დიდი ვნება მოუტანა
ქართველთა „წმინდა წიგნს“: მეცნიერთ ზურგი შეაქციეს მას,
როდესაც ჩანსმაც წიკითხეს.

გარნა, სასიხარულოდ კავკასიის წარსულ ბედ იღბლის შემ-
სწავლელთა, თან-და-თან ჩნდებიან ახალ-ახალი ძეგლები და წყა-
როები, რომელზედაც ასვენია ქართლის ცხოვრება: ჩვენი ისტო-
რია დღითი დღე იპყრობს მსოფლიო მეცნიერების ყურად ღებას.
ჯერ ამ მიმავალს წელსვე პროფეს. ნ. ი. მარმა, აღმოსავლეთის
კარგად მცოდნებ ქართველთ მატიანის შესახებ სთვა შემდეგი
(ჩან. ვწერ., 1902, № 3): „იწერებოდა ქართული მატიანე დაა
ხლოვებით მე-IVIII საუკუნეს, თუ არა აღრეც“).

მ. ჭანაშვილი
(შემდეგი იქნება)

*) („მთამბე“ IV, გვ. 65, სტრ. 2 ქვე-გან): 1081—1118 უნდა
იყოს 1181—1218.

რედაქტორი
ხდ. ჭეთნაძა

გამომცემელი
ხდ. ჭაბაძარი